

**საღმრთელი  
სიტყვიერება**

ია კარგარეთელი.

## უ მ ს ა ვ ა ლ ი.

ჯერ კიდევ ბევრი საუნჯე წევს ჩვენი ერის ზეპირ-სიტყვაობაში უცნობი და წაუკითხავი; „თავფარავნელი ჭაბუკი“, „მოკვდა კაცი“, „ლაგრას ტბა“, „ხარატის გუბე“, „კაბერის ციხე“, „ვახტანგ მეფე და გუთნის დედა“, და მთელი რიგი თქმულებებისა, ელიან თავის მკვლევარსა და წამკითხველსა. ხალხში კანტი-კუნტად გაისმის მშვენიერი ნაწყვეტები ამ თქმულებებიდან, ხოლო სად, ან რითი იწყობა მათი სათავენი და სად თავდებიან იგინი — ამის თქმა ძნელია.

დიდი ხანია ჩემი ყურადღება მიიპყრო ქვემოთ მოყვანილმა თქმულება-პოემა, გადიოდა დღე და მასალაც გროვდებოდა; აგერ, კალოზე გესმის მშვენიერი ლექსი, იგი არ წააგავს ჩვეულებრივ შაირობას, რაღაც მთლიანიდგან არის მოწყვეტილი და გრძნობ, რომ ამ ლექსს წინაც უნდა ჰქონდეს გასაქანი, უკანაც. ეკითხები: ზაქარო, საიდან არის ეგ ლექსი? — „არ ვიცი, სწორეთ რომ მოგახსენოთ. „თავფარავნელ ჭაბუკს“ იტყოდნენ უწინ, ეს მე მგონია, იმის ლექსი უნდა იყოს.

მაგრამ ზაქარზედ უფრო კარგი ლექსების მთქმელი მკავდა დაახლოვებული. მთელი სამი ზაფხული ჩემს კეთილ მოხუცს ვეკითხებოდი: გაბო ამ მშვენიერ ლექსებს რომ იტყვიან, ნეტა ვისთვის, ან ვინ იყო ამეების მთქმელი?

— „ეგა, ყმაწვილო, (მოხუცებული მე ყმაწვილს მეძახდა) „თავფარავნელ ჭაბუკს“ იტყოდნენ უწინ, იქიდან არის ნათქვამი“.

— გაბო, შენ გაგიგონია, ან იცი ამ ჭაბუკზედ ლექსი?

— როგორ არა, გამიგონია, ვიცოდი კიდევ, მაგრამ დამავიწყდა. სამი ზაფხული იგონებდა ჩემი გაბრიელი აქ

მოყვანილ ლექსს და თან ამბობდა: კიდევ ბევრია, მაგრამ დაძაქიწყდა-ო, რაც მე სასოწარკვეთილებაში მაგდებდა.

ქართლში ეს თქმულება „თავფარავნელი ჭაბუკი“-ს სახელით არის ხალხში ცნობილი. თუ მიუგდებთ ყურს, ქართლ-კახურ სიმღერებშიაც გაისმის ხოლმე დაბოლო-  
ვება „თარი-თურალო“.

ფშავ-ხევსურეთში ამავე თქმულებას უწოდებენ „თა-  
ირანელი ჭაბუკი და თურანელი ქალი“.

ჯავახეთში — ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯო-  
მის, აბასთუმანისა და იქით გადაღმა ქართველობა ამ ლექ-  
სებს აწერენ „ასპინძელი ქალი“-ს მოთქმას.

ამ პოემა-ლეგენდაში ვეფხის ტყაოსანის გავლენა პირ-  
ველი სტრიქონიდგან უკანასკნელამდე რითმით, მუსიკა-  
ლობით ნათლად მოსჩანს, აქაც იგივე ლეიტმოტივები გა-  
ისმის, რაც ვეფხის-ტყაოსანში, ე. ი. ჩივილი ბედზედ, მის  
ფატალობაზედ, გაუტანლობაზედ, ცვალობადობაზედ და  
სხვა. თქმა არ უნდა, ეს ესეც უნდა ყოფილიყო, ვიანდგან  
ვეფხის ტყაოსანი დიდი მოვლენა იყო და წასაბაძიც ქარ-  
თველი მწერლებისათვისაც და მოქმელებისათვისაც.

ეხლა, როდესაც „თავფარავნელი ჭაბუკი“-ს თქმულე-  
ბა ლექსად ხელში გვაქვს და იგი გადავიკითხეთ, ერთი  
საკითხი წამოიჭრა: ეს ხალხური პოემა ქართველი ერის  
სულიერ ცხოვრების შედეგია, თუ იგიც წარმოიშვა აღმო-  
სავლეთის ზეპირ-სიტყვაობის ზეგავლენით?

ქართლში იტყვიან: „თავფარავნელი ჭაბუკი ასპინძელ  
ქალსა ჰყვარობდა“-ო და სხვ.

ფშავ-ხევსურეთში იტყვიან: „თაირანელი ჭაბუკი თუ-  
რანელ ქალსა ჰყვარობდა“-ო, რას ნიშნავს ეს სხვა და სხვა-  
ობა გმირებისა ერთსა და იგივე თქმულებაში, ერთი ქვეყ-  
ნის ორ სხვა და სხვა კუთხეში? რომელია მართალი. —  
ქართლი თუ ხევი? სად უმღერენ ქართველ გმირებს? ვინ  
იყვნენ ქართლში და ჯავახეთში თავფარავნელი ჭაბუკი  
და ასპინძელი ქალი და ხევში, თაირანელი ჭაბუკი და თუ-  
რანელი ქალი?

ჯერ-ჯერობით ერთი ვარიანტი გვაქვს ხელში თქმუ-  
ლებისა, ე. ი. როგორც იტყვიან ქართლში და ჯავახეთში.

როგორ უმღერს და ლექსობს ამავე თქმულებაში მთა —  
აი, რა სამუშაო უდევს მკვლევარს წინ. ამ მხრივ ნაბი-  
ჯებიც არის გადადგმული და საკმაო მასალაც არის დაგ-  
როვილი და, თუ გარემოებამ შეგვიწყო ხელი, ვფიქრობთ  
რომ ამ თქმულების ვარიანტიც, მთაში აწყობილი, — მა-  
ლე გვექნება ხელში.

ამ ვარიანტის ჩაწერისა და შესწავლის შემდეგ კი ძნე-  
ლი არ იქნება პასუხი საეჭვო წამოჭრილ კითხვაზედ: ქარ-  
თველი ხალხის სულიერ ცხოვრებამ წარმოშვა ეს ლეგენ-  
და-პოემა, თუ იგიც აღმოსავლეთის გავლენის შედეგია.

— : —

## თავფარავნელი ჭაბუკი.

ხალხური ლეგენდა — პოემა, თქმული გაბო ეშმაკურაშვილის-მიერ  
ს. ერთაწმინდაში. ჩაწერილი ია კარგარეთელის მიერ.

### მომქმედნი პირნი:

**ბერბუკი.** დიდი მემამულე, ასპინძას მფლობელი, დარბაისელი, ხანში შესული ქართველი.

**დავაზი.** ბერბუკის ერთად-ერთი ქალი, მემკვიდრე ამ სიმდიდრისა, ყველასაგან მორიდებით ფუფუნებაში აღ-  
ზრდილი.

**სანდუხტი.** დავაზის აღმზრდელი, ჩვეულებრივი ტი-  
პის მანდილოსანი ფეოდალების ოჯახში.

**ინადი.** მოხუცებული ქალი, დავაზის ერთ-ერთი მე-  
თვალყურეთაგანი.

**როინი.** ახალგაზრდა მდიდარი თავადის-შვილი, და-  
ვაზის ერთ-ერთ მთხოვნელთაგანი.

**გულბაათი.** თავფარავნელი ჭაბუკი, ახალგაზრდა მო-  
ხდენილი გლეხის ბიჭი, ხელობით მეთევზე, ახლად ამოს-  
დის წვერ-ულვაში, გრუსა-ქოჩორა თმა, რუხი მოკლე ჩო-  
ხა, მოკლე სახელოებით, ჩოხის კალთები სარტყელში ჩა-  
კეცილი, დუშლულიანი პერანგის საკინძე ჩამოხსნილი,  
უჩანს გულ-მკერდი.

**დიღვარდისა.** ახალგაზრდა ქალი, შეზრდილი და დაა-  
ხლოვებული დავაზთან.

**ბაადური.** გულბაათთან ერთად მომუშავე მეთევზე,  
ახალგაზრდა ბიჭი.

**ჩადუნი.** მენავე ბერბუკისა.

**მენავე.** მენავე, ხანში შესული, თავფარავნიდგან.

**მოსამსახურე.** ბერბუკის სასახლეში კარის კაცი.

დავაზის ტოლი ქალები, სოფლის ბიჭები — მეთევზეე-  
ბი და ხალხი თავფარავნიდგან.

## თათბირი ბერბუკისა და სანდუხტისა დავაზის გათხოვების შესახებ.

**სანდუხტი.** დრო არის, დიდო ბატონო ვიფიქროთ ქა-  
ლის ბედზედა,  
მის სილამაზეს, მე ვგონებ, ვერვინ აუვლის გვერდზედა;  
შეღერდა. ქალი არ უცხობს მალ-მალ დახდვას მკერდ-  
ზედა,  
თემში ძვირს, უფერულ სიტყვას ნუ ვათქმევინებთ ჩვენ-  
ზედა,  
ქალი დასრულდა, შეთქვირდა, თვალს არ ენახვის მტრი-  
სასა,  
ვინც ნახოს განა ისურვოს გული დააბას სხვისასა?  
არ უჩნდეს მის შეფერება, გულს ვინ ჩაიდებს ქვისასა?  
შოდის და მიდის მთხოვნელიც ყოველ ცისმარე დღისასა.  
**ბერბუკი.** შენ მართალი ხარ, სანდუხტი, ეგ ზრუნვა  
ჩემი ვალია,  
რადგანც ერთი მყავს დავაზი, — ჩემი სიცოცხლის თვა-  
ლია;  
ვინ ან რას უცდის, ვისთვის ზის, არ ვიცი მისი კვალია,  
თუმც ვათხოვებაზედ ბევრჯელ მითქვამს სიტყვა მრა-  
ვალია;  
ესეც იცი, ქალის გული ზღვა არის გაუვალია,  
ვერ ვინ გაზომავს მის სივრცეს, ვერცა ჩასწვდება თვალია,  
დღეს ერთი უნდა, ხვალ-კი სხვა. ზეგ ორთავეზედ მწყრა-  
ლია,  
როგორ გავიგო რას ფიქრობს, აბა, რა ჩემი ბრალია?  
(აჩქარებით შემოდის მსახური და ბერბუკს უკრავს თავს)  
**მსახური.** ბერბუკის ნახვა მინდაო, მითხრა თავადის  
გვარაო.

**ბერბუკი.** აჩქარდი, მიდი და სთხოვე, გაულე შუა კარია  
(მიეგებება)

მობრძანდით, როინ, მობრძანდით, ნეტა რა ჰქროდა ქარია?  
რაძ ჩამოგაგდოთ მთიდან ძირს? დაგხატრდათ ჩვენი ბარია?

**როინი.** არ დავიწყება მოყვრისა კარგი მეზობლის ვა-  
ლია!

შემოვიარე დაგხედოთ, სხვა გზა მიდევს სავალია.

**ბერბუკი.** ვიცი, როინ, ვიცი, ვიცი, აბა, რა დასამალია—  
მობრძანდით დამისიძვედეთ, ითხოვოთ ჩემი ქალია.  
მექნეს რამ საწინაღმდეგო, — გეტყოდით, ჩემი ვალია,  
მე თქვენი წუნი რამე ვსთქვა, — იქნება სიტყვა ავია;  
პაპა თქვენს მე კარგათ ვიცნობ, დიდი აქვს მთა და ბარია,  
დიდს უხვს და პურადს აქებენ. აქვს მადლი გარდუვალია;  
მეც კი ვყოფილვარ სტუმრათა, მახსოვს, ეს დიდი ხანია:—  
წავედით სანადიროთა, ავედით მალლა მთანია,  
ჯიხვი და არჩვი დავხოცეთ სალ კლდე-ღრეში მავალია;  
ხევ-ხუვში გვიღამდებოდა, არსად ჩნდა გზა ნავალია,  
მთას გადავედით, ჩავედით, ღელეს მოვავლეთ თვალია,  
აქ ყმანი დავგვხვდნენ ბატონის ლაღნი და თავმდაბალია.  
შინ გვიხმეს, ისე მიგვიღეს, როგორც მასპინძლის ვალია;  
მაშინ ვნახე პაპა თქვენი, მალალი, ახოვანია;  
მეორე დღეს სანადიმოთ თემით მოიხმო ყმანია,  
რალა ვსთქვა, — სუფრა გაშალა, მტერს დარჩებოდა თვა-  
ლია,

წითელი ჯიხვის რქებითა ისმოდა, როგორც წყალია,  
ყმანი იტყოდენ სიმღერას, ეხლაც ყურთ მესმის ხმანია.  
ლომი ლომსა შობს თანასწორს, ეს თქმულა დიდი ხანია,  
დედ-მამისა გამონახვა შვილის საცნობლათ, ვალია;  
თქვენს უკეთურს ვერას ვიტყვი, არ მოკვდეს ჩემი თავია,  
თუ ამას მრუდეთ ვამბობდე, პირი შემექნეს შავია!  
გიჯობთ, თვით ნახოთ დავაზი, ხომ იცით, ისიც ქალია,  
უთხარით სიტყვა კაზმული, ბროლივით განათალია,  
ვგონებ დავთანხმდეთ ცოლობას, — სხვა გზა რა გასავა-  
ლია!

ესეც უნდა გაგაფრთხილოთ. — დავაზს არა ჰსურს ქმარია,  
მეც არა ერთხელ ურჩიე, მაგრამ დიდს უარს არია:

სცადევიტ, ასე ამბობენ, ცდა ბედის თანმავალია,  
აგერ, აქ მოდის დავაზიც, — სხვა ეხლა თქვენი ვალია!  
(ბერბუკი ეთხოვება როინს, — მეორე მხრიდან გამოჩნ-  
დება დავაზი, როინი მიეგებება და მოწიწებით თავს  
უკრავს).

**როინი.** ნება მიბოძეთ გაგეცნოთ, როინი ჰაზამბარელი!

**დავაზი.** ეგ გვარი მე გამიგია, — თავადი ჰაზამბარელი;  
კავკასიონის ქედებზედ, თურმე, გქონიათ მთა-ველი,  
ხადირი ბევრი ყოფილა იქით, — ჯიხვი, არჩვი, შველი;  
თქვენ უსაქმოდ არ გვნახავდით ახალ ამბავს რამეს ველი,

**როინი.** თუ ნებას მომცემთ, გავბედავ, ვიტყვი ორიოდ  
სიტყვასა!

**დავაზი.** ბრძანევით, როინ, ბრძანევით, აქ ვინ გაბედავს  
რისხვასა!

**როინი.** დიდი ბერბუკის თანხმობით მე მინდა გთხო-  
ვოთ ცოლობა,

თქვენზედ მე შემომსმენია, რომ გაქვთ ადამიანობა,  
ღმერთს აუვისხართ შვენებით და წმინდათ დაგაქვთ ქა-  
ლობა;

ამ მითქმა-მოთქმამ ჩემს გულში ააყვავილა რამ გრძნობა,  
მენატრებოდა მენახეთ, რომ თითონ მეთქვა გალობა,  
თან ისიც შემომსმენია, — თქვენ უარს ამბობთ სხვის ბე-  
დზედ,

არ მინდა ეს დავიჯერო და იმედი დავსწვა ცეცხლზედ,  
მინდოდა პირად მენახეთ, მეთქვა თქვენთვის ჩემს სვე-  
ბედზედ,

თუ შემრისხავთ და გამწირავთ, ვიტყვი, — ვიშვი მწარე  
ეტლზედ!

აი, მოველ, გნახეთ, გთხოვეთ, სიტყვა მოდგა ეხლა  
თქვენზე,

ბედი ჩემი ან დასთრგუნოთ, ანამც გაიყვანოთ მზეზე.

**დავაზი.** დიდი თავადიშვილს როინს მართალი გაუგო-  
ნია, —

რომ ბედით დაუკავშირდე ჯერ ვისმე. — არა მგონია!  
ბევრჯველ უქიხართ ჩემთვისაც, დიდი სიმდიდრე გქო-  
ნიათ,



და ესეც კი უთქვამთ ჩემთვის, — თურმე ტოლი არ გყო-  
ლიათ  
ბურთში და თოფის სროლაში; ხართ მოყვრისა ამყოლია;  
რა თქმა უნდა, იქნებ ბედმა დაგკარგოთ კარგი ტოლია,  
ჩემთვის იქნებოდა მეტად ეს მძიმე მოსაგონია,  
რომ ბედი მადგა კარებზედ, არრასთან შესაწონია,  
მე კი უარ ვყავ საუნჯე, არაფრის არას მქონია.

**როინი.** აგიყვანდით მაღლა ცამდის და დაგსვამდით პი-  
რად მზესა.  
მის სხივებით მოვქარგავდი თქვენს ფეხქვეშ ნაგებ ხა-  
ლებსა;  
ვარდის წყლით ხელ-ფეხს დაგბანდით დილით ადრე და  
ლამეცა,  
იაგუნდ-ლალით მოვრთავდი, თქვენთა მხრების საბურ-  
ველსა,  
ია-ვარდით შევამკობდი თქვენი საწოლის ნალებსა.  
თქვენს სმენას არ მოვაკლებდი ნაზი ბუღბუღლის ჰანგებსა;  
თქვენს საქებრათ ვისწავლიდი იადონის ტკბილსა ხმებსა  
და ამ ხმებით ვიპოვიდი მე თქვენი გულის ღებინებსა;  
ძვირფას ქვებათ დავასხავდი ჩემს ცრემლებს თქვენსა კა-  
ბებსა.

შუროით გიმზერდნენ, ნატრობდნენ ბანოვანნი თქვენსა  
ბედსა!

**დავაზი.** როინ, მაინც არც ეხლა ვარ ნატროული ყველა  
მაგებსა,  
ვის, ან რათ უნდა შევნატრო, რა არ უნახავს თვალებსა?

**როინი.** ბერბუკის დიდი სიმდიდრე ხმას გასცემს  
თქვენს სურვილებსა:  
უძირო ზღვაზედ გადასდებს; თვალ გადუწვდენელ ხი-  
დებსა,

შიგ შეაცურებს ხომალდებს ათასფრად მოქარგულებსა,  
ზედ დაგსვავთ და განავარდებთ, გულს არ დაგასვავთ  
წყლულებსა,

მაგრამ, დავაზ, ზღვის ნავები გულს არას ასალმუნებსა.  
ვერ ჩასწვდებიან მძინარეთ ტკბილს და საამო წუთებსა,

**დავაზი.** საოცნებო ზღვები, ზღვები! ოხ, ნეტამც ტალ-  
ლათ მაქცია!

**როინი.** რა ბრძანეთ? ვერ გავიგონე!

**დავაზი.** თქვენ მომაგონეთ ზღვა და ვსთქვი, — ნეტა-  
ვი ტალლათ მაქცია!

ერთია ჩემი ოცნება, ნეტამც ზღვის ფსკეს ჩავწდებოდე  
მის ტალღების მუდმივ სრბოლას ნეტა მეც თანა ვყვებოდე,  
გამიტანდეს ზღვის კიდეზედ და იქ, მდელიოზე ვზნდებოდე  
გაბანილი სპეტაკ ქაფით, მზის სხივებითა ვმრებოდე,  
თუნდც მის ღელვას, მისსა რისხვას არას დროს არ ვეყრე-  
ბოდე.

**როინი.** დავაზ, მისი სივრცე, სიღრმე ამ ჩემს სიყვა-  
რულს წააგავს  
მაგრამ ამათ ძალუძთ გასცენ პასუხი ამ ჩვენ გულთა  
თქვას?

გათბობენ ჩვენთა გრძნობათ? გვაგრძნობინებენ წამებსა?  
ნუ თუ ჯერ არ შეჰკითხვიხართ მეგობრობის სიყვარულსა?

**დავაზი.** გთხოვთ, მაგაზედ ნურას მეტყვით, გათხოვება,  
ვსთქვი არ მსურსა!

**როინი.** მაშ, ეგრეა? დავაზ, წავალ, სული კი აქ თქვენ-  
თან რჩება—

და თუნდ სიკვდილმაც გამყაროს, გული თქვენ დაგეტა-  
ნებათ!

**დავაზი.** გულწრფელობა თქვენი მომწონს, საქებია  
მეტის-მეტი,  
ვწუხვარ, რომ პასუხს ვერ ხედავთ და მით მერთვის სევდა  
მეტი!

**როინი.** ნუ შემრისხავთ, ერთსაც ვიტყვი და არცა ღირს  
დასამალად:

თუმც გმორდებით, მაგრამ ვიცი, გული აქეთ ილტვის მა-  
რად,

მხოლოდ ერთს გთხოვთ და გახსოვდეთ, თქვენთვის საფ-  
ლავს ჩავალ ცალად.

**დავაზი.** ნუ იქმთ მაგას, ჯიელი ხართ, ნახეთ სხვა გზა,  
სხვა საგანი,

სოფლის კიდითი-კიდემდე დიდი არის გასაქანი!

როინი. მე უბედურს ეგ ბედი მხვდა, რას ვიქ, უნდა და-  
ვეუფლო,  
ვეცდები ჩემი ცხოვრება უბედობას შევუღლო!

დავაზი. არა, ნუ იქმთ, აგერ მამაც მოდის აქეთ, მაშ  
ნახვამდე!

ბერბუკი. კიდევ აქ ხართ? მე მეგონა გაივლიდით  
ტბისკენ სადმე!

დავაზი. ჰო, მამა, თუ ნებას მომცემთ, მინდა ტბაზედ  
გავლა ნავით.

ბერბუკი. როგორც გსურდეს, ჩემო კარგო, მარტო კი  
როგორ გაგიშო!

მოუხმე შენს ამხანაგებს, მათთან არ არის საშიშო.  
როინ, დალონებული ხართ!

როინი. მიზეზი მაქვს რომ ვიშ-ვიშო!

ბერბუკი. ნახეთ? უთხარით? რა გითხრათ?

როინი. ყველა იმედი დამიხშო!

ბერბუკი. როინ, მაგას მოველოდი და ამიტომ გაგა-  
ფრთხილეთ.

წელან მინდოდა რომ მეთქვა და ყველა ვერ გავამხილე.  
დავაზს, თქვენს გარდა, მიხოვნელი ბევრი ჰყავდა საქრმო  
კარგი,

ყველა ცივათ გაისტუმრა და ვერა ჰქნა საქმე მარგი.  
ვიცი, დროა რომ იმის გულს აეწყო სიმეებით ჩანგი  
და ვისიმე მოესმინა სიყვარულზედ ტკბილი ჰანგი;  
მეც მინდოდა, რომ მენახა მისი ღხენა, მისი ვარდი  
გამლილი და გაფუჩქვნილი, გულს სიმშვიდე, ართუ  
დარდი,

მაგრამ ვგრძნობ ვერ მიმართლდება, ვერც განზრახვა და  
ვერც ფანდი

და ეს ყველა ჩემი რჩევა უკუ აგდო, ვითა ღანდი.

და თქვენც, ჩემო როინ, გირჩევთ, ნუ მისცემთ თავს სა-  
გონებელს,

იქნებ ბედმა სხვა გზა მოგცეთ, შეხვდეთ რამ საგოგმა.  
ნებელს,

ხომ გსმენიათ. დრო ჟამიო ურჩენს გულს წყლულს სა-  
ლონებელს.

**როინი.** ნეტამც მართლა ეგრე იყოს, — ავცდე მძიმე  
საგონებელს!

**მხლებელი.** (ბერბუკს) დავაზი გთხოვთ რომ მობრძან-  
დეთ, ნახოთ ტბაზედ წამავალი,  
ამხანაგებიც იახლნენ სოფლიდგან ქალი მრავალი.

**ბერბუკი.** ასე როინ, კვლავაც გვნახეთ, თუ აქ გზა  
გქონდეთ სავალი,  
ჩვენზე გულს ნუ მოიძვირებთ, გახსოვდეთ მეზობლის  
ვალი!

(ბერბუკი აცილებს როინს კარებამდის).

**მოგზაურობა დავაზისა ტბაზედ და ნახვა აქ მის ყმისა თავ-  
ფარავნელი ჭაბუკისა.**

2

**დავაზი.** ჩადუნ, ა იქ შორს რა მოსჩანს? ტყე არის, თუ  
ბალ-ხილნარი?

**ჩადუნი.** ჰო, ქალბატონო, ეგ არის სოფელი თავფარა-  
ვანი!

**დავაზი.** ისინი ვიღა არიან?

**ჩადუნი.** თავფარავნელი ბიჭები; თევზაობენ ცისმარ  
დღესა.

**დავაზი.** აბა, იქით მიაცურე, მინდა ერთი ვნახო თვა-  
ლით, როგორ ესვრიან ბადესა.

**ქალები.** მართლა, კარგი კი იქნება ვნახოთ მათი თევ-  
ზაობა!

საამო გართობა არის, ამას არ უნდა ცილობა.

**გულბათი.** ბაადურ, გუშინ აქ მოხვდა ის საუცხოვო  
რამ თევზი,

ერთი ეხლა მაინც მოხვდეს, აბა იქით ქენი გეზი!

ხელად მივართმევდით ნობათს, როგორც ძველთგან არის  
წესი.

უცხო სტუმრებთან ლაყობის მოგვეცემოდა მიზეზი.

**ბაადური.** მართლა, ნეტა საიდგან, ან ვინ უნდა იყვნენ  
ესენი?

**გულბაათი.** მეც კი პირველათა ვხედავ, ან სად შეყრი-  
ლან ამდენნი?

**ბაადური.** ა ის ბიჭი კი მეცნობა, ნავზედ რომ მეთა-  
ურია.

**გულბაათი.** კარგი ვაჟი-კაცი მოსჩანს, ვინ არის სა-  
დაურია?

**ბაადური.** შარშან სამებობას ვნახე, ჭიდაობით განთ-  
ქმულია,

ბაქაული წააქცია, კარგი სცოდნია მხრულია,  
მაშინ იქ სთქვეს. ასპინძიდგან ჩადუნ მიგროიაულია.

**გულბაათი.** ჰო, გამიგია და ვნახე კიდევ მაგისი გო-  
რული,

დიდს ღონეს და ხერხს უქებენ, გავარდნა იცის ქორული,  
თუ ბაქაული დაჯაბნა, თქმა აღარ უნდა ორული;  
მაგრამ რა გითხრა ბაადურ, ქალები სჯობიან ბიჭსა,  
აი, შუაში რომა ზის, შეხე აბა მის გულ-მკერდსა!

**ბაადური.** რა გითხრა გულბაათ, მათში ვერც ერთს  
ვერ დავდებ მე წუნსა,  
მაგრამ შენ რა? ან მე რაა? ურგები ქოთანი მძულსა!

**გულბაათი.** ბაადურ, მიშველე, მძიმეთ რალაც მოჰყვა  
ჩვენს ბადესა!

ამოსწი, ამოიტანე, ეგრე უნდა გულო მტერსა!  
ჩავი არ გადაგვიბრუნდეს, დააწექ იქით მხარესა!  
რა კარგი ფეხი ჰქონიათ ამ ჩვენ უცნობ გოგოებსა!

**დავაზი.** ჩადუნ, ახლო მიაცურე იმათთან ეს ჩვენი ნავი!  
ყმაწვილებო, შეიძლება ჩვენც ვნახოთ თქვენი ნადავლი?

**გულბაათი.** რატომ, რატომ, აი, ნახეთ!

**დავაზი.** ოხ! ვერ გაძლება ეს თვალი!

მეტადრე აი, ის თევზი, რა მშვენიერობა რამ არის!  
ერთად ამდენი რომ მოჰყვა, გასაკვირველი ეს არის!

**გულბაათი** თუ რომ გესიამოვნებათ, გადმობრძანდით  
აქ ჩვენს ნავში!

**დავაზი.** შეიძლება?

(დავაზი ადგება — აიმართება გადასასვლელად: გულბაათი თავის ნავიდან გამოუწოდებს ხელს, დავაზიც მოაწოდებს თავის ხელს, და ფეხს ფრთხილად გადადგავს გულ-

ბათის ნავში; აქ დავაზი დასწვდება, აიღებს ერთ-ერთ  
თევზს ხელში და დაუწყებს ალერსს).

ერთი უყურეთ, ქალებო, ნეტა სად იყო საწყალი,  
ეხლა ტყვედ ბადეს გაბმული, წელან კი თავისუფალი,  
ვაი შენს ბედსა! თავს ახეთქ, თითქოს გელიოს სამსალი!  
რალად გაჩნდი, შე საწყალო, თუ ეგ გზა გქონდა სავალი?  
ერთი მითხარით, ვაჟებო, ამოდენა თევზს რას უზავთ?  
არა, ზოგს ყელებს გამოსჭრით და ზოგს გულებს გაუგმი-  
რავთ?

**გულბათი.** ჰო, დიახ, ჩემო ბატონო!

**დავაზი.** და მერე, არ გენანებათ?

**ბაადური.** შე ქალო, პირველად მესმის ზღვაში თევ-  
ზის დანანება!

ან ვინ დასთვლის ზღვაში თევზებს, აბა, როგორ გეკად-  
რებათ?

**გულბათი.** რატომ, რატომ, ქალბატონო, ჩვენც კი ვი-  
ცით შებრალება,

ჩვენც ადამიანები ვართ და დაგვაქვს გულში ეს გრძნობა!  
მაგრამ რასა ვიქმთ, გვიბრძანეთ, ეს არის ჩვენი ხელობა!

**დავაზი.** მერე, დიდი ხანი არის დაადექით თქვენ ამ  
გზასა?

**გულბათი.** ყრმობიდანვე, ქალბატონო, გამოვედით  
ჩვენ ამ ტბასა.

**დავაზი.** მუდამ შიში და ხიფათი, ვფიქრობ, თქვენ აქ  
გეხეჩებათ,

მერე, რომ შეგემთხვეთ რამე, სიცოცხლე არ გენანებათ?

**გულბათი.** გაჭირება და ობლობა ბევრს ააცდენს  
გზას ხსნისასა,

წაიყვანს, კლდეს გადააგდებს, გულს გაახარებს მტრისასა.  
ასე იყო ჩემი საქმეც; ადრე მომიკვდა მამია. —

მოკეთეს ვის რათ უნდიხარ, თუ არ გაქვს მიწა-წყალია!

ღამე და დღე, მუდამ ცის ქვეშ ვეგდე მარტოკა ცალია,

ბევრჯველ მოვიქუშე გული, ვიდინე ცრემლი მწარია;

ჭამა-ცხოვრება მინდოდა, დავქელე სხვის კარ-ბანია,

თავის სარჩენად ტბა იყო მარტო-ღა გასაქანია;

აქ თუნდაც თავი წყალს მისცე, არვინ სთქვას შენთვის  
ვანია,

აქ არ ხარ რისმე მფლობელი. არცა გყავს მონა-ყმანია;

აქ ვარჩიე მუშაობა, ბედმა იშოვნა ძამია;

თევზს ვიჭერ, ვყიდი, ჰალალათ ლუკმა პური მიჭამია.

დავაწი. სადაური? საიდგან ხართ? შორია თქვენ სო-  
ფლის გზანი?

გულბათი. აქედგან ვართ, თუ გსმენიათ, სოფელი  
თავფარავანი.

დავაწი. ეს ვაჟი ვილა იქნება.

გულბათი. სოფლის ერთი ყმათაგანი,  
ჭირში და ლხინში ნუგეში, გავიფიცეთ ვითა ძმანი!

დავაწი. როგორც ვხედავ, თავს ევლებით თქვენ ამ  
ტბას და იმის თევზებს,

გულბათი. ნულარ მკითხავთ, ქალბატონო. მე აქა  
ვკლავ ჩემს ოცნებებს;

აქა ვმარხავ ჩემს სიხარულს, აქ ჩავაქცევ სისხლის წვე-  
თებს.

ერთს წამს ასე მომხდენია, — ბადეს ვესვრი ტალღის თქე-  
შებს,

შიგ მოყოლილ თევზის ცივ გულს ჩაუშვებდი ჩემს  
სისხლს მჩქეფებს.

ამ წყლის სურვილმა და სივრცემ ეს ჩემი გული დაძალა,  
ტალღების ცქრიალ თამაშმა მგრძნობარე სული დაღალა.

აქ ვაფერადე სიცოცხლე. სხვა არ ვინდომო აღარა,

ლიტონმა უნუგეშობამ თავი სამარეს დახარა.

დავაწი. (თავისთვის). ოხ, რათ არ ძალმიძს მასთან  
ვყო ბედი და ბედნიერება!

(დიღვარდს) დიღვარდ, წავიდეთ! მაშ აქ ხართ მთელი  
დღე-ღამის თენება?

გულბათი. აქა ვართ და აქ ვალამებთ. აქ შევხარით  
ბადეს, თევზებს,

ლაღათ მოსრიალე ტალღებს თან ვაყოლებთ ჩვენს იმე-  
დებს;

დავაწი. მომწონს ეს თქვენი ცხოვრება და თქვენც ყვი-  
ლა მოგიწონებთ

აი, ეგ გულ-მკერდი, მკლავი ყველას გულს წაუღებს, ვგონებთ.

(მორიდებით) საოცნებო მხარეთ იქცა ჩემთვის ეს ტბა და ეს კიდე,

აქა ვტოვებ მე ჩემს გულსა, ვით მეგობრათ ავიკიდე, მოგონებებს ფრთას შევასხავ, შენთან მოვალ მრავლად კიდევ.

ამ ჩემს გულს და ჩემს ოცნებებს შენ რომ ცეცხლი წაუკიდე,

რომ შემეძლოს თევზათ ვიქცე, მის ბადეში მოვხვდებოდე, გადუშლიდე მე ამ მკერდსა, დანას დავაკვრევინებდე, მისი ხელით გულთ ჭრილობებს მწკავეთ დავასერინებდე, ოხ, რა ტკბილათ ჩავითვლიდი მე ამ ტანჯვებს, თუ ინებდე?

(ძიუბრუნდება გულბაათს) ჭაბუკო, თუ მოისურვოთ ჩვენსკენ ოდესმე გამოვლა,

შუ აგვიქცევთ გზას და გვნახეთ, გიჩნდეთ საამოთ მივლ-მოვლა!

**გულბაათი.** თქვენ საიდგან-ლა ბრძანდებით? აქ სად გივლიათ არესა?

**დავაზი.** აგერ, ხედავთ, ძლივს რომ მოსჩანს, მარმარილოს სასახლესა?

იმ სასახლის კოშკში ვცხოვრობ, გადმოვყურებ მთელ მხარესა,

ასპინძაა ის სოფელი, ზედ აკრავს მინდორს და ველსა.

**გულბაათი** ჰოო, ვიცი, იქ ვყოფილვარ, გიქებენ სოფლის ქალებსა;

თქვენ კი არსად მინახევხართ, არც მინდორს, არცა ქალებსა.

**დავაზი.** ეხლა მოდით, ეხლა გვნახეთ, გამოჰყეთ წყლისა ტალღებსა,

ჩემს სარკმელში შუქი მოსჩანს ტბის მხრიდგან ცისმარლამესა;

შორს, მარმარილოს კოშკში ნახავთ შუქის სინათლესა, რომ იცით, რომ შუქი შორს სჭრის ღამით უფრო, სანამ დღესა;



ჩემი ოთახის სარკმელში გადმოვდგამ კელაპტარებსა,  
მოგესურვოთ ჩვენი ნახვა, მოჰყევით იმ სინათლესა;  
გვნახავთ, ვფიქრობ არ ინახებთ, იპოვით ტკბილსა  
ალერსსა!

სარკმელში რომ შუქი მოსჩანს, გესმით... გვნახეთ... ამ  
ლამესა.

(დიღვარდს) დიღვარდ, აქა ხარ? წავიდეთ! ეგრე, გიცდით  
მუდამ დღესა!

**დიღვარდისა.** ჩადუნ, მიაწოდეთ ხელი, წავიდეთ, გად-  
მობრძანდესა!

(ჩადუნი თავის ნავიდგან დავაზს მიაწოდებს ხელს, იჭიდ-  
გან ერთი ხელი უჭირავს გულბაათს; დავაზი ფრთხილად  
გადადის თავის ნავში; ნავი ნელა-ნელა შორდება მეთევ-  
ზეებს, ქალები მიიმღერიან. დავაზიც დიდხანს არ აშო-  
რებს თვალს მეთევზეებს, ცალი ხელით პირ-აფარებული  
ნახევრად მიბრუნებულია გულბაათისაკენ და ამბობს შემ-  
დეგ სიტყვებს).

**ქალები.** ვიშ ამ ტალღებს და ამ სივრცეს რა მშვენივ-  
რება რამ სუფევს,  
აქ არც შურსა და არც მტრობას ადგილი არ უნდა ჰქონ-  
დეს,  
აქ იგოდნობს კაცი სიყვარულს, აქ გაშლის სიყვარული  
ფრთებს,  
შორს, შორსა რბის თვალთა ხედვა. გარს ევლება მინდორს  
და ველს.

**დავაზ.** წუთი-სოფლის სიყვარულო შენ გიყურებ, ჩე-  
მო მზეო,  
შე ხომ ფრთები არ მასხია, გადმოვფრინდე შენსკენ მეო,  
ამ ლამეს შენსა ცდაშია თვალს არ მივცე ლული მეო,  
და განა თავსა ვიცოცხლებ თუ ჩემათ არ გიგულეო.  
გიხილე, გულს ლახვარი მკარ, სიყვარულათ მეწყულლეო,  
აწ ვერსად დაგემალები, — ჩემს სულს სულათ ერთულეო,  
(გულბაათი დიდხანს უყურებს გაშტერებული დავაზის  
მიმავალ ნავს).

**ბაადური.** გულბაათ, რას დააშტერდი ნავით მიმავალ  
ქალებსა?

გულბაათი. ცოტა ოცნებამ წამილო, წყალს ვალევინებ  
თვალეებსა.

ბაადურნი. შენთან ძალიან ჩაბუირდა ის ქალი ლაპარაკითა.

ხომ არ აგიქოთა გული ტკბილი ღიმილით, „ნანი“-თა.

გულბაათი. მერე მაგით რა გამოვა, ის მთას ზის, მე კი ბარითა!

ვინ მე და ვინ ის, შენ თვით სთქვი, აბა საიდგან საითა?

ბაადურნი. მიჰყე, იქნებ მიგიყვანოს!

გულბაათი. საიდგან! რა გზით-კვალითა? საბედისწერო კარამდინ?

ბაადურნი. რათა, იმისიც თანხმობით და არა ძალისძალითა!

გულბაათი. (ეს სიტყვები გულბაათს ღრმად ჩასწვდება გულში, ჩააფიქრებს და ღრმა ფიქრის შემდეგ თავისთვის). ჩამოსხდებიან ყოჩნები, არ გაირევენ ძერასა.

კაცი ვერ დაემალება ბედსა და თავის წერასა;

მაშ, დეე. რაც იყოს, იყოს, მივყვები შუქის დენასა,

ან წყალში თავსა ჩავიქცევ, ან შევეყრები ღზენასა!

**ლოდინი დავაზისა და მისვლა თავფარავნელ ჭაბუკისა დავაზთან.**

3

დავაზი. მთელი წუხანდელი ღამე ამ თვალთ არ უნახავთ ლული,

ნაირ-ნაირმა ფიქრებმა ღამის შემთავებონ სული,

გულბაათ, ჩემი სიტყვები, იქნებ გეგონა რამ რთული,

იქნებ ვერ მიჰხვდი ჩემს კილოს და დამირთე წყლულზედ წყლული!

ნუ თუ არ გამხდი მე შენს ღირსს, არ მოხვალ არ მომცე გული?

თუ ეს მხვდა შენგნით პასუხად, თვალთ დავდვა უშრობი რული!

მთელი ღამე ამ სარკმელში ვანთე სანთელი შეკრული, კელაპტრად გარდავაქციე ერთი ათამდე ჩაწნული;

ამალამაც კიდევ გიციის შენ ეს გული დაღრუბლული,  
დეე, ამ თვალთ კიდევ ნახოს ბინდი სინათლით დაკრული!  
გულბაათ, ნეტამც გზას დამხვდე, გამიმართო ხელჩარ-  
თული,

ჩაგივარდებოდე მე ტყვედ, მით ვაჯერო გული კრული!  
**დიღვარდისა.** (შემოდის პირმცინარი, მივა პირდაპირ,  
დავაწთან, მოეხვევა ორთავ ხელებით, გადაჰკოცნის).  
აქ ხარ? გამარჯობა დავაწ! ქალები გაახლებიან!

**დავაწი.** სთხოვეთ, გენაცვა, მობრძანდნენ, კარებში  
ნუ ჩერდებიან!

**ქალები.** სალამი დავაწს! ძვირფასო იქნებ მიგვიხვდე  
წადილსა!

მოგვიხერხეთ ტბაზედ წასვლა, ნუ ჩაშლით ჩვენსა ქა-  
დილსა,

სთხოვეთ მამას, რომ გაგვგზავნოს, ნუ დაზოგავთ სიტყვას  
ტკბილსა;

დავაწ, გახსოვთ თევზაობა, მეთევზენი ფარავნისა?  
წუნს მათ ვერავინ დასდებს, ცალ-ცალი სჯობდა რამინსა!  
ნეტამც იმათთან გვამყოფა, შეგვახვედრა იმათ ლხინსა!  
იმათთანა ტოლისათვის გავიღებდით თვალის ჩინსა!

**დავაწი.** შენა, დიღვარდ, შენ რას იტყვი? დარჩი ნა-  
სიამოვნები?

**დიღვარდისა.** ნურას მკითხავ, ჩემო დავაწ, მე იქ მა-  
ხეში გავები!

ჩემს თავსაც ვერ გაუბედო მე იქ ნაგრძნობი წამები;  
თუ წამიყვანს ვინმე კიდევ, სიამოვნებით წავყვები!

**დავაწი.** (დავაწი მოეხვევა დიღვარდსა და ხვეწნით  
ეუბნება):

მაშ ეგრეა? უნდა მითხრა, შენს სიყმეს ვენაცვალები!  
რა მოგეწონა?— თუ გაგთქვა, დამიდგეს ორთავ თვალები!

**დიღვარდისა.** მე ბევრი რამ მომეწონა, უფრო კი ვა-  
ჟიკაცები,

ვნატრობ რომ იმათთან შემხვდეს სამუსაიფო წამები,  
ან მათი და ვყოფილიყავ, იგინი ჩემი ძმანები!

**დავაწი.** (დიღვარდის ამისთანა სიტყვები დავაწს გააო-  
ცებს და მორიდებით თავისთვის ამბობს):

რა მესმის? რა მეყურება? ეს ხომ ჩემი სიტყვებია?  
გულის ყურში ხომ არ მიჯდა და იქ არ აუკრეფია?  
(ძიუბრუნდება დიღვადისას და გულმობრუნებული ეუ-  
ბნება):

ჰო, მართალს ამბობ, დიღვარდო, საამო ვაჟი რამ იყო...  
**დიღვარდისა.** (დიღვარდისა არ დააცლის დავაზს დაა-  
თაოს სიტყვა და ეტყვის).

ჰო, გულბაათს რომ ეძახდნენ, მუსაიფი რომ დაგიწყო!  
**დავაზი.** (ძალზედ თავშეკავებული თავისთვის ამბობს):

რა იცი რომ ამ ჩემს გულში იმან ბინა არ დაიდო  
და მისი სიმშვენიერე ჩემმა სულმაც არ გაიყო!  
(ძიუბრუნდება ქალებს და ეტყვის):

კარგით, ქალებო, ვეცდები, ვეტყვი მამას თქვენს წა-  
დილსა,  
მე თითონ შეგატყობინებთ, როდის, სად შევხვდეთ ად-  
გილსა,  
მე ვგონებ, ნავს არ დაგვიჭერს და მიხვდეთ თქვენსა ქა-  
დილსა.

(ღიმილით და ხუმრობით) მხოლოდ, ქალებო, გაფრთხი-  
ლებთ, ბიჭებს უაროთ გან-განა,  
თორემ იმათი ღიმილი გულს დაგისერავთ, ვით დანა!  
(ქალები ეთხოვებიან, დავაზი რჩება მარტო; ნელის ნა-  
ბიჯით მივა სარკმელთან, ღონე მიხდხლივით ჩავარდება  
სარკმელთან მდგომ სავარძელში და თავჩალუნული მიე-  
ცემა ფიქრს; მცირე ხნის შემდეგ აიღებს მალლა თავს, ორ-  
თავ ხელებს გადიდებს თავს-უკან და სივრცეში თვალებ  
გაშტერებული თავისთვის):

ღამდება, ტბის და ცის სივრცე შავითა იმოსებიან,  
ათასნაირი ფიქრები საშიშრათ მელანდებიან;  
ამალამაც ამ სარკმელზედ შუქნი აკელაპრტდებიან,  
თუ დაინახავს მიჰხვდება, თქმანი მოაგონდებიან;  
თუ არ მოვა მე თვით წავალ, ნავნი აფრთიანდებიან,  
თან ამას ვფიქრობ და ვშიშობ, ყმანი ახიანდებიან.  
დეე, მოვალ, განახავ გულბაათ, გავხდი აწ მე შენი წერა,  
რადგანც ერთმა შენმა ნახვამ ჩემი ჭკუა გააშტერა.

შენ კი, ვინ იცის, სად, რა გზით ბადით თევზებთან ალ-  
მასობ,

და მათთან უცხო სიტყვებით მაგ ტკბილი ენით კალმასობ!  
ახ, ნეტამც მეც თევზათ ვიქცე, მოვყოლოდი შენს ბადეში.  
ზედ ხელზედ დაგაკვდებოდი, სულს დავლევდი შენს  
ალერსში;

ან შიგ ჩავცურებულობდა მაგ შავ თვალების სიღრმეში  
და იჭიდგან მეთვალთვალნა, ვინ ჰყავდა ხედვას ნიშანში!  
რათა? რამ გარდააქცია მაზედ ფიქრი ამ ჩემს ხვედრათ?  
საიდგან შემოეპარა ამ მყუდრო გულს იგი მკვეთრად?  
რათ მომესპო გულს სიმშვიდე? ხსოვნა მისი რათ მაქვს  
მწველად?

რათ სდგას თვალ წინ მისი სახე აჩრდილივით განუყრე-  
ლად?

გული გონება რათ მიგებს მისი ხსოვნით ყველგან მახეს?  
ცას მეომართა ღრუბლებში რათ მეხატვის მისი სახე?  
რათ არის მისი სახელი ჩემთვის ვარდებით შემკული?  
რამ დამიჯაჭვა ეს გული? რათ არის ლახვარ დაკრული?  
აი, გინთებ კელაპტრებსა, შე ჩემო გულის ლახვარო,  
მაგრამ როდემდის, არ ვიცი, როდემდის უნდა დაგფარო!  
(ანთებს სარკმელზედ ჩაგრეხილს სანთლებს და ისევ ჩაე-  
შვება სავარძელში. კარგა ხანს ფიქრ მიცემული, გამოერ-  
კვევა, ამოიოხრებს, თვალებზედ მორეულ ცრემლებს მო-  
იწმენდავს ხელსახოცით, გაიხედავს სივრცეში და მწუხარ-  
ებით იტყვის):

შუა ღამე გადავიდა!... ეს ჩემი ტანჯვა მისთვის რა! (მიუ-  
გდებს ყურს)

ტალღების თქრიალის მეტი აქ არაფერი ისმის-რა!  
(ცალხელზედ თავდაყრდნობილი სდუმს და მიუგდებს  
ყურს გარემო სიჩუმეს, უცებ):

(წამოიმართება ზეზე) მაცა! ეს რა შრიალია? თითქოს რი-  
ლასიც ხმა მესმის! (მიუგდებს ყურს)

ნიჩბების მოსმას წააგავს! (მიუგდებს ყურს) არა, ეს ლან-  
დები მესმის!

(ისევ დაეშვება სავარძელში; სიჩუმეა. ამ სიჩუმის დროს  
სარკმელში ვიღაც შემოისვრის თოკის კიბეს; დავაზი შე-

კრთება, წამოვარდება ზეზე და ნაბიჯით, ხელებ ამართული, კშორდება სარკმელსა; მალე გონს მოსული, მივარდება ფანჯარასთან და ჩასძახებს):

გულბაათ, შენ ხარ? დაიცა ჩანგლები მოვდო ჩარჩოსა!  
(ათრთოლებული ხელებით ასწორებს ჩანგლებს და თითონაც ნახევრად გადახრილი, ჩააწოდებს ხელს:)

ნელა ამოდი! მეღირსა! ძლივს არ გეღირსა აქ მოსვლა!  
(სარკმელში ამოსულს გულბაათს მოჰკიდებს ხელს, გადმოიყვანს ოთახში, აღელვებული ხელს ჩაჰკიდებს და მიჰყავს თავისკენ სავარძელთან ოთახის შუა):

აი, აქ დაჯექ ჩემს ახლო, ეს შენ ხარ ჩემი მპყრობელი?  
(დააყენებს და ჩააშტერდება თვალებში)

დადექ გიყურო! არ მჯერა, გული მექმნა უნდობელი!  
სად იყავ? რათ მაცდევინე მთელი ღამე გუშინდელი?  
იცი, რა გადავიტანე ტანჯვა-ვაება უთქმელი?

**გულბაათი.** დავაზ ეს მე ვარ! დაწყნარდი, შენთან ვარ შენი მცნობელი!

მოველ, უნდა გარდავწყვიტოთ ჩვენი ბედი უცნობელი;  
აქ ლაპარაკი მეტია, დრო მიდის თვალის მსწრობელი,  
უნდა წავიდეთ აქედან, მტერი გვყავს დაუნდობელი!

**დავაზი.** განა ვინ მტერი? რა მტერი? გარემო სძინავთ ყველასა,

მე რომ შენ გნახე, განა ღა მივიჩნევ ქვეყნის წყევლასა?

**გულბაათი.** დავაზ, მე შენთვისა ვშიშობ, შენ მიჩვენიხარ ყველასა,

უნდა წავიდეთ აქედან, აქ არვინ მოგვცემს ღებენასა!

**დავაზი.** წავიდეთო? და ან კი იქ შეუკრავთ ვისმეს ენასა?

ათასად აქ შენ წინ გამჭრან, თვით ნახავ ჩემსა ღებენასა!

**გულბაათი.** კარგი, დავაზ, გაგიბედე სიტყვა ტკბილი, არა მტრული,

ღმერთმა ჰქნას, რომ არ გვენახოს ბოლოს ცრემლით სინანული!

რა მომიყვანდა მე შენთან, თუ არ შენი სიყვარული?

მოვედი, რომ ჩაგაბარო ჩემი ბედი დაჩაგრული!

დავაზი. და მე მაგ ბედს ამ ჩემს გულში ადგილს მივ-  
ცემ, ტკბილ წაშებსა,  
ჩემთან შევზრდი და ვატარებ, მოვახვევ გრძნობის ალებსა!  
გულბაათი. დავაზ, ეს მითხარ, მიაშბე, სად იყავ, სად  
იზრდებოდი?

ჩვენ თქვენსკენ ბევრჯველ ვყოფილვართ, რატომ არსადა  
ჩნდებოდი?

დავაზი. მართალი ხარ, ჩემო კარგო, ჩემსას ვერას გაი-  
გებდი,

რადგან გამვლელს და გამომვლელს ყველას სახეს ვარი-  
დებდი;

მრავალის მცველის თვალთაგან იქით ციხეს ავიგებდი.  
აქეთ ტბა იყო სავალი, გულს უშიშრად დავიდებდი.

დე, წარსული ღვარმა ზიდოს, მოუვარდეს დიდი წყალი,  
აწ მარგალიტს ავადულებ, გადმოვიდეს გუბე წყალი,

დამწვი? ნუ დამდაგავ მანც. შემიბრალე მე საწყალი;

შენს კალთაში დავლევ სულსა, შენის ხელით მასხა წყალი,  
თუ მნახვენ იტყვიან მაინც, რისთვის კვდება ეს საწყალი;

მინდა ჩემით შენს სიცოცხლეს ზედ შაქარი მოეყაროს,  
უბედოთ ნაგალს ამ ქვეყნათ გულს ჯავრი გადაგეყაროს,

გარეთ და შინ გამარჯვებულს მტერი მუხლ-წინ დაგე-  
ხაროს,

შენით მოვკვდე, შენის ხელით მე გულს მიწა დამეყაროს.  
გულს გადგიშლი სამიჯნუროთ, და ამას გთხოვ, წაიკითხო,

გულმა გკითხოს, — დააჯერე, ჯერ ცოცხალვარ, გამი-  
კითხოს,

და, თუ მოვკვდე, მისთვის მკვდარსა მე გულს-ხელი და-  
მიკრიფოს.

გულბაათი. ტკბილო რამ ტურფა დავაზო, ჩემში სიტ-  
ყვა სად მოვნახო,

რომ საუბოვო ლექსებით მაგ შენს შევენებას შევეხო!

ვითა მკვნესარე ბულბულსა ვარდის ჭვრეტა ესურვოსა,  
ეგრეთ მე გეტრფი ტურფასა აშიყთა შესაშუროსა,

თავს განაცვალებ, სულს მოგცემ შენ, ჩემსა სამიჯნუროსა,  
მე ტყვედ ქმნილს შენი სიახლე ნუ მომეშლების ნუროსა!

ტალღით ნაზარდს გედს გამსგავსე და გედზედ გადამე-  
ტი ხარ,

ტაღლით მოწყვეტილს წვეთს ჰგევხარ, მეპკურე, გადამეტი ხარ.

უძირო ზღვაში ნაშობო, ლალისგან გადამეტი ხარ;  
ტაღლით ნატყორცნ მარჯანს ჰგევხარ, მარჯანზედ გადამეტი ხარ

ზღვის ფსკეს მზვარის მარგალიტო, მარგალიტზედაც მეტი ხარ.

ედემთა ველის ყვავილო, ყვავილთა გადამეტი ხარ,  
კვესით აბედის დამწველო, ტალისგან გადამეტი ხარ,  
სირმა ვერცხლისა ტაბაკო, ჩინეთით მოტანილი ხარ,  
მკლავები შიმშას მიგიგავს. გულ-მკერდით დახატული ხარ,  
**დავაზი.** გულბაათ, შენზედ უკეთესს ვისა ვნახავ მომავალსა,

იმ დღეს გნახე და მას აქეთ დავადე თვალი შენს გზასა;  
რაც შენ მოგშორდი მე აღარ შემიხედნია მზისათვის,  
ხოშორი ცრემლი მდენია, შემირევია ზღვისათვის,  
შენ რომ სიტყვებს მეუბნები, ჩემს გულშიაც წაიკითხე,  
მდიდარი ვარ, თუ გლახა ვარ, ღვთის გულისთვის გამიკითხე,

ეგრე როგორ დამივიწყე, გუშინ აღარ მომიკითხე?  
**გულბაათი.** დავაზი, მაგას რათ ამბობ? ნუ იტყვი საყვედურებსა,

ბედნიერთა ვსთვლი მე ჩემს თავს, შენ რომ თვალი გიყურებსა;

თქვენ იმ დღეს სიტყვა მიბოძეთ სურნელებისა იისა,  
მომეძულა მარტო ყოფნა, სმენა მომინდა მე მისა;;  
დავაზ. შენი სიყვარული ბევრს რამეს მომაგონებდა,  
წამს სურვილი მომივლიდა, საგონებელს ჩამაგდებდა,  
თვალთ ასე დამიბნელებდა, ყურთ არას გამაგონებდა;  
გულში ნატვრა დამეზადა. სიხარულო, პირმზეთ იჯდე,  
გარს გეხვიოს სპათა ჯარი,

წამწამისგან შებურვილსა გიშრისგან ვიჭროდეს ქარი,  
ალვის ხეთა ხეივანში შეგაქებდეს ტკბილათ ქნარი,  
სიბრძნით, სიუხვით დავითის ყარობთათვის იყო მთვრალი,  
ოქრო და ვერცხლი გაგეცეს, ზურმუხტი და ფირუზ-ლალი,  
გბაძვიდნენ, ვერ დაგედარონ, ვერც ია და ვერც ზამთარი.



**დავაზი.** გულბაათ, შედარებები ეგ ჩემთვის გადამეტია, არა ვარ უცხო რამ სული, არცა ვარ უცხო ჩიტია, — იადონი და მერცხალი, ვერა ხმობს ჩემთან გვრიტია; მაგ ბაგით უცხო სიტყვებმა, ვითა სასმელმა, მიტია, აწ მომკლა შენმა სურვილმა, საკლავათ შემომიტია.

**გულბაათ.** პირ-მზეო, სახე მას გიგავს — დილით ვარდს  
ნამი ეყაროს,

მთვარეს გაბადრულს პირიდგან ღრუბელი გადაეყაროს,  
მარგალიტისა კბილები აღის ტუჩებსა ეფაროს,  
ვნატრობდი შენთან ყოფნასა, გულს ჯავრი გადამეყაროს.

**დავაზი.** (დასტაცებს ხელებზე ხელს, წამოაყენებს ფეხ-  
ზედ და თვალებში თვალ გაყრილი ეუბნება):  
დადექ გიყურო მე შენთან ყოფნა არ მომეწყინების,  
სიცილი ელვას მიგიგავს, როდესაც გაგელიმების.  
სილამაზითა მზეს ჰგეგხარ, დილით რომ მოეფინების.

**გულბაათი.** დავაზ, ჩემო ტკბილო დავაზ, არ ღირს ვარ  
შენსა არესა,

შენმა სურვილმა მომიხმო, სხვა ვინმე მომიყვანებსა?  
შენი ნახვა ჭირს მომიკლავს და სევდას გამიქარვებსა;  
სხვა შენებრივ არ მინახავს დედის მუცლით დასახული,  
პირბადრი და მშვენიერი, მოხდენილი, ჯავარსრული,  
ხელი, მკლავი ჩამოსხმული, ტანი ალვად ამოსული,  
თქვენმან მზემან, თქვენი ნახვა ჩემთვის მზეა ამოსული!  
ანა ხარ ბროლი, ან ლალი, ყირმიზი ჩამონათალი,  
ობოლი მარგალიტი ხარ, ფერსა ვერ გიცვლის ზამთარი,  
თუ გულს ეჭვი შეგეპაროს, შემომითვალე მართალი;  
შემოგხედავ, მზეს გამგზავსებ, ინდოეთიდგან მოსულსა,  
ბროლ-მარგალიტსა უფასოს, მთვარეს ბადრსა ამოსულსა,  
სიცოცხლეს შენ მირჩევნიხარ, ნუ შეიცვლი ჩემზედ  
გულსა!

(გულბაათი ამ სიტყვებთან ერთად გადაეხვევა და გადაჰ-  
კოცნის დავაზს. გონს მოვა ჭაბუკი და ეტყვის:)  
დავაზ, დადგა გაყრის ჟამი, მტრედის ფრათ ინათლა ცამა.  
თავს ნუ მივცემთ ფათერაკსა, გვანახოს კვლავაც უფალმა.

**დავაზი.** გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლო-  
მელი,

გრძნობა გიწვევს ჩემთან იყო და ვნება დაუდგრომელი;  
თუ მომესძის შენი ქება უცხო თემსა, მაამებსა,  
შენი ბედი, ტკბილო ჩემო, იცოდე, გამახარებსა!

**გულბაათი.** ნურას ფიქრობ, მალე გნახამ, ნუ დაღვრი  
ცრემლსა მწარესა!

**დავაზი.** მაშ გელოდო ხვალე-ზეგით? მომცემ სიტყვას  
ნათასევსა?

უმანკოება შენ გელის, შენთან ნატრულობს წამებსა.

**გულბაათი,** ხელთ ბორკილი, ფეხებს ხუნდი, — თუ  
ჯაჭვით არ დამაბესა, —

გულს უნდოდეს გადმოფრენა და ვერ დავგლეჯ ამეებსა?  
იცოდე-კი თუ ვერ გნახო, შემავედრე ზენარესა.

ამ წალკოტში შენ ხარ ზრდილი ცის ნაშობი და სხვა არა,  
ამ წალკოტში შენ ხარ ღირსი, რომ ისუნთქო და სხვა არა,  
თუმც ამ წალკოტის გზა-კვალი ეკლითა ვინმემ შესარა,  
რკინისა კარი შეაბა, კლიტე სხვას მისცა, მე არა,  
მაგრამ სიკვდილსა სანაცვლოდ მე ჩემს თავს მივცემ, შენ  
არა,

მხოლოდ ზედ მას ნუ დამირთავ, მე მიყვარდე და შენ არა!  
(გულბაათი ორივე ხელით მიიზიდავს გულზედ დავაზს და  
გადაჰკოცნის)

თუ გზას ეშურვის ვაჟკაცი, წავიდეს, ნულარ ბანდდება,  
ამბობენ, დაბანდებულს მგზავრს ფათერაკიც თან აჰყვება;  
მაშ, ერთს კიდევ ვეამბორები შენს სახეს ხატად ნაჩენსა  
და თუნდ მოკვდეს გულბაათი, სანანოდ არა დარჩეს-რა!  
(გულბაათი უკანასკნელად გადაჰკოცნის დავაზს, გადაჰ-  
კიდებს თოკის კიბეს სარკმელიდან და თითონაც ჩაეშვება;  
დავაზი დიდხანს სდგას სარკმელთან თვალებზედ ხელებ  
აფარებული; და ბოლოს, თითქოს გონს მოვიდაო, იტყვის:)

**დავაზი.** გულბაათ, წახველ, თან წაგყვა ჩემი გული და  
გონება,

რა ვიცოდო თუ შენს სახეს შეეძლო ეს დამონება!

შევარდენის ფრთას შევასხამ ჩემს ფიქრთ შენთან მოსა-  
ფრენად,

შენ ჩემს მბრძანებლად გაგხდი, მე კი მონად. შენს მხლე-  
ბელად!

დავაზის მოთვალეურე ინადის მიერ სანთლების ჩაქრობა  
და დაღუპვა ჭაბუკისა ტბის ტალღებში.

4

ინადი. ეს რამდენჯერმე მინახავს, ეს რა სჩვევია ჩვენს  
ქალსა?

ნეტა რათ ან რისთვის ანთებს ამ სარკმელზედ კელაპ-  
ტარსა?

არავინაც არ დაზოგავს მისთვის სიყმეს, არცა თავსა,  
ის კი ყველას უარს უთვლის, არა ნდომობს ჯერეთ ქმარსა;  
ამისთანა ცუდლუტობით კი აქ ირთობს გულს და თავსა;  
აბა, ვინ იცის, ვინ მიხვდეს, ყმაწვილი ქალის ბუნებას!  
იქნებ ამ ბავშური ქცევით გვიმზადებს რამე ცდუნებას?  
და ჩვენ ამით თვალებს გვიხვევს საძრახ საქმეზედ ყუ-  
რებას?

ვიცი, ვიცი, ქალის გული მორევია შავი ზღვისა,  
თუნდაც კარგი კერა ჰქონდეს, მაინც მოუნდება სხვისა;  
ვერ-რით აავსებ მის გულსა, თუნდაც აჩუქო ზღვანია,  
უნდა და უნდა ახალი ლალი, ზურმუხტის ქვანია;  
მხოლოდ დავაზს რა მოსწყურდეს, ან რა შეჰშურდეს  
სხვისანი?

სავსეა ყოვლის დიდებით ბერბუკი მრავალ ყმისანიით,  
სრა-სასახლენით, ნაშენით თეთრ მარმარილოს ქვისანიით!  
(მცირე ფიქრის შემდეგ)

მაგრამ. ეჰ, ესეც კი თქმულა, — გული კრულია კაცისა,  
ხარბი და გაუძღომელი,  
ხანა ბრძანებლობს, ხანა ყმობს, ხან არის მიწის მძრომელი,  
და ვინ იცის, რომ დავაზიც სხვისა არ იყოს მდომელი,  
ვინმე პირუტყვის, უვიცის, არასფრის არა მქონელის?  
ამ ჩირაღდნებს მაინც კი აქ არ უნდა ჰქონდეთ ადგილი,  
საძრახ საქმეს არ გვიქადდეს და არ დაგვხადოს მანდილი!  
(აქრობს სარკმელზედ სანთლებს და გადის ოთახიდგან.)

თათბირი დავაზისა დიღვარდისა და სანდუხტსთან  
ჭაბუკის საძებნელად წასვლის წინ.

5

**დავაზი.** გონს მოგწყვიტავს შავი ფიქრი და რაშივით,  
განავარდებს,  
ხან აღმა. ხან დაღმა დაგხევს, შორს სამყაროს გადაგაგ-  
დებს;  
კფიქრობ, ვერ მივხვდი ვერას გზით, ვინ ჩააქრო ჩირაღდ-  
ნები.  
ვინ შემოვიდა ოთახში. ესა მტანჯავს, ამით ვბნდები.  
ამდენმა ფიქრმა დამლია, გული, გონება დაღალა,  
ვერა-რა მიზეზს ვერ მივხვდი. სული მთლად სევდამ  
დაღარა;  
რა ღამე იყო წუხელის! უკუნს რამესა ჰგვანობდა.  
ტალღა ტალღაზე ნაცემი ქვეყნის შთანთქვასა ღამობდა,  
გულბაათ. შენმა სურვილმა ცეცხლი მომიღო გენია,  
მე კი დამწვი და დამდაგე. — დაიწვას შენი დღენია!  
ვაჟ-კაცი, ცოლქმრობა გვსურდა, დამიდგეს ორთავთვა-  
ლები  
ნუ თუ ჩაგნთქა ტალღამ, თქეშმა და დავრჩით ისევ ცა-  
ლები,  
რა ვიფიქრო? რა ვიზრახო? ყოვლიმც ზეცამ დაიფაროს!  
ცოდოა მოკვდეს ვაჟ-კაცი და უდროვოთ მოიშალოს,  
ღია შუბლი და გულ-მკერდი ტბის ცივს ტალღებს მია-  
ბაროს.

**დიღვარდისა.** (შემოდის მხიარული) დავაზი, რათ ხარ  
მოწყენით? რა ფიქრი ჩაგხვევია?  
ჯავრს ნუ მიუშვებ გულზედა, ჯავრი კაცისა მკვლელია.  
ტიალი საღონებელი მუდამ საგონებელია!

**დავაზი.** კარგია მოხველ, დიღვარდო, მსურდა მე შენი  
ნახვა,  
დაჯექ. მინდა სიტყვა გითხრა, გულს მაქვს რამე გან-  
ზრახვა;  
დიღვარდ, რამდენი ღამეა თვალზედ ლული არ მოსულა,  
შფოთავს გრძნობა, ნუ მთხოვ მიზეზს, ვერას გეტყვი,

იცოდე-კი შავი რამე განსაცდელი თვალ წინ მიდგა, ჩემს  
საწამებლათ მოსულა.

**დიღვარდისა.** ნეტავი შენ, დავაზო. ქვეყნის თვალთ  
და ნაზო,

მოკისკასე, არვაზო, პირმცინარე, ლამაზო!  
მღერას ბანი ამშვენებს, ბალსა ვაშლი წითელი,  
გერჯის გული? — გადახსენ, ნურვის მოერიდები.  
რა გაქვს ნეტა სადარდო? ღირს რომ გული აბანდო?  
თავს გიხრიან ყვავილნი და სჯობს გული მათ ანდო:  
სიხარულს ნუ დაიხშობ უჟამური ფიქრებით.  
თორემ ვერას გახდები ბოლოს თითზედ-ლა კბენით!  
ბინდის ფერი სოფელი ხვალ-ზეგ უფრო ბინდდების.  
რაც კუტალში ჩაასხა, იგივე წარმოდინდების.

**დავაზი.** ენატკბილობ, ვით ბულბული, მეტყვი სხვა  
და სხვა ამბებს.

ვფიცავ ჩემს დიღვარდს, რომ მე ეგ სულაც არ მაამებს!  
სხვა რამ კუშტი ჰხვდა ამ გულს, აი ეს არ ჰგვრის თვალს  
ლულს.

ჩამჩურჩულებს ყოველ წამს შავ ფიქრებს რამე უჟმურს;  
ვიცი, ტირილით, ვიშით არვინ არ შემბრალებს,  
მოვლენ, დამწვენ, დამდაგვენ, მზეც იყოს, დამიბნელებს,  
მისთვის მინდა დიღვარდმა ეს თხოვნა ამისრულოს. —  
წავიდეს ჩადუნს სთხოვოს, რომ ნავი მოამზადოს:  
და შენც, ჩემო დიღვარდო, რაც გითხრა იყავ ყაბულს. —  
წამოხვალ ჩემთან ტბაზედ და იქ გეტყვის დავაზი,  
რა დარდიც უღრღნის მას გულს.

**დიღვარდისა.** მენდე, მე ნდობით გული მეგობრისთვის  
გავილო.

მისი ჭირი და ლხინი თანაბარათ გავიყო;  
მსწრაფლ წავალ ჩადუნს ვეტყვი, რომ მოამზადოს ნავი  
და თუ დურათ არ გეყმო, მაშ მოკვდეს ჩემი თავი!  
(დიღვარდისა გადის, რჩება დავაზი მარტო და მიეცემა  
ფიქრებს)

**დავაზი.** ჩემი აღმზრდელი სანდუხტი მეტყოდა ძველსა  
ამბავსა.

სიტყვითა თავაზიანით, დარბაისლურსა. არ ავსა,

ჩამოსხდებიან ყორნები. არ გაირევენ ძერასა,  
კაცი ვერ დაემალება ბედსა და თავის წერასა;  
ამას მიმღერდა სანდუხტი. ძველის-ძველს. არ ახალ  
თქმულსა.

იგი ხსოვნას შეეზარდა. ჩავიტანე ჩამრჩა გულსა,  
ჭკუა კი მიეტ-მოეტი ბრალს სდებს ფათერაკს უჟმურსა;  
ნეტა რა ზნე სჭირს ამ სოფელს. ვერ მიხვდა ჩვენი გონება.  
არჩევს და მიჰყავს ვაჟკაცი. რომელიც მოეწონება!  
ნუ თუ გულბათიც ვერ ასცდა და ერგო მისი მონება?  
შორს ჩემგნით. შავო ფიქრებო. ვერ გიზიარებთ გონება!  
ვაჟო. ვაჟიკაცის შვილო. ალერსს უწევდი ტალღებსა,  
განა ვინმე დაზოგავდა შენთვის სიყმეს, ანუ დღესა?  
რა ვიფიქრო. არ-რა ვიცი. საფიქრებელი ძნელია,  
გულბათისა არ ყოლა ჩემთვის ასკეცად ძნელია.  
თუნდც მზე აღმოჩნდეს ქვეყანად, ჩემთვის ისიც კი ბნე-  
ლია.

დავლენავ ლალ-მარგალიტებს. რათ-ლა მეყრების ხელია?  
ვერცხლის სიმებს შენთვის ჩავწყვეტ. შეწყდის სიმღერა  
ძველია,

გავიშლი თმას. დალალ კავებს. თავი გავხადო ხელია,  
შევტირო. ცრემლი ვანთხიო. ვიდინო სისხლი მწველია.  
(დავაზის მუხლებში ცემასა და მდულარე ცრემლით ტი-  
რილს წამოადგება სანდუხტი:)

**სანდუხტი.** რას ვხედავ? რა გაგიზრახავს. ჩემო ტკბი-  
ლო დავაზი?

მაგ თვალთ ცრემლი რისთვის სდით? ჰა. გამეცი ხმა ნაზი!  
**დავაზი.** ნურას მკითხავ. აღმზრდელი. მე თითონაც  
არ ვიცი,

ჩემს თავზე მომდის ბრაზი!

**სანდუხტი.** მისთვის ვზრდიდი დავაზსა. ვეწეოდი  
დავასა.

რომ მწარე მწუხარებით მას გულს დაღი დავასვა?  
მითხარ. გამიზიარე. რისთვისა ღვრი ცრემლებსა?  
სიტყვას გაძლევს სანდუხტი. საიდუმლოთ თქმულ რამეს  
მოვარიდებ მხლებლებსა!

და თუ ძალმიძს გიშველო, დავწყევლი ჩემს სიცოცხლეს,—  
შენთვის რამ დავიშურო!

**დავაზი.** დიდათ გმადლობთ, სანდუხტი, ტკბილი ნუგე-  
შისათვის,

ცრემლი ნუ შეგაშინებთ, გულს არ ვიტკენ სხვისათვის!

**სანდუხტი.** ჩემო ტკბილო დავაზო, ციურო ანგელოზო,  
მეც გირჩევდი. ბერბუკიც გაგეჩინა ნუგეში.

ტკბილ ალერსიან მკერდის მიგეძინა უბეში.

აგერ, ვაჟი როინი შენთვის ბნდება, გიჟდება.

განა იმის სიმდიდრეს ვინმე დაერიდება?

შენ კი დაგიჟინა. — არ შევირთავ მე ქმარსა!

არ გინდა და იცოდე მრავლათ დაღვრი ცრემლს მწარსა!

**დავაზი.** კარგი, კმარა, სანდუხტი, ნუ მიმართავ ოინსა,  
მე რამდენჯერ გითხარი.

რომ ვერ უზამ ცოლობას თავადისშვილს როინსა:

თუ გწამს ჩემი დედობა და ამაგი წარსული.

აბა, ჰქენ, მოარჩინე ამ გულს დალი დასმული:

შენ არ მეტყოდი ქალა, ნუ წაჰყვებო კაცსა.

თუ არ გიყვარდეს გულით და არ მოსწონდეს თვალსა?

ქალს უნდა ვაჟ-კაცთ ვაჟ-კაცი, არ მზისა დასარიდია.

მხნეთა მხნე იყოს შინ, გარეთ, მოყვარე, არა ფლიდია.

ლომი ლომობდეს ფრანგულით, მტერსა დაჰმართოს  
რიდია.

მოყვართ მოყვარე მთლად თემში ლხინი, იმედი დიდია:

რა დაწვეს, ამას იტყოდნენ, მზე ჩაესვენა, ბინდია.

ადგეს და შუქი მოჰფინოს, მთვარე გეგონოს მშვიდია:

ეს არა სძმობდეს ვაჟ-კაცსა, თვალით არ ვნახო ქმარი.

ასე ვეტყვი მე სანდუხტს გასათხოვარი ქალი.

**სანდუხტი.** ჰო, და თუ კი ვინმე გიყვარს, კიდევც უნდა  
უთხრა სანდუხტს.

რათა სტანჯავ გულს უმანკოს? დაგიშლი? არ დაგცემ  
დასტურს?

**დავაზი.** კმარა, დიღვადი აქ მოდის, რაც-ვსთქვით,  
დაფარული იყოს,

თუნდ უბრალო საყვედური არ მინდა, რომ სხვამ გაიგოს;

დაშ სანდუხტი. წაბრძანდებით და ეგ თქვენი დარიგება  
ჩვენ ორთა შორის დარჩება.

(შემოდის დილვარდი და მიეგებება დავაზი:)

დავაზი. რა ჰქენ, დილვარდ, რაცა გთხოვე, გარდაეცი  
ხომ ჩადუნსა?

დილვარდისა. ვნახე, მითხრა, მზათა ვარო, აი თუნდაც  
ამავ წუთსა!

დავაზი. სჯობს წასვლა წამავალისა, არც დახანება  
ხანისა!

წავალ. მოვივლი ტბის კიდეს. იქნებ მივხვდე ვისმეს მისსა,  
მნახველსა იმა ყმისასა. მართლის მთქმელსა. არ თუ მქისსა;  
იქნებ ვისგანმე ვისმინო გულბათის შემონათვალი,  
დავაჯერო ეს ზღვა გული და ვყო ჰმუნვა ნაათალი;  
თუ ვსცნო რამე სანუგეშო სატრფოსგან შემონათვალი. —  
უფროს ვიცნო მიჯნურობა, მის გზას დავდვა მონა თვალი:  
ხეტამც ძალმიძს მე ტანჯულსა ვისმინო შემონათვალი?  
მაგრამ, დეე, შეიწიროს ჩემი გული, ჩემი თვალი!  
ავფრინდები, შენთან მოვალ. შევარდენი შევიქმნები.  
შენ ბატონი მწყალობელი, მე ერთგული ყმა ვიქნები.  
გულს მოგიგებ. ხელს მოგიწყობ. ბამბის ფთილად დავიქ-  
ნები.

თუ შენს ურიგოს მოვისმენ. ლუკმა-ლუკმა ავიჭრები;  
მარგალიტისა კოკასა წყალს ჩავაყენებ ცოტასა,  
დავლევ და დაგალევიანებ, ზედ შემოგახვევ ცოდვასა:  
რაც იყო აშკარავდება ჩვენ ქება შესხმა ხოტბასა.  
ჭირი ჩვენ ლხინი სხვას ერგო. უჩივით გულის კოდვასა:  
წყალს მიღმა-მოღმა შენ ვლიდი, გამოღმა ბინდი დამეცა,  
არცა შენ გაქვს და არცა მე, რაც ჩვენ გულს დანა და-  
გვეცა.

ჩემი ჭირ-ჰმუნვა სურვილი. რომ მუდამ სხვისთვის მიმეცა,  
ვინ მაყენებდა ნებაზე. — შენთვისაც სიტყვა მომეცა?  
წყალ გაღმა თავფარავანი, გამოღმა მისმან სმენამან.  
არ აგვისრულდა საწადი. სულ არ გვადიროსა ზენამან.  
არ ვიმჩნევ წყლულად. არც გამჩნევ. სწყვიტოს სვე ბედმან  
ჩვენამან.



ისე დაგფარავ კალთის ქვეშ, არ გაგთქვას ჩემთან ენამან.  
არ უნდა გექნა ვე საქმე, არ შეგეშალა პირია.  
როგორ გაუძლო მე ნალველს. ჭირზედ დამირთე ჭირია,  
გაუბედურდი და დამწვი, მდის ცხარე ცრემლი, ვტირია,  
ვერ რით მომინელებია. ვზივარ მწუხარე, მწირია:  
გულბაათ, ჩემში რა ნახე. სიტუროფის მეტი ნავალი?  
არას დროს არ მიზრახია მე შენთვის რამე ზარალი,  
დღესაც რომ რამე შემეძლოს. შენთვის დავზოგო წამალი?  
თუ არა და რით გიშველო? — არსით მაქვს გზა გასავალი.  
არ ველოდი მე შენს გაყრას, არც შენსა მოშორებასა.  
არ ვიკადრებდი არას დროს სხვა და სხვის მოჭორებასა.  
მაგრამ ღმერთმა არ ინება. მიმცა ტანჯვის ცხოვრებასა,  
მტრად მშობელი გადმიქცია. ვკარგავ მე სასოებასა.  
დიღვარდო, ადექ, ვიაროთ, ჩადუნი მიგველოდება.  
გავიდეთ ტბისა კიდეზედ. თორემ აქ სული ღონდება!

**დიღვარდისა.** შავსა ფიქრსა მოუცვიხარ, ენა ტკბი-  
ლობ, ჩემო მზეო.

დაღრუბლულხარ ფეროვანი, ვარდი სჭკნები. ხარ უმზეო,  
ნუ მობურავ კაეშანით უმანკო გულს, იქმენ მხნეო,  
ჭირსა შინა გამაგრება უნდა, ვითა სალი კლდეო.

**დავაზი.** დიღვარდო, ჭკუა, გონება ბრძნული სიტყვით,  
გაიწრთვნება.

მომისმინე. გეტყვი სიტყვას, — არ იშვიათად ითქმება:  
იაგუნდ-ლალი, ზურმუხტი აღმასითა გაითლება,  
უძირო და უნაპირო ზღვა კოვზითა დაიცლება,  
ჟამთა ბრუნვისა ტრიალი წამის ხამით გაითვლება,  
ცრემლით ვალამებ ვათენებ და ჩემი დღენიც ითვლება.  
მეორედ წასვლა დავაზისა ტბაზედ ჭაბუკის საძებნელად,  
აქ შეხვედრა მენავისა და ამბავი მისი ჭაბუკის დაღუბ-  
ვაზედ.

6

**ჩადუნი.** დღე-ღამ შენი სურვილი მაქვს, სანანელად  
გამხდენია.

მოულოდნელი სიზმრები საკვირველად ამხდენია.  
მუდამ კი ფიქრს ვერ გავბედავ. ვტირი, ცრემლი დამდენია,

თუ არ მწყალობ, მიჯობს მოვკვდე, გთხოვეთ რამდენ-  
რამდენია,

ახ, დავაზი დავაზი, ჩემს გულს დალი დაასვი!  
ჯალათად ამ ფიქრს აუჩნდი, დღე-ღამ ასე მითენია,  
ხან გილოცავ, ხან კი გწყევლი, მაინც ეს გული შენია,  
ობოლ ყარბს წილად ეს ჰხვდა და ამისი მომთმენია,  
რადგან იცის შენს ზღუდეებს ნარ-ეკალი უფენია.

ახ, დავაზი, დავაზი, ჩემს გულს დალი დაასვი,  
(დავაზი და დიღვარდისა ჩადუნს წაადგებიან, სულ გა-  
ნაბულნი ყურს მიუგდებენ:)

**დავაზი.** დიღვარდ, გესმის ჩადუნის ხმა, ყური უგდე  
იმის სიტყვებს!

ვინ დავაზი, რა დავაზი, ნეტა მითხრას, რას ლულლულებს:

**დიღვარდი.** ეს დავაზი თითონ შენ ხარ, ბიჭებს რომ  
დალი დაასვი;

მარტო ჩადუნი არ გიმღერს, მოგიტვალო თუნდა ასი,  
ამ სოფლის ვაეკაცებისთვის შენ გამხდარხარ რამ ძვირ-  
ფასი.

გაქებენ და გაღმერთებენ, ვით სუფრაზედ ღვინის თასი.

**დავაზი.** ნეტა მაგათ, მოუცლიათ, აქვს, განა, მათ სიტ-  
ყვებს ფასი?

ჰკითხონ ახლა ამ ჩემს გულსა, ილევა, გააქვს ლასლასი,  
ისიც კმარა, ვინც მის ზღუდეს დასვა რამ დროშა ატლასი,  
სასერავად ხელთ უჭირავს ოქროს დანა პირ-ალმასი!

**ჩადუნი.** (არ ამჩნევს და განაგრძობს სიმღერას)

მე დავაზის სიყვარული გუნებაში ჩამიგდია,  
ჭორი ბევრი გავიგონე, მაგრამ ყური არ მიგდია,  
თუ რომ გულით არ მიყვარდეს, ჩემი რჯული დამიგდია!

**დავაზი.** (გამოეხმაურება) კარგ რამეს ამბობ, ჩადუნი,  
კარგი სიმღერა გცოდნია!

**ჩადუნი.** ვაიმე სირცხვილო, დახე, თავზედ არ წამომ-  
დგომიან!

მაპატიეთ, ქალბატონო, ეს სიტყვები და სიმღერა სოფელ-  
ში გამიგონია.

ჩვენი მეზობლის ბიჭები რისა არ გამოგონია!

**დიღვარდისა.** აბა, ჩადუნ, მზათ გაქვს ნავი?

**ჩადუნი.** დიახ, ამ წამს, თოკს მოვიტან!

**დიღვარდისა.** წადი. გიცდით, ჩქარა მოდი. კი არ და-  
გვანებო თავი!

**დავაზი.** ჩემო დიღვარდ, ნეტა ამ-წყალს ენა ჰქონდეს  
მოუბარი,

რამდენ რამესა ვკითხავდი. — საით, ვის. სად დაჰკრა  
თვალი;

რამდენი რამეს მცოდნეა, არ ვიცით მის ნათალი.

მთქმელი იყოს, იქნებ გვითხრას ვისიმე შემონათვალი!

ნეტამც ამ ტბის თავისუფალ მოსრიალე ტალღათ ვიქცე,

რომ ნაპირები მოვლიო, უხვედრ კუნჭულში მივიქცე,

ჩავწვდებოდე მე მის უფსკრულს, რომ მენახა მის სიმ-

ტკიცე;

ვინ დაიდო იქ სავანე, ვინ იყო ვისი მოფიცე!

წუთისოფელმა დღე ჩემი ძემწარა დამალევინა,

არც მომკლა, არც დამარჩინა. არც სული დამალევინა.

მატირა ცხარე ცრემლებით და ზღვისთვის შემარევინა.

ვისთვისაც ვიტანჯებოდი, ჩემი მტრობა აქნევინა!

**დიღვარდისა.** დავაზო, ბრძენი ბრძანდები, რათ. ან  
ვისთვის ვახ-ვახ ვიშობ?

იცოდე, ჭირს ლხინი მოსდევს; თუ ბრძენი ხარ, რათა ში-  
შობ?

**დავაზი.** დიღვარდო, შენ ვერ მიმხვდარხარ, რაიცა  
სდევს ამ გულს შინა!

წავიდა, არ წამიყვანა, მარტო გამიშვა მე შინა.

ნეტავი მეც წავეყვანე, ორივეს თავში გვეშინა!

დიღვარდო, ბედს არ ვემდურვი, რომ უდროვით გამე-  
ყარა.

რაც რომ აქამდის მახარა ჰა. სულ ახლა ჩამამწარა,

წავიდა და თავის ხელით მე საფლავი გამითხარა.

ჩამაგდო ქვეშკნეთს უძიროს და ზედ ქვანი მომაცარა

მშვიდობით, ჩემო მიჯნურო, შენთან ვარ განათიცია.

ჩვენი ფარული სიტყვები არვისთვის გადამიცია.

შორსა ვარ, მაგრამ დღე და ღამ შენსკენ რბის გული, გო-  
ნება..

არ ვიცი, კიდევ გნახავ, თუ სხვა ვინმე ჩაგეკონება!

**დიღვარდისა.** (თავისთვის) არა ვსცდები, ეხლა მივხვ-  
დი, ვისთვისაც ასე ენატკბილობს;

ვინც წავიდა, რა ვიცით, რომ ჩვენს ნახვას არა ნატრუ-  
ლობს?

და ამიტომ ჰმართებს გულსა ვიშ-ვიში დაასადგუროს?

აგერ, ჩადუნს თოკიც მოაქვს, ეხლავ გავალთ ნავით ტბაზე,  
იქ მოსისინე ნიავი ფიქრს წაიღებს ლიბის მთაზედ;

შორს აუარე ფიქრებსა, ახლო ნუ მიეკარები.

წაგიღებს, შორს გადაგტყორცნის, მშველელს დაეხშვის  
კარები,

ჩაგძირავს უძირო ზღვაში, უდროვით მიეფარები.

**ჩადუნი.** ჩაბრძანდით, დავაზ, დიღვარდო, საით გვიბრ-  
ძანებთ წასვლასა?

**დავაზი.** როგორც გსურს, ჩადუნ, მიაგდე ნავი ნაპირ-  
ნაპირასა. (სხდებიან ნავში).

**დიღვარდისა.** დავაზ, ძვირფასო დობილო, არაფერსა  
გთხოვ ვისასა,

ვიცი რომ სიტყვის ქალი ხარ და ვალს გადიხდი სხვისასა:  
გახსოვს, მეტყობდი, დიღვარდო, ჩემთან წამოდი ტბისასა  
და იქ გაიგებ ყველაფერს, რა ჯავრს ვატარებ ვისასა.  
ვუყურებდი შენს კაეშანს და ბევრჯველ მეც ცრემლი  
ვღვარე,

გული, შენი მოზიარე, მოღრუბლოვ ცას შევადარე,  
მითხარ, რა გტანჯავს? რათ ხელობ? გული მომიღმო-  
ბიარე,

თუ გაქვს ნდობა, გაძლევ სიტყვას, შენთვის შევძრა არე-  
მარე.

**დავაზი.** სოფელს რა მხარეც უნახე, სულ ყველა მხარე  
ჭრელია.

ძმაცა ვცან და ძმობილიცა, ორივე ფეხთ ხვრელის მიხრე-  
ლია.

სადაც მოკეთე მეგონა, იქ ყველა ჩემი მტერია.

ეს ამისთანა სიცოცხლე ნეტა რა სანატრელია!

დიღვარდ, თუ მეგობარი ხარ, შენ შემოგავლებ ჩემს  
თავსა.

თუ მიმტრობ და ხელად ვიქცე, გავარდე მთას, ანუ ბარსა,  
გულს გადგიხსნი. გეტყვი ყველას არ დავმალავ ნატამალსა,  
დე, ლხინი ჭირად მიქადე, ამით განდობ შენ ჩემ თავსა.  
დაო, ვიგრძენ სიყვარული. გადვიშალე ათასფერად,  
გულს ბინა მივეც ჭაბუკსა სამეგობროთ, არ თუ მტერად,  
სულს საჩუქრად ვამზადებდი. ვაყვავებდი ვარდის ფერად,  
ნარგიზ კონებს ვაგროვებდი. მინდოდა გასაგზავნელად:  
მეც თან მსურდა გადაფრენა, მაგრამ ჯაჭვით დამაბესა,  
მარჯვნივ და მარცხნივ დამიდგნენ. წინაც მახე დამიგესა,  
გულმა რამდენიც იწია, იმდენი მყის ასერესა,  
ცეცხლი მომიდეს გენია და ასე დაასვენესა.  
ცალგნით ცანი და ქვეყანა. ცალგნით დავინახე ზენა.  
გულ-მკერდი ვაჟი-კაცისა. პირს ედვა ბულბულის ენა;  
შევეყარე. შემომფიცა, — შენ მიყვარხარ, მარტო შენა,  
უშენოდ ღმერთმა ნუ მომცეს სიცოცხლე და აღმაფრენა,  
თუ მომცეს ისევ წამართვას, ნუ ღირს მყოს წამის დაქშენა.  
წავიდა არ წამიყვანა, აგერ ვუცდი ჟამს მრავალსა.  
რა ვიფიქრო, რა ღონე ვქნა, ვერ ვხედავ მე გასავალსა:  
ვიცოდე კი რომ ვერ ვნახავ, სათქმელად ვიქმდი ამბავსა,  
ან თუ უნახავს მომკლავდა, ამ წამს მოვიკლავდი თავსა,  
ჩემის ხელით გავითხრიდი შავს მიწაში მე საფლავსა,  
მოვიყვანდი გულ დამწვართა, გულზედ დამაყრიდენ ქვასა.  
სევდიან გულის გამშლელი. წამლის დამდებო სულზედა.  
მისი სახე რომ ვიხილე, ვარდი მეშალა გულზედა.  
ვერ გამოვიღე ფიქრიდგან, შემეჭრა, დაწვა სულზედა.  
ცოცხალიც მისი ვარ, მკდარიც. მტკიცე ვარ მე ჩემს  
რჯულზედა:

დიღვარდ, გულის საგნათ ვიმჩნევ ამ დანას მე მისეულსა.  
არ გავსცვლი მთელს ქვეყანაზე მე სიხარულს ჩემეულსა,  
მის ნახვით რაც რომ მე დავსტკბი, ვრაცხ ჩემს თავს აშენე-  
ბულსა.

არა ვტოვებ მე ჩემს გზა-კვალს ერთხელვე აჩემებულსა.  
**დიღვარდისა.** ვით ბულბული ვარდზე მჯდომი ენით  
ამბობ გალობასა.

ეს ტალღებიც შენ გეტრფიან. არ იჩენენ მკრთალობასა.  
მოირთე და მოიკახმე, ნუ მოიშლი ქალობასა.

ანუგეშე მუდამ გული. ელოდე ღვთის წყალობასა.  
ორჯერ მეტად გამახარა შენმა დიდმა სიყვარულმან  
გჯეროდეს გულში ვერ ვიტევ. ამატანა სიხარულმან,  
ჭირ-ჭმუნვას ნურად მიიჩნევ, არ მოგწყვიტოს ძილმან  
რულმან.

დასტკბი საამო სიზრმებით. მოსვენოს სულმან. გულმან!  
აჰა, მივდგ-მოვდგეთ ტბის კიდეს, განა წლისა სავალია?  
იქნებ ვისმე თვალი დავკრათ. ჭაბუკთან ვზას მავალია,  
ყველა კაცსა თავის საქმე ბუნებითად ავალია,  
აღმართ-დაღმართი ბევრი გვაქვს, ასავალ-დასავალია.  
გულს სდომია ვაჟი-კაცი. თორემ ვაჟი მრავალია;  
ჩადუნ, იარე ტბის კიდეს, ბევრგან გზა გასავალია,  
ვინც შეგხვდეს, ყველას ვკითხავდეთ. საით, სად ვინ  
მავალია.

ენამ მკითხვითი-მკითხველმა ფრანგეთ მისრეთი დალია.  
გზა გაიყვანა კლდე-ღრეში, უდაბნო ჰყო მავალია.

**ჩადუნი.** თქვენ გვიბძანებთ. ქალბატონო, გულ-ამა  
ყვით ჩვენი ვალია.

ძირს არ დაუშვებ თქვენს სიტყვას. ჰმოწმობს ღმერთი მა-  
ღალია!

**დავაზი.** ჩადუნ. ტალღებში რომ მოსჩანს, რაა? ნეტა  
თუ ნავია?

**ჩადუნი.** ჰო. დიახ. ის მენავეა. დიდი ხნის აქ მავალია,  
ჩვენსკენაც ბევრჯერ მინახავს. თუ არ მატყუებს თვალია.  
(მენავე თანდათან ახლოვდება და შემოვსმით მისი ღი-  
ლინიც):

**მენავე.** მიჯნურობას არ ეყოფა სმა-ჭამა. ნებიერება.  
ქისას თეთრი. გულს ძალ-ღონე. პირად ტან-მშვენიერება:  
გარჯილობა და გამოცდა არს კაცის ბიძნიერება.  
უამისოთ ვერვინ დასტკბეს. — ყველგან ჰქრება ძლიერება.

**დიღვარდისა.** ჩადუნ, სთხოვე ცოტა შესდგეს ვკითხოთ  
ორიოდ რამ სიტყვა.

იქნება რამე გვიამბოს. არ გვაკადროს რისხვა კიცხვა.

**ჩადუნი.** ძმობილო, ცოტა შესდექი. აქეთ მოაცურე ნავი  
იქნება რამე იცოდე. გვითხრა ახალი ამბავი!

(მენავე შეაყენებს ნავს, ჩადუნის ნავი მიუახლოვდება)  
**დავაზი.** მამილო, წინა დღის ღამეს თქვენსკენაც იყო  
ის დარი.

თქეში-რამ ჭეჭა-ჭუხილით, კოკის პირული ავდარი?  
ბრალი მას ვისაც მოასწრო და ვერ იპოვნა საღარი!  
რა იყო, — ეხლაც გონს ვერ ვარ უნდა ჩაენთქა მთა-ბარი?  
**მენავე.** უფლის ნებაა, დობილო, მივწვდებით ჩვენ ჭკუ-  
ით განა?

ამდენმა უწესოებამ ცოდვით აავსო ქვეყანა. —  
აი რისთვის გვსჯის უფალი და წარღვნაც მან მოიყვანა!  
ბევრი მოასპო უცრემლოთ და დაასვა გულზედ დანა.  
შავ-ბნელი ღამე რამ იყო, უკუმს რამესა ჰგვანობდა.  
ტალღა ტალღაზედ ნაცემი ქვეყნის შთანთქმასა ღამობდა:  
ამ ჟამსაც აქ მომავალი თვალი ნახვით არ ამობდა.  
გული მოძულე მძულვარის სანახაობით ხამობდა:  
წყალს დაუხრჩვია ჭაბუკი, ჭოროხზედ ეგდო, ქანობდა.  
ღემს დასჯდომოდა ზედ ორბი, გულს უწიწკნიდა, ლა-  
ლობდა.

**დიღვარდი.** მამილო იგი ჭაბუკი რომელ სოფელში  
თემობდა?

სახელად რას უწოდებდნენ, ან საქმით რასა ხელობდა?

**მენავე.** გულბაათ ერქვა სახელად, ამ ტბაზედ მკება-  
დურობდა.

თემში ამბობდნენ, ვითომ რომ ბერბუკის ქალსა ჰყვა-  
რობდა;

ქალი უნთებდა ზღვით სანთელს, სანთელი კელაპტა-  
რობდა.

ვაჟი ცურვით მიდიოდა, გულ-მკერდი არა ჩქამობდა.  
თურმე ცალ ხელში დოლაბი, ცალ-ხელით ნიავექარობდა.  
ამბობენ, ერთმა ბებერმა ქალს ეს გაუგო, დალონდა.  
სული მთლად გაიბოროტა, ვაჟის დაღუპვას ღამობდა.  
სარკმელზედ ანთებულ სანთელს აქრობდა აბეზარობდა;  
ვაჟაი, ვაჟიც ამ ღამეს ქალის ნახვასა ზმანობდა?  
ეტყობა ღვარ-თქეშმა სძლია, მკლავით აღარა მკლავობდა,  
დაღლილა, წყალს დაუხვრჩვია, იქ, ნაპირს გდია, ქანობდა!

(დავაზი, რომელიც აქნობამდის მენავესა და დიღვარდის  
ლაპარაკს უგდებდა ყურს, აღმფოთებით).

**დავაზი,** ეს რა გავიგე? რა მესმის? დამბორკა ათას კე-  
ცადა!

თვალ-დამიბნელდა. მიშველეთ. არ ვიცი სად ვარ მე. სადა?  
რა კარგი იყო მაშინვე თავისა დახსნა მეცადა:  
არ ავყოლოდი ქვეყნის თქმას. არ მეწყო გრება-ბრეცადა!  
შენთანაც გავმართლდებოდი. არც შევრცხვებოდი ზეცადა  
პირშავათა ვარ მე შენთან. თუმც არ გავტეხე ფიცია,  
გილალატე. არ წამოგყე. გიკოდე გული მტკიცია;  
აღარ მაქვს პირი გიტყდები. ვირისხე ღვთისგან. ვიცია.  
შენ მკვდარი გნახო გეჩვენო. — ეს ღრღნის გულს, მდა-  
გავს. ვიწვია!

**დიღვარდისა.** პირით მოგდის სიტყვა ბრძნული. თათ-  
ლივითა დაშაქრული.

მსმენელთა ჭკუას წაუღებს. გულს გაიშლის დაჩაგრული:  
დაწყნარდი. არავინა სთქვას. — ქალია ენა ჩაკრული:  
ძალით ბედს ვერვინ იშოვის. არც-რა ვარგა ხელ-აკრული.  
დასჯერდეს თავის ბედ-იღბალს. თუ რომ ჰქონდეს ჭკუა  
ბრძნული!

**დავაზი.** სულზედ უტკბესო მამილო. უცნაური ამბის  
მთქმელო.

თვალ-მარგალიტით აგავსებ. თუ რომ ჭაბუკი მიჩვენო!  
გაგვიძებ. კვალი გვანახვე. უნდა იქ მზე დავიბნელო.  
აწ შეიმოსე შავებით. აქნობამდის გულო მთელო!  
ბედო, ამ სოფლის სიცრუევ. ფლიდო და დაუნდობელო!  
გზა ღორღი-ყორყის გქონია. ჯოჯოხეთის მეზობელო!  
თუ მეტსაც არ ვიხარებდით. რალათა გვშობე. მშობელო!  
სად იყავ? საით იარე. შე ჩემო გულის ლახვარო!  
მოვალ და მკვდარს მაინც გნახავ. საქმით რამ უნდა გა-  
ხარო:

გულსა გულისთვის მოგართმევ. რომ ზეცას სული ახარო;  
დავიჭრები ათასკეცად. საკმელად იგი გაყარო!

**მენავე.** შენ რომ ზედ თავი დააკლა, აბა. ეგ რა საქ-  
ნელია!



აუგი საქმის ჩამდენი ქვეყნის ენით სათქმელია,  
სიცოცხლეს ვერსად იშოვნის. ცამდის რომ აჰყო ხელია,  
ბედიც და უბედურებაც გულის ფიცარზედ სწერია.  
ეს ქვეყანა ტანჯვისაა, ავ-კარგი ჩვენი ვალია,  
ღმერთს ასე დაუწესია. მოუცია სჯა. თვალია,  
სახლში გვაქვს საბადებელი. ჭირნახული მრავალია,  
კაცი რასაც სთესს. მას მომკის. გადიხდის. თუ აქვს ბრალია  
ყველა საქმეს თავის გზა აქვს. დასაწყისთან დასასრული.  
კეთილი კარგათ თავდება, გლახა კია დაბაწრული,  
მრავალი ხვანჯით მარცხდება. დასაგმობი. დანაცრული.  
და კაცს თუ ეს არ ეყურება, წაუხდება დასასრული!

### აქ ნახვა ჭაბუკისა და მოთქმა დავაზისა.

**დავაზი.** რას ვხედავ? ეს ხომ ლანდია? არ სჯერა ჩემსა  
თვალებსა!

ვინ დაგადინა გულს სისხლი? შენთვის დანა ვინ აღესა?  
მოსიყვარულე გულს განა ვინ მოაკლებდა აღერსსა?  
თუ იყო მუცლით ნაშობი. ნუ თუ გველის გესლი სთესა?  
ნუ თუ მხეცის ძუძუ წოვა და მოსწყდა ტკბილსა აღერსსა?  
ბოროტად ნაშობი სული ჩაიქცეს უღრან სალ-კლდესა,  
შავმა მიწამ არ მიიღოს. ხელათ დარბოდეს ტყე-ველსა.  
ვინ დაგიკორტნა ეგ მკლავი? არ გრძნობდი ტკივილს  
მწარესა?

რამ დაგიდუნა ეგ მაჯა. რომ არ ასალმე წამებსა?  
მე შორიდგან ვერ ვხედავდი. მოშორებულს კუთხისაგან.  
ბევრი კაცი შევაჯერე შენი ამბის კითხვისაგან:  
მოშორებას არ ველოდი შენი კარგი გულისაგან.  
მომშორდი და კარგათ მყავდე. მე მჭირს ჩემი ბედისაგან.  
ვერ დაგივიწყებ ვერას დროს. ვერ მოვიშლი ჩემს პირს,  
გულსა.

შორს მანძილით გაღმერთებდი ძვირფასს ჩემთვის დაკარ-  
გულსა,  
ჩემს დამტკობს. წარსულს სიხარულს. მეოფინარეს. სა-  
როთ რგულსა  
თვალის სინათლეს. სიცოცხლეს, ათასფრად მკულს, გა-  
ქარგულსა!

**ხალხი.** როგორც ხეს მსხდომი ყორნები არ გაირევენ  
ძერასა,  
ეგრეთც კაცი ვერ წაუვა ბედსა და თავის წერასა.

**დავაზი.** ჩემი სიცოცხლე მოგართვი, ვარდო, გაშლი-  
ლო იათა.

სოსანმან. ნეგო-ნარგიზმან შეგამკო ფერად-ფერადა.  
სად მოიცალა იმ ღმერთმა შენი თვალ-წარბის წერადა?  
ან სად იშოვნა მხატვარი. დაგხატა ათასფერადა?  
ცას მოწმენდილსა თქეში სდის. გესმოდეს თარო-კედელო!  
გადმოსავალი ტბა გიდევს. შორს გამიარე მხიოველო.  
დრო-ჟამი უნდა იცოდე. უდრო-უდროვოთ მხეტველო.  
ბედს არ გაუვა ყოველთვის. ჩემო სულ-გულის მკვრე-  
ტელო!

**მენავე.** ბევრიც რომ სთქვა რა ეშველოს? გაუთავდა  
ქრიალია,  
არ ჰქნა? სცდა და გადიხება, წინ დაჰხვდა ცეცხლის ალია,  
შენ სარგოს ხელი მოჰკიდე. ვრცელ არს ქვეყნის ტრიალია.  
სავსეა ურიცხვ სიკეთით, სდულს. გადმოდის, ტიალია.

**დავაზი.** რაღა ვსთქვა. აბა რა მეთქმის? ქალი ვარ. მხუ-  
რავს მანდილი,  
გაკყევით წუთის ტკბილობას. რა რიგ წაგვიხდა ქადილი!  
არც შენთვის იყო. არც ჩემთვის. წინ დაგვხვდა გზანი რამ  
წბილი,  
ღმერთმა ხელი მოგიმართოს. მის გვარი მოგცეს წადილი!

**ხალხი.** მიეტ-მოეტო სოფელო, საბრუნავისა მახეო,  
ზოგსა ცათამდინ აიყვან. ზოგსა უკულმა დაჰხეო.

**დავაზი.** რა გითხრა. აღარ მაქვს სიტყვა. განუგეშებ მე  
ველარა.

ნაღველმა გული ასერა და ცრემლმა თვალი დაღარა;  
ამ წუთი-სოფლის ავ-კარგი ბევრს ახარებს და ბევრს არა.  
უძლურ არს კაცის ბუნება. არ ჰმართლდება. არა. არა!  
ახ. ქორო, გინავრდნია, მანძილს რომ გრძნობდი გვიანსა.  
თუ მეგდე — კოპწია ხელით მიგცემდი უმაღლ წყვიდადსა!  
ამოგვლეჯავდი მაგ სვავ გულს. დაგიფლეთავდი ტიალსა!  
შენც წყალო, მთისა ნაჟურო, შე შავო არაზიანო.  
არც ტყვია გეკვრის, არც ხმალი, მაშ რითი დაგაზიანო?

ვაჟ-კაცის დაღუპვისათვის სულ მთლად დაგლევი ტია-  
ლო!

ცისკრის დროს ამომავალსა მზეს შეესტიროდი, ამოდი.  
ჩემო სიცოცხლის მომცემო, მასიამოვნე, აქ მოდი.  
გულ-ხელი შენ დამიკრიფე, აღთქმა მისრულე, ჰა, მოდი.  
შეგიმკო შუბლი ამბორით, გვირგვინი იყოს ეს, მოდი.  
იჟურე თვალთაგან ცრემლო, მკერდი გავბანო, ჩამოდი!  
ჟამნობით ჟამში გნატრობდი, გიხმობდი, გულბაათ, მოდი!  
სულ არ მისრულდა საწადი, ტანჯვის ფიალავ გადმოდი!  
ჰა, დანავ მისით ნანიშნო, უბიდან ზემო ამოდი.  
ვით ვძლო შენმა უცქერალმა, ტანჯულო სულს ამოდი!  
(დაიცემს გულში დანასა და დაეცემა გულბაათის გვამზე)..

### ეპილოგი.

გასრულდა ორთა ამბავი, არ ჭრელი შესანდობელი.  
სიყვარულით მიჯნურობა, არვისგან დასაგმობელი;  
სიამ-ტკბილობა ამ სოფლის წამია წამის მსწრობელი.  
სისხლისა ცრემლის დამდენი, დამწველი დაუნდობელი;  
არვის ეულღვის ბრმა ბედი, ფლიდია, და უნდობელი,  
დღეს რომ ცათამდის ამყვანი, ხვალ მალლით ძირს დამ-  
მხობელი:

კიდითი-კიდე გაქანებს, გატიროს დედა მშობელი.  
მოგიკლავს იმედს, მზეთ იყო, დაგსვავს ცრემლ შეუშ-  
რობელი;

ბედი სიცოცხლის მახეა, ფეხ ქვეშ ქსელისა მწყობელი.  
დღეს თუმცა გწყალობს, ვინ იცის, ხვალაც-ღა იყო მშკო-  
ბელი!

— : —

სიცილსა და  
წინადადება

## უსათაურო შენიშვნები.

ბანკეტზე რომელიც ნოემბრის მიწურულში მწერალთა კავშირმა უცხოეთიდან ჩამოსულ მწერლებსა, მეცნიერებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს გაუძარტა. ჩემს პირდაპირ ორი გერმანელი იჯდა. ერთი იყო ხანში შესული პროფესორი პოლიტიკური ეკონომიისა. ხოლო მეორე ჟურნალისტი. მთავარი რედაქტორი ერთი ბერლინური გაზეთისა. რომელსაც საკმაოდ ორიგინალური სახელი ჰქონია: „ქვეყნიერება სალამოს ჭაღს“.

— პირველათ ბრძანდებით საბჭოთა კავშირში? ვკითხე გერმანელ ეკონომისტს.

— დიახ, მიპასუხა მან: მე პირველათ ვარ. ჩემი მეგობარი არტურ პოლიჩერი კი მეხუთეჯერ არის (ჭალარა გერმანელი პუბლიცისტი პოლიჩერი მის გვერდით იჯდა).

— პოლიჩერი ჩინეთშიც ყოფილა. ვიცი რომ იგი თანაგრძნობით ეპყრობა საბჭოთა კავშირსაც და აზიის ჩაგრულ ერებსაც. თქვენ რაღას იტყვით?

— უნდა გამოგიტყდეთ. ჩემთვის მეტის მეტად ძნელი გასაგებია საბჭოთა კავშირის ეკონომიური ცხოვრება. განსაკუთრებით ვერ გამიგია როგორ ახერხებს საბჭოთა ხელისუფლება აღმშენებლობით მუშაობის წარმოებას უცხოეთის ფინანსიური დახმარების გარეშე.

— ბატონო ჩემო, მე მგონია ეს გარემოება იმით აიხსნება. რომ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნები — უკრაინა, საქართველო, ადერბეიჯანი, თვით ველიკო-რუსეთი უაღრესად აგრარული ქვეყანებია. იმპერიალისტურმა ომმა, სამოქალაქო შუღლმა, უცხოელების ინტერვენციამ, ხანგრძლივმა ბლოკადამ დიდათ დააზიანა, თითქმის გაა-

ნადგურა ძველი რუსეთის მრეწველობა და ალებმიცემო-  
ბა. მაგრამ ვერ გადასჩეხა მისი მთავარი ძარღვი, რომელიც  
გამაცოცხლებელს წვენს აწვდის მთელი ქვეყნის ეკონო-  
მიურ ორგანიზმს, სახელდობს სასოფლო მეურნეობა. ხომ  
გახსოვთ რა მოუვიდა თქვენს სამშობლოს დიდი ომის  
დროს. როცა იგი რაღაც სამი-ოთხი წლით მოსწყდა მსო-  
ფლიო ბაზრებსა და მსოფლიო ნედლის მასალის წყარო-  
ებს? გერმანია არ ყოფილა აბსოლიუტურათ გარემოცუ-  
ლი, მოკავშირეებისა ან დაჭერილი ქვეყნების გზით მას  
კიდევ ჰქონდა გარეთ გასაძრომი ხვრელები. შიგნით სამო-  
ქალაქო მშვიდობიანობა სუფევდა, მაგრამ მეხუთე წელ-  
ზე მაინც მოიდრიკა, და გამანადგურებელი ზავის პირო-  
ბები მიიღო. თუმცა არც ერთხელ სერიოზულათ არ და-  
მარცხებულა ომის ველზე. და ეს იმით აიხსნება. რომ გერ-  
მანელი ხალხის დიდი უმრავლესობა ქალაქებში სცხოვ-  
რობს და მისი კეთილდღეობა მრეწველობისა და საგარეო  
ალებმიცემობის შეუფერხებელ მიმდინარეობაზეა დამო-  
კიდებული. როგორც ეკონომისტს თქვენ უკეთ მოგეხსე-  
ნებათ რა მოუვიდოდა საბჭოთა კავშირის მთავარ მოქიშ-  
პეს ინგლისს მისთვის რომ ისეთივე ბლოკადა გაეკეთე-  
ბიათ. როგორიც თვითონ მან ომის დროს გერმანიას, ხო-  
ლო რევოლუციის პირველ წლებში რუსეთს გაუკეთა.  
ორიოდე თვის შემდეგ იგი იძულებული გახდებოდა უფ-  
რო დამამცირებელი ზავის პირობები მიეღო ვიდრე გერ-  
მანიამ ვერსალში მიიღო. ხოლო საბჭოთა კავშირს ჯერ  
არ მიუღია და მგონია არც მომავალში მიიღებს. მიტომ  
რომ, მოწყალეო ხელმწიფევ, ადამიანი ჯერ კიდევ ნოეს  
დროიდან იკვებება არა ლანკაშირისა და სამხრეთ უელ-  
სის ქვანახშირით და არა მოსულიდან შემოზიდული ნავ-  
თით, არამედ იმ მწვანელითა და თევზეულობითა ან ყურ-  
ძნის წვენით. რომელიც ჩვენს სუფრაზე ალაგია. და მე  
მგონია ამ საერთო აღრევისა. ამ საერთაშორისო და სა-  
მოქალაქო ომების ეპოქაში. რომელშიაც დღეს ვსცხოვ-  
რობთ. უფრო სახიფათოა ისეთი ქვეყნების მდგო-  
მარეობა, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი  
დიდი ქალაქების ქვის გალიებშია მომწყვდეული და რო-

მელიც იძულებულია ელექტრონის ცხენები და ფოლადის ქერტილიანი ვეშაპები ამუშაოს, რათა ნოყიერი და მზიანი ქვეყნებიდან სანოვაგე მიიღოს თავისი ქარხნებისა და მალაროების წარმოებათა სანაცვლოთ.

არ ვიცი დაეთანხმა თუ არა ჩემს მოსაზრებებს მელანქოლიური გერმანელი პროფესორი, მისმა მეზობელმა სანგვინიკოსმა პოლიჩერმა კი მთელი ბანკეტის გასაგონათ ჩვენს მზიან ქვეყანას. ჩვენს სურნელოვან ხილსა და კახურ ღვინოს. ხოლო განსაკუთრებით ჩვენს მრავალ ხმოვან სუფრულ სიმღერებს და ცეკვას აღფრთოვანებული შესხმა მიუძღვნა. სამწუხაროთ გერმანიაში, ემიგრანტების წყალობით, უფრო ქართული მწვადია ცნობილი, ვიდრე ქართული მწერლობაო. სთქვა მან. მაგრამ თუ ქართველი პოეტები ასეთი მშვენიერი ადამიანებით და საგნებით არიან შთაგონებულნი, როგორსაც ტფილისში ვხედავ, ვერ წარმომიდგენია დედამიწის ზურგზე სადღა. იქნება უკეთესი პოეზიაო.

ამ სიტყვამ ჩვენში ისტორიული მოგონებანი გამოიწვია. არა ერთხელ მომხდარა რომ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ან უმაღლესი ხელისუფალნი იძულებული გამხდარან დროებით ან საბოლოოთ უცხოეთში გადასახლებულიყვნენ. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს ქართველმა ემიგრანტებმა რუსეთში რამდენიმე მოზრდილი ახალშენი დაარსეს და სხვათა შორის მოსკოვში სტამბაც კი გახსნეს. მაგრამ არჩილ მეფეს და ვახტანგ მეექვსესთან ერთად რუსეთში გადაიხვეწნენ ისეთი ადამიანები, როგორიც იყვნენ საბა სულხან ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, მამუკა ბარათაშვილი, ქაიხოსრო ფავლენიშვილი და სხ. და ისინი იქ ბეჭდავენ არა ყალბ ჩერვონცებს, არამედ საუცხოვო ქართულ წიგნებს.

მე მესმის, რომ ზოგიერთმა თანამედროვე ქართველმა ემიგრანტმა შეიძლება არ ისურვოს დავით გურამიშვილობა ან ვახუშტი ბატონიშვილობა და ქართული წიგნების წერას ან ბეჭდვას ქალაქის ფულის ბეჭდვა ამჯობინოს. დღეს გამძაფრებული პოლიტიკური ბრძოლის ეპოქაში ვცხოვრობთ, პოლიტიკური მიზნების მისაღწევათ კი, რო-

გორც მაკიაველი გვასწავლის. ყოველი საშვალეა მისა-  
ლებია. ნაპოლეონის ომების დროს ინგლისის საგარეო საქ-  
მეთა მინისტრი პიტტიც კი ბეჭდავდა ყალბ ფრანკებს რა-  
თა საფრანგეთის ფინანსიური ძალა გაენადგურებია. რათ  
არ შეიძლება დღეს რომელიმე უცნობმა ან ცნობილმა ქა-  
რთველმა ემიგრანტმა მტრის დასაზიანებლათ იგივე ჩაი-  
დინოს. რასაც ასი წლის წინათ დიდი ბრიტანეთის გამო-  
ჩენილი პოლიტიკური ხელმძღვანელი სჩადიოდა?

არა, მე არ მგონია. რომ ყალბი ფულის ბეჭდვა თავის-  
თავად დასაძრახისი იყოს: მხოლოდ ეს საქმე ადამიანმა ისე  
უნდა მოაწყოს. რომ მას ყურში ხელი არავინ სტაცოს და  
დამნაშავის სკამზე არ დასვას...

ჩემი ისტორიულ და მორალურ-პოლიტიკურ ფიქრთა  
მსვლელობა უცებ შესწყვიტა „სალამოს ჟამის ქვეყნიერე-  
ბის“ რედაქტორმა. რომელმაც მოისურვა ზოგიერთი ცნო-  
ბა მიეღო ჩვენი ეკონომიური ცხოვრების შესახებ.  
მას აოცებდა ერთი ვარ ქოება. ბაქოდან ტფილისამდე კარ-  
გა დიდი მანძილია. ამ მანძილზე რკინის გზის ვაგონიდან  
მას არაფერი დაუნახავს გარდა მოურწყავი უდაბნოებისა.  
სად მიდის კავკასიის მთებიდან წამოსული სინესტე? თვით  
ტფილისს გარს თითქო მხოლოდ უნაყოფო ველები არ-  
ტყია. საიდან ღებულობს ამოდენა ქალაქი ხილს, მწვან-  
ნილს და სხვა სანოვაგეს? სად არის ტფილისის „ჰინტერ-  
ლანდი“?

— ტფილისის „ჰინტერლანდია“ კახეთი. რომელიც  
მას ღვინოს აწვდის. ქართლი. რომელსაც ხეხილის ბაღე-  
ბი აქვს და იმერეთი. რომელიც შინაურ ფრინვე-  
ლებს აშენებს. მაგრამ ევროპიელი მოგზაური ამ ბაღებსა,  
ვენახებს და ბაკებს ადვილად ვერ დაინახავს დასაძინებე-  
ლი ვაგონის ფანჯრიდან: იგი ვერ დაინახავს აგრეთვე ჩვე-  
ნი მთების მდინარეებს. რომელნიც ყოველთვის არ იკარ-  
გებიან უდაბნოს ქვიშაში.

— ძალიან კარგი, მაგრამ რამდენი ათასი მცხოვრებია  
ტფილისში?

— დაახლოებით სამასი ათასი.

— აქვს თუ არა ქალაქს ინდუსტრია?



— ნაკლებ, განსაკუთრებით თქვენი სამშობლოს ქალაქებთან შედარებით.

— ვაჭრობა?

— უმთავრესად კოოპერატივების და წვრილი ვაჭრობის ხელშეწყობა.

— სატრანზიტო აღებ-მიცემობა?

— იმედი გვაქვს ახლა გავაჩაღებთ სპარსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შემდეგ.

— მაშ რით სცხოვრობს ამოდენა მოსახლეობა, რას აწვდის ქალაქი პროვინციას ღვინისა, პურისა და ხორცეულობის თუ თევზეულობის სანაცვლოდ?

ვერ ვუთხარი: საუცხოვო პოეტურ ნაწარმოებს, პოლიტიკურ სიტყვებს და ეკონომიურ გეგმებს მეთქი; მიტომ რომ, ბურჟუაზიული ჟურნალისტის თვალსაზრისით, ეს საგნები ვერ გამოდგებიან ხიზილალისა და ახლათ დაკრეფილი მწვანლის სანაზღაუროთ. და მე მგონია, რომ ტფილისისა და მისი „ჰინტერლანდის“ ეკონომიური ურთიერთობა ჩემი მოსაუბრისათვის აუხსნელ საიდუმლოებათ დარჩა.

იმ ეკონომიურ ამოცანებს, რომელსაც ორიოდე დღით ჩამოსულმა სტუმარმა მაშინვე ყურადღება მიაქცია, მართლაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველოში სამ მილიონ სულამდე სცხოვრობს. ჩვენი ქვეყანა რომ ინგლისსა, ბელგიასა და ლომბარდიასავით მჭიდროთ ყოფილიყო დასახლებული, ამ ტერიტორიაზე ოცი მილიონი სული დაეტეოდა. რასაკვირველია. მოსახლეობის გადაჭარბებულ სიმჭიდროესაც აქვს თავისი უარყოფითი მხარე. მაგრამ ხალხს, რომელიც ორი თუ სამი მილიონი სულისაგან შესდგება, უფლება არა აქვს მალტუსის მოძღვრების მიმდევარი იყოს. ჩვენ ქვეყანას აქვს პროვინციები, მაგალითად ქვემო იმერეთი. რაჭა, გურია, რომელიც ისევე მჭიდროთ არის დასახლებული, როგორც ყველაზე მეტათ დასახლებული ტერიტორიები დასავლეთ ევროპაში და აქვს დედაქალაქი, რომელიც მოსახლეობის რიცხვით განვითარებული ინდუსტრიულ სახელმწიფოს შეეფერება. ამავე დროს უზარმაზარი ველები ბორჩალოსა,

გარეთ კახეთსა, ჯავახეთში დაუსახლებელი და დაუმუშავე  
ბელია. ამიტომ გადასახლების, წყლის გამოყენების და  
გზების გაყვანის საქმეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნე-  
ლობა აქვს საქართველოში და აქ ვერც ერთი ხელისუფ-  
ლება ვერ იქნება მკვიდრი, თუ სანამ იგი ეგვიპტელ ფა-  
რაონებივით სფინქსებისა და ობელისკების აგებას შეუდ-  
გებოდეს, იმავ ფარაონებივით არხების გათხრა და მდინა-  
რების კალაპოტში ჩაყენება არ ისწავლა.

მაგრამ თუნდაც ტფილისის მიდამოები, რომელიც დღეს  
მართლაც უდაბნოს შთაბეჭდილებას ახდენს, წალკოტათ  
გადაიქცეს, თვით ჩვენი დედა ქალაქის ეკონომიური პო-  
ზიცია მაინც მერყევი იქნება თუ მან ქვეყანას ვერაფერი  
მიაწოდა გარდა სარეცხი საპნისა, პაპიროსებისა და „გო-  
ნებრივი წარმოების“ პროდუქტებისა და თვით ეს მხატ-  
ვრული თუ მეცნიერული პროდუქტები მეტად მდარე ხა-  
რისხოვანი იქნება, თუ მოსახლეობამ თავი ვერ დააღწია  
ქონებრივ სიდუხჭირეს. მართალია ისტორიკოსები გვიმ-  
ტკიცებენ, რომ ქონებრივი მორჭმულობა და ფუფუნება.  
რომელიც ადამიანის კანს ანაზებს და კუნთებს ადუნებს.  
ხელს არ უწყობს მეცნიერების და ხელოვნების აყვავებასო.  
მაგრამ როგორც ისტორიიდან სჩანს არც სილატაკე და  
სიმარტივე წარმოადგენს შესაფერ ნიადაგს ენერგიული  
კულტურულ შემოქმედებისთვის. ფიდიასი, პლატონი და  
სოფოკლე მოგვცა არა დიდვაჭრების ფინიკიამ და არა  
მწყემსების არკადიამ, არამედ სვებედნიერმა ათინამ...

— : —

## ალექსანდრე სუმბათაშვილი

იმ დროს როცა გავიგე ალექს. სუმბათაშვილის სიკვდილი, მე თვითონ ვებრძოდი სიკვდილს. შეიძლება ეს იყო მიზეზი, რომ უფრო მწვავე იყო ჩემი განცდა. ჩემ თვალის წინ ერთი წამით გაიარა ჩემმა ახალგაზრდობამ და მომაგონდა მოსკოვის სტუდენტობის დღეები. ამ გრძნობის გადმოცემა არ შეიძლება—გაგიარს წელკავივით ტანში და დაგადუმებს. მოულოდნელი სუმბათაშვილის სიკვდილში არაფერი არ იყო. ყველამ იცოდა, რომ ის ბოლო დროს ავადმყოფობდა უკურნებელი კიბოს ავადმყოფობით, და ეს ჯავარიანი ბებერი მუხა უთუოდ უნდა წაქცეულიყო. მოულოდნელი არც წაქცევის ადგილი იყო. რადგან სუმბათაშვილი ყოველთვის მიიღებდა იმ ადგილისაკენ სამხრეთ საფრანგეთში. სადაც შემდეგ განუტევა სული — ნეკრასოვს დიდებულად აქვს აწერილი დიდი „სანოვნიკი“-ს სიკვდილი უცხოეთში.

სუმბათაშვილი ასეთ ადამიანებს არ ეკუთვნოდა. მისი ბედი თავიდან უჩვეულო იყო.

სუმბათაშვილმა თვითონ იცოდა, რომ საქართველოს დეზერტირი იყო, მაგრამ ეს დეზერტირობა იძულებით მოხდა, აკი თითონ გამოიტირა თავისი ოთარბეგობა, ამაზე უკეთესად და მწვავედ ამის შესახებ ვერავინ იტყოდა.

მაშინდელმა ქართველობამ, რომელიც უთუოდ ნაციონალისტურად იყო განწყობილი, აპატია მას ეს განდგომილობა და კოტე მესხის პირით დააკანონა „ლალატი“ ლალატის გამოყიდვა.

სიკვდილის დღემდე სუმბათაშვილი უდიდესი მეგობრობით იყო შეკავშირებული ვასო აბაშიძესთან, ლადო

მესხიშვილთან და ვალერიან გუნიასთან: ამ მსახიობებში  
კი ხშირად ეროვნულობა უფრო ფასდებოდა ვიდრე ხე-  
ლოვნება. სუმბათაშვილის მაგალითზე ისინი სწავლობ-  
დენ თავიანთ ბედს და უბედობას—მათ გულში შურს და  
ქიშპს არ ქონია ადგილი. რადგან გაყოფილი ქონდათ  
მოდვაწეობის ადგილი: სუმბათაშვილი ჩვენთვის უფრო  
საინტერესოა სწორედ ამ სახით. ეს იყო ჩვენი დროის და-  
სრულებული და მთლიანი კონდოტიორის ტიპი. ამ კონ-  
დოტიერების ისტორია, რამდენადმე საქართველოს ის-  
ტორიაც არის.

მე გუშინდელ დღესავით მახსოვს მოსკოვის ყოფილ  
ალექსანდრე მე-III-ამეს მუზეუმში შიგ შესავალთან იდგა  
უზარმაზარი ცხენზე შემჯდარი კონდოტიერი. მე ეხლა  
არ მახსოვს ვისია ეს ქანდაკება. ადვილი არის ამის მო-  
გონება, მაგრამ ჩემთვის წარუხოცელი დარჩა პირველი  
შთაბეჭდილება. მე მაშინვე მომაგონდა დიდი მოურავი  
გიორგი სააკაძე და პავლე ციციანოვი. კონდოტიერი ხომ  
მარტო სამხედრო ცნება არ არის და ამ სხვა ჯურის ქარ-  
თველ კონდოტიერებში ალ. სუმბათაშვილს დიდი ად-  
გილი უჭირავს. სუმბათაშვილის თანამედროვე პოეტმა  
ამას მისცა კლასიკური გამოთქმა:

შენთვის რაა რომ ამშვენებ

შენ დამლუბელ ოსმალეთსა...

ეს მარტო იანიჩარზე არ იყო ნათქვამი.

ის რუსეთი, რომელსაც ალ. სუმბათაშვილი გარეგ-  
ნულად ემსახურებოდა ოსმალეთზე უარესი იყო, მაგრამ  
სუმბათაშვილის დიდი დამსახურება ის არის, რომ მან  
გაარჩია ორი რუსეთი ერთმანეთისაგან. ის თითქო ოფი-  
ციალურ რუსეთის საიმპერატორო თეატრის უმთავრესი  
შემქნელი იყო. მაგრამ ამ ოფიციალურ მეშხანობისა და  
ბიუროკრატიულ საყრდნობიდან ის ყოველთვის ნამდვილ  
შემოქმედებით რუსეთის ორიენტაციას ეხმარებოდა.

მაშინ ამას ლიბერალიზმი ჰქვიოდა, რომელიც შემ-  
დეგ რევოლიუციამ საბჭოთა საზოგადოებრივობამდე მიი-  
ყვანა და როდესაც ამ მეორე რუსეთმა გაიმარჯვა. — სუმ-  
ბათაშვილი დარჩა თავის პოსტზე და არა თუ დარჩა—მან

მიიღო უდიდესი პატივისცემა, როდესაც მისი 50 წლის იუბილე საბჭ. ხელისუფლების დროს გადაიქცა ყოფილ პატარა საიმპერატორო თეატრის იუბილეთ. და როდესაც თავის მხრივ ამ თეატრსაც გაუმართეს ასი წლის იუბილე — ეს იუბილეს სუმბათაშვილის იუბილე იყო. ძვირად თუ ვინმე მოსწრებია თავის სიცოცხლეში ასეთ პატივსა და დიდებას. ძვირად თუ ვისმეს რგებია წილად ასეთი დაფასება და ეს უთუოდ არ მოხდებოდა, რომ თვითონ სუმბათაშვილი ამის ღირსი არ ყოფილიყო: ის მართლა იყო სახალხო არტისტი ახალისა და დიდებულის სოციალისტურ შტატებისა. ალ. სუმბათაშვილი უდიდესი არტისტი იყო. მაგრამ მას არავითარი არტისტობა არ უშველიდა, რომ მოენდომებინა პროლეტარიატის დიქტატურის დროს ვისიმე 'მეცდომაში შეყვანა: მშრომელი კლასი თავის კლასიურ ალლოთი ცხოვრობს და ყნოსვით არჩევს მტერსა და მოყვარეს. მან სუმბათაშვილის მაგალითზეც დაამტკიცა, რომ მისი მსჯავრი სამართლიანია.

სუმბათაშვილმა სძლია ვიწრო ეროვნული ჩარჩო, მაგრამ შექმნა ისეთი შედეგები როგორც არი „ლალატი“ სუმბათაშვილი მემამულე თავადაზნაურობის წრიდან იყო. მაგრამ თავისი პოლიტიკურ იდეალით დადგა საკუთარი კლასის შეგნებაზე ძალა და ამიტომ შექმნა მარადიულ ღირებულების ხელოვნება. სუმბათაშვილი ოცნებობდა დაეწერა ამის შესახებ პიესა იტალიელ მხატვრის რაფაელის ცხოვრებიდან. სადაც აღორძინების ეპოქის ფონზე უნდოდა აეშენებია ნამდვილი შემოქმედების მწვერვალები: ასეთი ხელოვნება თავისუფალია ეროვნულ და კლასიურ რკალებიდან. და დღესაც შეადგენს მხატვარის იდეალს. 1923 წელს, როცა უკანასკნელად იყო სუმბათაშვილი ტფილისში იაკობ ნიკოლაძის საიუბილეო ბანკეტზე. მან ილაპარაკა ამ თემაზე. ეს თითქო მართლა გედის სიმღერა იყო. მას უნდოდა თანამემამულეთათვის ეთქვა თავისი სათქმელი. რომელზედაც ალბად სიკვდილამდე ფიქრობდა: სუმბათაშვილმა აღიარა, რომ უდიდესი ეროვნული დამსახურება არის მსოფლიო რეპუტაციის შექმნა, რომლისთვისაც ის იბრძოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა

და მართლაც მისთვის ეს მსოფლიო რეპუტაცია არ იყო უბრალო ტეზისი. ამ იდეას ჰქონდა სისხლი და ხორცი, რომელიც თვითონ სუმბათაშვილმა მისცა მას თავისი შემოქმედებით და მოღვაწეობით. მან შექმნა და სიკვდილამდე კლდის ბალავრად უდგა მოსკოვის პატარა საიმპერ. თეატრს. რომელიც აქამდე რუსეთის კლასიკურ ეროვნულ თეატრად ითვლება — : თეატრი. შჩეპკინის და სუმბათაშვილის შექმნილი.

როცა პარიზში სუმბათაშვილმა ითამაშა ვიქტორ ჰიუგოს „ერნანი“. პრეზიდენტმა მას მიართვა დაფინანსების გვირგვინი. სუმბათაშვილი იყო ევროპისა და ახალი ქვეყნის გამოჩენილ თეატრების საპატიო რეჟისორი და არტისტი. 1916 წელს. როცა ერთად შეკრებილმა მოსკოვის არტისტებმა მოინდომეს ერთი კაცის სახით პატივი ეცათ რუსეთის თეატრისთვის. ეს ერთი კაცი აღ. სუმბათაშვილი იყო. და მის წინ თავი მოიდრიკა მთელმა თეატრალურმა მოსკოვმა. მაგრამ სუმბათაშვილს არ დაუკარგავს თავისი ეროვნული პიროვნება, მას არ შეეძლო დაემალა თავისი სუმბათაშვილობა. და უეჭველია ნიკაშიც თავის სამშობლო თელეთზე ფიქრობდა — აი. იმ თელეთზე. სადაც ლუარსაბ თათქარიძე მიდის სალოცავად. მაგრამ რამდენი განსხვავებაა ამ ორი თავადის შორის: განა უნდა დახასიათება ისედაც უკვდავ ლუარსაბსა? სწორედ მისი აპტიპოდია სუმბათაშვილი: ვიღაცა ამბობს, რომ გენია არის ყურადღებისა და შრომის კონცენტრაციით — სუმბათაშვილი სწორედ ამის განსახიზრება იყო მას სიკვდილის დღემდე არ დაუშლია შრომა და მეცადინეობა. მან თვითონ რუსეთის მასშტაბიც უარყო. გავრცელებულია აზრი, რომ არტისტი ნაკლებად არის ჭკვიანი. სუმბათაშვილი სწორედ განხორციელება იყო ჭკვიანი ადამიანის. მისი ცეცხლის ტემპერამენტი ყოველთვის ემორჩილებოდა ინტელექტს. მაგრამ სამაგიეროთ ეს ინტელექტი იყო გასწავლული და ბრძენი. ის არ იყო დაუფიქრებელი და ზერეღე. როდესაც სარგებლობის მაგიერ შეუძლია ვნების მოტანა. ხშირად ხდება ხოლმე, რომ ზედმეტი ჭკუა ავნებს ხელოვანსაც და ადამიანსაც. ეს მაშინ. როცა არ არის პიროვნება ჰარმო-

ნიულად განვითარებული. ჰარმონიულ პიროვნებას წარ-  
მოადგენდა სუმბათაშვილი: მას არ ჰქონდა გადამეტე-  
ბული გადახრა ინტელექტისკენ, რომელშიც ყველასთვის  
არის მეფისტოფელის საშიშროება, მისი ახოვანი ბუნება  
დაცული იყო ამ საცდურისაგან. სუმბათაშვილზე ხშირად  
ამბობდენ, რომ მაში იყო აზიური დიპლომატობა. მაგრამ  
საკმაოა ჩაუკვირდეს კაცი მის არტისტის კარიერას, რომ  
მიხვდეს ამ შეცდომას: სუმბათაშვილი პირველად მაინც  
ახალი და უცხო კაცი იყო რუსეთის სცენაზე; მას უთუ-  
ოდ სჭიროდა წინდახედულობა და თავაზიანობა, ამან ის  
აღრევე მიაჩვია ტაქტს, რომელიც ალბად ბიოლოგიურა-  
დაც იყო მასში ჩათესილი და ეს იყო მიზეზი, რომ მას  
რუსეთში დამკვიდრებული ჰქონდა შეუცდომელი ჯენლ-  
ტმენის სახელი, მაგრამ ეს ჯენლტმენობა ჩვენ არ უნდა  
გვესმოდეს ვულგალურად: ეს არის უდიდესი სულის აღ-  
ზრდა, თავის შეკავება და ეს უდიდესი ნიჭიც არის. სწო-  
რედ ასეთი იშვიათი დენდის — ჯონ ბრომელის შესახებ  
ამბობდა ბაირონი, რომელსაც თვითონ არ აკლდა დენ-  
დიზმი, რომ ბრომელის სახელში გაცვლიდა ნაპალეონის  
დიდებას. ასეთი ჯენტლმენობა იშვიათი იყო თვით რუ-  
სეთშიაც და მით უმეტეს არტისტულ წრეებში, და ყოველ  
შემთხვევაში ამას არაფერი საერთო არ აქვს ყიზილბა-  
შურ დიპლომატიასთან, რომელიც მიაჩნიათ აზიურ დი-  
პლომატიას. ეს კი იყო მართლა, რომ მისი ჭკუა-მარტო  
არტისტისთვის არ იყო გამოსაყენებელი, მაგრამ ის ამას-  
თანავე დიდებული მწერალიც იყო და უთუოდ სახელმწი-  
ფო პოლიტიკურ მოღვაწედაც გამოდგებოდა. მახსოვს,  
ერთხელ მე და განსვენებული გრიგოლ ვეშაპელი ვიყა-  
ვით მასთან სახლში პალაშოვის შესახვევში. ეს იყო თე-  
ბერვალის რევოლიუციის წინა დღეებში. სუმბათაშვილი  
მოგვიყვა, რომ მასთან სცხოვრობდა, ორი დღით მასთან  
მოსკოვში ჩამომხტარი მაშინდელი რუსეთის მინისტრთა  
საბჭოს პრემიერი შტიურმერი — მისი უნივერსიტეტის  
ამხანაგი.

ამ შტიურმერმა მოუთავა ბიუროკრატიულ რუსეთს  
ხელი. მახსოვს სუმბათაშვილმა ნამდვილი წინასწარმე-

ტყველის სისწორით ილაპარაკა რუსეთის მთავრობაზე, ომზე და იმპერატორზე. თითქმის სიტყვა სიტყვით ახდა შემდეგ ყველაფერი: სუმბათაშვილი ამბობდა, რომ არაფერი არ დაუმალა შტიურმერისათვის. მაგრამ ეს თავის თავზე შეყვარებული ბიუროკრატები განა ვინმეს დაუჯერებენო... არ ვიცი, როგორი იყო მათი საუბარი, მაგრამ ჩვენი საუბარი კი რომ ჩავვეწერა მაშინ პირდაპირ სასწაულსავით ამხდარი ამბები გამოჩნდებოდა.

გველაპარაკა აგრეთვე საქართველოზე. განსაცვიფრებელი იყო მისი ანალიზი ფაქტებისა და უფრო კიდევ თვითონ ამ ფაქტების ცოდნა: ეტყობოდა რომ ის დიდებულად იცნობდა საქართველოს მდგომარეობას და ისეთი ამაზბობი იცოდა, რომელიც ამხელდა, რომ მას ერთი წამითაც არ დაუკარგავს კავშირი საქართველოსთან: შემდეგ ეს თავისი დაკვირვებანი საქართველოზე მან აღწერა წიგნში, „В мощных объятиях“, ეს წიგნი ბევრით არის საინტერესო — და ბევრისთვის აშკარად ხდის, თუ რა გულს ატარებდა სუმბათაშვილი და როგორ იცნობდა საქართველოს ისტორიას. მართალია, ამ წიგნში არის მიკერძოება ფეოდალურ საქართველოსადმი. — მაგრამ ეს წიგნი ამ შემთხვევაში დოკუმენტია.

შემდეგ ჩვენ მოგვაგონდა ეს ამბავი, როცა მოსკოვში 1920 წელს დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკის ელჩი ურატაძე ზავს ჰკრავდა წითელ რუსეთთან და ისე გადასწია საქართველოს საზღვრები, რომ მაშინდელ პრესაში დიდი სკანდალი გამოიწვია. მაგონდება 17 წლის თებერვალი, მოსკოვის ქართველების კოლონიამ ბანკეტი გაუმართა იმ უამათ მოსკოვში მყოფ ლადო მესხიშვილს: ის ზამთარი საგანგებოთ სუსხიანი იყო — ეს რევოლიუციის წინა დღეებია და ჰაერიც სავსეა დინამიტის სუნით და რევოლიუციის ქარიშხლის წინათგრძნობით: მესხიშვილი განიცდიდა უკვე აგონიას — მის სახეს უკვე ეტყობოდა სიკვდილის ფრთის დანახვა — ის მთელი სისასტიკით ჰგავდა საწყალ ედგარს „მეფე ლირი“-დან.

სცივა, სცივა  
საწყალ თომასა...



რალაც ამგვარი სიტყვით მივმართე მახსოვს მე: იმ  
ლამეს მესხიშვილს. ამ სიტყვაში იყო ატირება ახალგაზდო-  
ბის და გაუმეორებელი ჟრუანტელი, რომელიც თავის-  
თავად მოქმედობს და გადამდებია. მესხიშვილი მსხვილი  
ცრემლებით სტიროდა და სუმბათაშვილიც ატირდა: მარ-  
ტო ამ ორი კაცის გარეგნული შეხედულება მისი მაჩვენ-  
ებელი იყო, რომ ეს ადამიანთა ჭურჭელი ინახავს უდი-  
დეს სულიერ საგანძურს.

ერთი იყო დასაწყლებული. ცხოვრებიდან გათელილი  
და გვემილი, რომელმაც მთლიანათ ამოწურა ადამიანური  
შხამი და დაეფერფლა თავის არტისტობას და შემოქმე-  
დებას. მეორე ატირებულს იდგა როგორც სენატორი.  
რომაელი პატრიცი, თუ მუზარიადიანი ქართველი რაინდი.  
მის ახოვან ბეჭებს ასე მალე ვერ მოტეხს ცხოვრება.  
მაგრამ ისიც შეურყევია ძირამდე შემოქმედებას და იცის  
ცრემლის ნაკადული. ჭეშმარიტად, ისინი იდგენ, როგორც  
თავიანთ თავის ძეგლები—რომელი მოქანდაკე შესძლებს  
მარმარილოს, ან სპილენძს მისცეს ის გაუმეორებელი სი-  
ლამაზე, რომელიც ახლაც მიდგას თვალ-წინ და რომელ-  
საც ვერ დაივიწყებს ადამიანი თუ ერთხელ ნახა. ეს გა-  
რეგნობაც თან ახლდა იმ თაობას, რომელთაც პირველად  
იგრძენეს შემოქმედება და რომელნიც ყოველთვის მეტი  
იყვნენ თავიანთ პროფესიაზე.

საჭიროა ამის დანახვა, რომ იგრძნო უდიდესი ჟრუან-  
ტელი. მაგრამ რამდენი კაცი ნახავს? და ამ მნახველთა  
სიმრავლეზეა დამოკიდებული სწორედ ის წყეული მსო-  
ფლიო რეპუტაცია. ისე არტისტი უნახავად არაფერია.  
მაგრამ სუმბათაშვილი მარტო თავის არტისტულ განც-  
დას არ დანდობია. მას სხვა ფესვებიც ქონდა. ჩემთვის არაა  
მოსახერხებელი წერა სუმბათაშვილზე. როგორც მწერალ-  
ზე. ზოგი ამ ნაწარმოებთა უცნობიც არის და უცხოა  
ქართველებისთვის. ზოგიც აგრეთვე ყველასთვის თვალ-  
საჩინოა — და ამის გარდა სანეკროლოგოთ არ არის იო-  
ლად გამოსაყენებელი: უფრო თვალსაჩინო იყო ჩემთვის  
აღ. სუმბათაშვილის საზოგადო მოღვაწეობა. რომელიც  
ერთი მხრივ მიდიოდა მოსკოვის დიდ საზოგადოებაში და

მეორე მხრივ ქართველების მცირე კოლონიაში. არ იყო მოსკოვში ისეთი დიდი ლიტერატურული, თუ საზოგადოებრივი წამოწყება, რომ სუმბათაშვილი არ ყოფილიყო ერთი ინიციატორთაგანი. უმთავრეს შემთხვევაში ის იყო მოთავე და ამიტომ თავმჯდომარეობდა ამ საზოგადოებებში. არ იქნებოდა არც ერთი ისეთი დიდი არტისტიული, თუ საერთო ლიტერატურული კრებული, სადაც ალ. სუმბათაშვილი არ ყოფილიყო: და მისი ყოფნა არასდროს არ ყოფილა დეკორატიული. მისი დიდი და ახოვანი ბუნება ყველაფერს სწვდებოდა.

ასე ვსთქვათ ის მოსკოვის „კანიფერშტანი“ იყო.

სადაც არ გაიხედავდი, ან წაიკითხავდი, ან გაიარდი — ყველგან ისმოდა მისი სახელი: ქართველ სტუდენტებისადმი პატივისცემა იზრდებოდა, როცა ის გააგებინებდა თავის მოსაუბრეს სუმბათაშვილის ქართველობას; სუმბათაშვილს იცნობდნენ აგრეთვე არტისტიულ ფსევდონიმით „იუჟინი“. რაც ნიშნავს სამხრეთელს.

სუმბათაშვილი ითვლებოდა აგრეთვე ქართველ კოლონიის თავმჯდომარედ: ეს კოლონია ჩემ დროს ერთ პატარა სახელწიფოს წარმოადგენდა, რომელშიც იყრიდნენ თავს, სტუდენტები, ალტაცებული და ახალგაზრდობით, გაბრუებული ყმაწვილ კაცობა: კოლონიის გამგეობაში ითვლებოდნენ ის ძველი სტუდენტები, რომელნიც დარჩენ მოსკოვში და სამშობლოს მოწყვეტილი უფრო გრძნობდნენ თანამემამულეთა სიყვარულს: ჩემ დროს გამგეობაში სწავდასხვა დროს იყვენ მიხეილ ზანდუკელი, ივანე თულაშვილი, მ. ასათიანი, გაბო ლამბარაშვილი, ელენე სუხოლოლსკაია, ალ. ჯავახიშვილი, ი. კობიაშვილი, ინჟ. მაყაშვილი, დ. არაყიშვილი, მ. პოლუმორდვინოვი, გერ. ქავთარაძე და სხვ.

ეს ხალხი იყო, რომ ქმნიდა სათვისტომოში კულტურულ წრეს, და ერთად უყრიდნენ თავს სტუდენტებს: ბევრი ზრუნვა, ბევრი სიყვარული და ბევრი სიხარულით გატარებული ღამეები ახსოვს ალბათ მაშინდელ ახალგაზრდობას.

გამგეობის თავმჯდომარე და მეთაური იყო ალ. სუმბათაშვილი, რომელიც ყოველ წელიწადს 14 იანვარს ნინაობა დღეს გამოდიოდა თავის დეკლარაციით.

პირველად მე 1914 წელს ვნახე ასეთ დიდ ბანკეტზე: სუმბათაშვილმა სთქვა თავისი სიტყვა, მადლობა გადაუხადა დამსწრეთ. რომელთაც ენა არ დაღალეს მისი დიდებისთვის. შემდეგ ის ლაპარაკობდა როგორც თავის პირად ნაცნობებზე და მეგობრებზე: ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე, ვასო აბაშიძეზე და ვახტანგ თულაშვილზე. ლაპარაკობდა იმ თაობის იდეალებზე, საზოგადოებრივ დამსახურებაზე და პატიოსნებაზე, ამბობდა, რომ მათა და შვილების გათიშვა აუცილებელია, მაგრამ უნდა დაფასება, რასაც მამები გააკეთებენ მარადიულისთვის. ამ დროს უკვე მოსკოვში ფუტურში იბრძოდა ყველა ფრონტზე და ეს ნიღლისტები არც ხუმრობდენ. მე ეხლა უფრო ვხვდები სუმბათაშვილის სიტყვების აზრს — ზოგი რამ მაშინ ჩემთვის ორგანიულად უცხო იყო. სუმბათაშვილი ძალიან მოწადინებული იყო გაება კავშირი რუსეთის ინტელიგენციასა და ხელოვნების მუშაკებისა საქართველოსთან. ამიტომ არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას, რომ ის არ გამოეყენებია. იმ დროს რუსეთის ცნობილმა პოეტმა კ. ბალმონტმა დაიწყო რუსთაველის თარგმნა რუსულად. ალ. სუმბათაშვილს ძალიან გაეხარდა ეს ამბავი. სირცხვილიაო, ამბობდა, რომ აქამდე რუსეთმა არ იცის, „ვეფხის ტყაოსანი“-ო, ერთი მორიგი ნინაობა ამის გარშემო ჩატარდა. ბალმონტი კითხულობდა მოხსენებას რუსთაველზე და ვეფხის ტყაოსნის თარგმანს. თავის თავად ეს ჩემთვის დაუვიწყარი წამებია, რადგან ვიყავი უშუალო მოწმე, თუ როგორ აღფრთოვანებდა რუსთაველის სიყვარული ბალმონტს და ხანდისხან ცრემლებამდე მიიყვანდა ხოლმე.

სინოდალური ზალა სავსეა ქართველებით და უცხოელებით — უფრო რუსებით და სომხებით: ბალმონტმა ჩაიგალობა თავის მოხსენება. ხალხი ვერ არჩევს მის ნამღერს და თანაც მისი უცნაურობა აკვირვებს.

აი ანტრაქტის დროს შეხედა ერთ ეკზოტიურ ქართველ  
კაცს ბიბლიური წვერებით. ეს კაცი რაჭველი პურის  
მცხოვრებელია, ამ პატიოსან რაჭველს არ ესმის, რასაც ეკი-  
თხება ბალმონტი, მერე მთხოვს გადაუთარგმნო: იცნობს  
ის თუ არა პაოლო იაშვილს: — კონსტანტინე დიმიტრე-  
ვიჩ, ვეუბნები მე, — ეს კაცი პაოლო იაშვილს კი არა აკა-  
კი წერეთელს არ იცნობს და აქ რუსთაველის პატივისცე-  
მით არის მოსული მეთქი. ბალმონტი ცოტა დაწყნარდა.  
მერე ადის ესტრადაზე და ისევ გალობს თავის თარგმანს,  
უგჭველია ხალხი ვერ იგებს არ ესმის მისი კითხვა. შემდეგ  
გამოდის ალ. სუმბათაშვილი და კთხულობს პოემის შესა-  
ვალს, რომელიც ბალმონტმა ამ საღამოს წაიკითხა: ხალხი  
აღტაცებულია და ტაშით ინგრევა დარბაზი. სუმბათა-  
შვილი შებრუნდება, მოკიდებს ხელს ბალმონტს და თვი-  
თონაც უკრავს ტაშს, დარბაზში დიდი აღტაცებაა.

ბალმონტს ბავშვივით უყვარს ასეთი ენტუზიაზმი და  
შემდეგ ცაზება აფრენილი. საღამოს ბანკეტზე მოვიდენ:  
ვალდშინი, ბალტრუშაიტისი და სხვა რუსი მწერლები და  
მხატვრები. — (ბალტრუშაიტისი ცნობილი რუსის პოე-  
ტია, ტომით ლიტოველი და, ხლა ელჩი ლატვიის რეს-  
პუბლიკისა, მოსკოვში.) ამ საღამოს სუმბათაშვილი იყო  
თამადა და დაუვიწყარი თამადაც. ბალმონტის გარდა ბალ-  
ტრუშაიტისიც ერევა თარგმანის საქმეში და თუ ომს არ  
დაეშალა მას უნდა ეთარგმნა ვაჟა-ფშაველა. დღესაც ეს  
საქმე მოუგვარებელია. დღესაც არ გვაქვს ჩვენ ქართული  
პოეტების თარგმანი რუსულ ენაზე. ერთი შემთხვევა კი-  
დეგ, რომელიც ახასიათებს მას, როგორც ადამიანსა და  
როგორც მწერალს, რომელსაც ესმის ახალგაზდის წახა-  
ლისება. როდესაც აკაკი წერეთელი მოკვდა, იანვარი იყო  
1915 წლისა: მოსკოვში, როგორც გლოვის ხმა გაისმა  
უდიდეს პოეტის სიკვდილი, უცხოეთში უთრო მწვავეთ  
გრძნობს კაცი ასეთ სიკვდილს. მახსოვს მაშინ დაიბეჭდა  
ჩემი წერილი აკაკიზე „Рампа и Жизнь“-ში და გ. ვეშა-  
პელის წერილი ერთ რუსულ ჟურნალში: ორივე გამოგვი-  
ხმო სუმბათაშვილმა და მოგვიწონა წერილების დაბეჭდვა:  
ჩემთვის ეს პირველი რუსული წერილი იყო და აღვილი

წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებდა სუმბათაშვილის კომპლიმენტი. შემდეგ თვითონ სუმბათაშვილმა დასწერა წერილი აკაკიზე.

დამწიფებული სიტყვის ოსტატი დასტიროდა თავის თანატოლთანამემამულეს და ერის გულის მიზანს.

ჯერ კიდევ სიცოცხლეში დიდებულად მიიღო აკაკი მოსკოვში ალ. სუმბათაშვილმა. ბანკეტს. რომელიც მისი თავმჯდომარეობით იქნა გამართული „სამხატვრო წრეში“. ბოლშაია დიმიტროვკაზე დაესწრო თითქმის ყველა გამოჩენილი რუსეთის მწერალი. არტისტები, და საზოგადო მოღვაწეები. ბევრი დიდებული სიტყვა იყო ნათქვამი და გაზეთებში იბეჭდებოდა წერილები: „საქართველოს უგვირგვინო მეფეზე“. თვითონ აკაკი ძალიან გახარებული ჩამოვიდა ამ გამზავრობიდან და მახსოვს ერთხელ ქუთაისში, როცა მასთან ვიყავით ახალგაზდა პოეტები გვითხრა:

— აი, კითხეთ. ქართველებს ჭკუა, აირჩიენ სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატთ ვარლამ გელოვანი. ვინ გაიგებს მაგის არჩევას, რა უნდა თქვას მაგ უბედურმაო, ჩემ შესახებ კი მთელი რუსეთი შეიძრაო: აკაკის ალბად სახეში ჰქონდა მოსკოვი. თუმცა პეტროგრადშიც კარგად დაუხვდენ: ამის გარდა მისი კანდიდატურა სათათბიროს დეპუტატად მართლა იყო წამოყენებული და როგორც მახსოვს სოც. დემოკრატებიც კი უჭერდენ მხარს: საქართველოში არ ყოფილა ასე თუ ისე შესამჩნევი, რამე შემთხვევა, რომ სუმბათაშვილი არ გამოხმაურებოდა, ან როგორც კოლონიის თავმჯდომარე ან კერძოთ, როგორც სუმბათაშვილი. და თუ მოსკოვში იქნებოდა რამე საჭირო. მაშინ კიდევ ხომ აუცილებელი იყო მისი იქ ყოფნა, დახმარება და საქმის მოწყობა.

ერთხელ ვალერიან გუნიაშვილს უკანასკნელად ტფილისში ყოფნის დროს მოიყვანა სადარბაზოთ გაზეთ „ბახტრიონი“-ს რედაქციაში. სუმბათაშვილი მოდიოდა ისეთ დარბაისლობით, როგორც ოდესღაც ნამესტნიკთან მიდიოდა სადარბაზოთ, მაგრამ რედაქტორი გიორგი ლეონიძე კი მოერიდა ამ დარბაზობას—რადგან რედაქცია უფრო პუგა-

ჩოვის „სტავკას“ მიაგავდა, ვიდრე რედაქციას: რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ პოეტები ვისხედით მაშინდელ სეზონში სახელგანთქმულ პ — ვას რესტორან „ცისკარში“. შემოვიდნენ ვ. გუნია, ვასო აბაშიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, ა. წუწუნავა და მათთან ალ. სუმბათაშვილი.

„იარშუკი“-ს ხალხს ალიაქოთი გაჰქონდა ამ რესტორანში და ერთი ორომ ტრიალი იდგა. მე ძალიან გამაკვირვა ამ იდილიამ — ალ. სუმბათაშვილი მართლა აგავდა ჰარუნ-ალ-რაშიდს. რომელიც უბრალო მოქალაქესავით დადიოდა ხანდისხან ღამე ყავახანაში, მაგრამ რა დარჩებოდა სუმბათაშვილს ოლიმპიელობიდან, რომ ის ხშირი სტუმარი ყოფილიყო ასეთი ყავახანებისა. აწ ისიც განსვენებული, ყოფილ საიმპერატორო თეატრების დირექტორი ტელიაკოვსკი თავის მემუარებში სწერს, რომ მასთან სუმბათაშვილს ისე ეჭირა თავი, როგორც მეტერნის, მცირე თეატრის შინაგან ავტონომიაში ქორსაც არ ჩააფრენდა სუმბათაშვილი, მაგრამ ისეთი დისციპლინა ჰქონდა მუშაობისას, რომ საკმაო იყო ტელიაკოვსკის დაეძახა სამხატვრო კლუბში. სადაც უყვარდა ქალაქის თამაში სუმბათაშვილს და რაც დრო არ უნდა ყოფილიყო, მიუხედავად წაგებისა, თუ მოგებისა — სუმბათაშვილი ადგებოდა და მიდიოდა საქმეზე მოსალაპარაკებლად. ყველაფერში დისციპლინის მოყვარულს, თურმე, ჰქონდა თავის მეტოდი ქალაქის თამაშის და ტელიაკოვსკის არწმუნებდა, რომ მონტე კარლოში უნდა ვსცადო, ამ მონტე კარლოსთანაც იყო შეჩვეული, მაგრამ სისტემამ ვერ გასჭრა და ისევე წაგებული დაბრუნდა, როგორც ყველა უცხოელი ბრუნდება ამ „პრიტონიდან“, რადგან მართლაც მხოლოდ ამ კაზინოს პატრონებს აქვს უეჭველი მოგების მეთოდი შემუშავებული. ერთხელ მე ვიყავი მასთან, 1914 წელს ესპანიაში გამგზავრების წინ. — ვერ წარმოიდგენთ რა მხიარულებას ვგრძნობ როცა ისპანიაში ჩვენებურ კალოობას ვნახულობ ხოლმე, თავი საქართველოში მგონიაო. აქ მე წარმომიდგა ბერი იოანე, ისპანიაში რომ ეძებდა ივერიას. მერე ბასკები. რომელნიც თურმე ქართველებს ენათესავებიან.

მართლაც დონ-ხოზე ნავარიელი, ხომ ბასკია და სა-  
შინლად აგავს ქართველს-ტემპერამენტით. ახალგაზრდო-  
ბა რომანტიულ ანალოგიებით ცხოვრობს.

სუმბათაშვილი არ იყო მარტო თავისიანებისთვის მი-  
კერძოებული და არას დროს არ აყვებოდა უბრალო გუ-  
ლისთქმას, არც პირდაპირ ლაპარაკს მიუზღებდა. მას და-  
ლიან სწყინდა, რომ ქართველებსა და სომხებში ჩამოვარ-  
დნილი იყო შური და მტრობა და ამბობდა — ეს კარგ რა-  
მეს არ უქადის საქართველოსო. მახსოვს ერთი შემთხვე-  
ვა, რომელიც ააშკარავებს მის მიუდგომლობას: მოსკოვ-  
ში ქალაქების კავშირის ყრილობაზე ტფილისიდან გამო-  
გზავნილი იყვნენ შ. მესხიშვილი, და ალ. ხატისოვი. ხატი-  
სოვი სუმბათაშვილს არ ენახა: ნახა ამ ყრილობაზე მოლა-  
პარაკე და მერე ხატისოვი, იყო სადარბაზოთ სუმბათა-  
შვილთან, როგორც ქართველ კოლონიის თავმჯდომარეს-  
თან: უცნაური ხალხია ქართველები, სთქვა სუმბათაშვილ-  
მა: ყველანი მეუბნებოდენ ამ ხატისოვზე ერთი ენაწავარ-  
დნილი და ტუტუცი კაციო — მართალი უნდა გითხრათ  
დიდი ორატორი ყოფილა და ყოველ შემთხვევაში „დუ-  
რაკობის“ არაფერი ემჩნევაო. ზოგიერთებმა იქვე დაუ-  
წყეს წინააღმდეგობის მტკიცება, მაგრამ სუმბათაშვილს  
არც კი უნდოდა მოესმინა: რა საჭიროა სხვისი გაბიაბრუ-  
ება. ქართველებს ბევრი ჰყავთ კარგი ორატორიო. სა-  
ქართველოში რომ ვიყავი მე მოვუსმინე გრიგოლ რობა-  
ქიძეს და უნდა გითხრათ დიდებული ორატორი ყოფილა:  
თან როგორიც მე მიყვარს ფრანგული ტემპერამენტისო.  
მისგან ამ დაფასებას დიდი აზრი ჰქონდა, რადგან თვი-  
თონ მართლა ნამდვილი ოქროპირი იყო.

ვინმეს ეგონება, რომ თავაზიანობა უშლიდა მას ზოგი  
რამ პირდაპირ ეთქვა, მაგრამ სუმბათაშვილი არასდროს  
არ მოერიდებოდა თავის აზრის გამოთქმას. 1923 წელს,  
როცა ის უკანასკნელად იყო საქართველოში მას გაუმარ-  
თეს ბანკეტი. ბევრი რამ ითქვა, რომელიც აღნიშნავდა  
სუმბათაშვილის დიდ დამსახურებას, მხოლოდ ერთი ორა-  
ტორი და ამასთან პასუხისმგებელი კაციც ა. მ. წამოდ-  
გა და სთქვა, რომ სუმბათაშვილს აქვს დამსახურება,

მაგრამ დღეს სხვა არის ეხლანდელი თეატრის შემქნელიო. სუმბათაშვილი მისთვის უჩვეულო აღელვებით მიმართავს ორატორს: „ყმაწვილო, გეტყობათ. ალბად კარგად არ იცნობთ თეატრს“.

„Все эти ваши новаторы — прихлебатели академизма“-ო

კოტე მარჯანიშვილს აზრადაც არ მოსვლია შეკამათება. იქ დამსწრე ხალხში ყველაზე უფრო ალბად თვითონ კოტე მარჯანიშვილი გრძნობდა რომ სუმბათაშვილი მართლა გოლიათი იყო რუსული სცენისა. და მართლაც ყველა ეს თაიროვები, ევრეინოვები და სხვა თეატრის აკრობატები და ჯამბაზები — მას ვერ გაუბედავდენ იოლად ხელის წაკიდებას: ბევრჯერ მახსოვს განსვენებული, დარწმუნებული ვარ სრული გულწრფელობით ამბობდა: მართალი თუ გინდათ გითხრათ, ვასო აბაშიძისა და ლიდო მესხიშვილთან შედარებით მე ძალიან ბევრი მაკლიანო: მაგრამ რაც მას აკლდა, ისე შეავსო თავისი შრომითა და ცოდნით, რომ ზოგიერთს ეს მაშინ ირონიათ ეჩვენებოდა.

საზოგადოთ არტისტები ვერ დაიქადებენ მაინცა და მაინც დიდ ზნეობრივ და პოლიტიკურ ავტორიტეტს. ამ შემთხვევაში ალექ. სუმბათაშვილი გამოჩნდა იყო. მან აამაღლა და საზოგადოებრივად განამტკიცა თავისი პიროვნება. და სიკვდილამდე შეინახა ეს პატივისცემა. ბავშობიდან ის მოკლებული იყო სამშობლო ქვეყანას, სადაც გაატარა სიყმაწვილის დღენი და სადაც ვლ. ნემიროვიჩი დაჩენკოსთან ერთად ემზადებოდა მომავალ დიდებისათვის. ორჯერ იყო საქართველოში საგასტროლოთ. ერთხელ 1916 წელს და მეორეჯერ 1923 წელს. ორივე გასტროლების დროს ყვავილებითა და სიყვარულით შეხვდა მას



საქართველო და ძველი მეგობრები. მესამე მისი გასტ-  
როლი იყო გაციებულ კუბოში — მაგრამ მაინც გადაჭრა  
ბათომიდან ტფილისამდე მთელი საქართველო — რომ  
უკანასკნელად მის გაციებულ ცხედარს შეესუნთქა სამ-  
შობლოს „კვამლი“. მე სულ მეგონა რომ მას დაადგებოდა  
თავზე ვინმე ძველი მეგობარი ტფილისის სადგურზე და  
ეტყოდა პათეტიურ სიტყვას, როგორც ანტონიო იულიუს  
კეისარს.

ჭეშმარიტად, ის კაცი იყო შექსპირის კაცის კაცო-  
ბით, და ასეთ კაცად დარჩება ყველასათვის. ვიცი მას იც-  
ნობს.

## ლენინის მემორიალის შესახებ.

მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსი გ. პლენანოვი კრიტიკისა და ლიტერატურის ისტორიკოსისაგან ყოველთვის მოითხოვდა, რომ მათ მხატვრული ფაქტის განხილვის დროს იდეოლოგიურ ანალიზთან ერთად აუცილებლათ სათანადო ყურადღება მიექციათ ფორმალური ანალიზისათვის და აეხსნათ ფორმაც სოციოლოგიურათ. გ. პლენანოვის ამ მეტად საყურადღებო მოსაზრებას დღეს ხშირად ივიწყებენ. დღეს ძლიერ გახშირებულია ის მოვლენა რომ კრიტიკოსები მხატვრული ფაქტის განხილვის დროს „ყველაფერს“ ეხებიან, გარდა ფორმისა — ლიტერატურის ამ დამახასიათებელ და უმნიშვნელოვანეს მხარის. ასეთი უყურადღებობა ლიტერატურის სპეციფიკისადმი პირდაპირ დანაშაულია. ასეთ ხალხს კარგათ უნდა ახსოვდეს, რომ მწერლის დახასიათების დროს აღნუსხვა მხოლოდ მისი შემოქმედების შინაარსისა და სრულიად გვერდის ახვევა ფორმის საკითხისა არის მეთოდოლოგიური ჩამორჩენილობა...

ამ მხრივ, მაგალითად, როცა ხვდებით ჩვენს პრესაში დემნა შენგელაიას შემოქმედების შეფასებას თითქმის ვერსად ვერ პოულობ რაიმე გარკვეულ სიტყვას მისი შემოქმედების მხატვრული ფორმის შესახებ.

ამ წერილს სწორედ დემნა შენგელაიას შემოქმედების ფორმის განხილვით ვიწყებთ. როგორია დ. შენგელაიას შემოქმედების ფორმალური მხარე?

ამ დარგში მას აქვს მიღწევებიც და ნაკლიც, აქვს ორიგინალური თქმებიც და გავლენებიც.

აღსანიშნავია, რომ დ. შენგელაია დიდათ არის დავა-  
ლებული ზოგიერთი მწერლისაგან: უკეთ, რომ ვსთქვათ  
ის განიცდის გავლენას ანდრეი ბელის, პილნიაკის, როზა-  
ნოვის, დოსტოევსკის და სხვ. ამ დასახელებულ მწერალ-  
თაგან ყველაზე უფრო ახლოა ის სტილით და წერის მანე-  
რით ბელისთან და პილნიაკთან. აი ფაქტებიც:

განსაკუთრებით უყვარს დ. შენგელაიას თავის მხატ-  
ვრულ ფაქტებში ჩართვა ხალხური მელოდების, ზღაპ-  
რების, თქმულებების, ლექსების და სიტყვების. ასეთი ნი-  
მუშებით სავსეა მისი „სანაგარდო“, „გურამ ბარამანდია“,  
„ტფილისი“ „მუხა“ (აქვე აღვნიშნავ, რომ ხშირად იმდენ-  
ნად მრავლად არის ისინი მოხმარებული ნაწარმოებში,  
რომ ამძიმებს მას, უკარგავს მხატვრულ ფაქტს ესტეტიურ  
ღირებულებას). ეს ხერხი კი ა. ბელის და პილნიაკის გავ-  
რცელებული „მეთოდია“.

მანერა გამოჰყოს ნაწარმოების ზოგიერთი ადგილი  
არა მთელი სტრიქონებით, არამედ გაცილებით უფრო ნა-  
კლებით (ნახევარი, მეოთხედი, მესამედი სტრიქონით), რა-  
საც ხშირად მიმართავს დ. შენგელაია, აგრეთვე ყველაზე  
უფრო დამახასიათებელია ბელისათვის და პილნიაკისა-  
თვის.

სიტყვის მნიშვნელობის გაგებაშიაც შენგელაია ძლი-  
ერ ახლო სდგას პილნიაკთან და ბელისთან. სიტყვა უყ-  
ვარს შენგელაიას, უყვარს მისი ძირეული აზრი: „ახლა ყვე-  
ლა სიტყვები ჩემი ნაცნობი მეგობრები არიან ზოგი ჩემი  
საყვარელია, ზოგი უცხო დედოფალი. ზოგი სიტყვა ჩემ-  
თან ერთად წვება ლოგინში, ნებურ ბავშივით მკლავზე  
თავს დამადებს და მიეძინება. მე მიყვარს სიტყვები, რო-  
გორც კრიჟანგს ოქრო და ფული... ო, მე ძლიერ მიყვარს  
სიტყვებით ცხოვრება“. ბ. პილნიაკი კი ყველაფერ ამ  
„გრძელ“ ამბავს მოკლედ შემდეგნაირად წარმოსთქვამდა:  
„Слова мне как монета нумизматику“.

დ. შენგელაია ნაწარმოების განვითარების მანძილზე  
ხშირად იცვლის განწყობილებას. „ტემპერამენტს“. წე-  
რის ხერხს, საუბრის ტონს. ეს თავისუფალი მოპყრობა  
„თხრობისადმი“ თავის სათავეებს უსათუოდ ღებულობს

ბელის და პილნიაკის შემოქმედებაში. ბელის „პეტერბურ-გი“ და პილნიაკის „ტრეტიაია სტალიცა“ და „გოლი გოდ“ სწორეთ ასეთი გზით არის განვითარებული...

ასეთია იმ გავლენების ხასიათი, რომელსაც განიცდის დ. შენგელაია.

დ. შენგელაია ცდილობს „ორიგინალური“ გზით იაროს ნაწარმოების განვითარების დროს. ამ მიზნით მას აქვს მრავალი „შესავალი“ სიტყვები, გარემოებები, განმარტებები, ჩასმული სიტყვები; ამით თითქოს ის სცდილობს დაეხმაროს მკითხველს მხატვრული ნაწარმოების უფრო ღრმად გაგებაში და მხატვრული ეფექტის გაძლიერებაში. მაგრამ უმეტესად დ. შენგელაია საწინააღმდეგო მოვლენას ღებულობს: დაუსრულებელი განმეორებები თავს აბეზრებს მკითხველს. აბა, რისი გამოწვევა შეუძლია ასეთ დაუსრულებელ განმეორებებს:

„იქ ენთო ცეცხლი, ორთქლმავალი გუგუნებდა და ჯავშნიანი მატარებელი „№ 365. Октябрь“-ი დადიოდა ლიანდაგზე და ჯავშნიან ვაგონებიდან იცქირებოდენ ირიბი თვალებით ყვრიმალის ძვალმსხვილი ხალხი და იყო ამ გამოხედვაში რაღაც უტეხი, შეუდრეკელი და სენტიმენტალობას აშორებული“. (ჯავშნიანი მატარებელი“).

„წითელ ხიდზე გადმოიარა „№ В. Ч. Октябрь“ და ჯავშნიან ვაგონებიდან იცქირებოდენ პირდაბჩენილი ზარბაზნები, კაპასი ტყვიის მფრქვეველები და ირიბი მონღოლურ თვალებით ყვრიმალის ძვალმსხვილი ხალხი ტყავის კურტკებით და ძაბრის ქუდებით“ (იქვე).

„და ერთ ნისლიან თებერვლის დღეს, როდესაც ცა ამღვრეული იყო და ღრუბლები იყვნენ დაშვებულნი, საქართველოში შემოვარდა აქაქანებული, ბრძოლის ცეცხლში გამოწრთობილი და სამოქალაქო ომში შერუჯული ჯავშმოსანი № 365. „ოკტიაბრ“. და ჯავშნიან ვაგონებიდან იცქირებოდენ ხახა დაბჩენილი ზარბაზნები, კაპასი ტყვიის მფრქვეველები და ირიბი მონღოლურ თვალებით ყვრიმალის ძვალმსხვილი ხალხი, ტყავის კურტკებში და ძაბრის ქუდებში“ (იქვე).

„ლიანდაგზე იდგა ჯავშნიანი მატარებელი № 365.  
„Октябрь“-ი და ჯავშნიან ვაგონებიდან იცქირობოდნ  
ხახა დაბჩენილი ზარბაზნები, კაპასი ტყვის მფრქვევე-  
ლები და ირიბი მონღოლურ თვალებით ყვრიმალის ძვალ-  
მსხვილი ხალხი ტყავის კურტკებით და ძაბრის ქუდებით“.  
(იქვე).

„დერეფანში ბნელა და დერეფანში დგას აბანოს ჭიის,  
თაგვების და საპნიან დამპალ წყლის სუნი.

„დერეფანში დევს აგური: ბინძური, გახეხილი და ეს  
აგური რატომღაც არ სცილდება ჩემ ფიქრს, (იქნებ ეს აგუ-  
რი მიხმობს თავს) აგურ ქვეშ მე ვინახავ ოთახის გასაღებს,  
ფეხები ზამთარ-ზაფხულ ცივი მაქვს და ხანდახან როცა  
ფეხები მთლად გამიშეშდება, დიასახლისი გახურებულ  
აგურით მითბობს ფეხებს... („ტფილისი“).

„დერეფანში ბნელა და დერეფანში დგას აბანოს ჭიის  
თაგვებისა და დამპალ წყლის სუნი.

„დერეფანში დევს აგური: ბინძური გახეხილი და ეს  
აგური ლოდივით დააწვა ჩემს ფიქრებს. აგურ ქვეშ მე  
ოთახის გასაღებს ვინახავ“ (იქვე).

„ყარამან ოდაში ბოლთასა სცემდა, ყალიონს აბოლებდა  
თუ ყალიონს არა, — ოჯალემს შეექცეოდა, ანდა გასწმენ-  
და ვერცხლით მოსევადებულ ძველებურ ფილთას და  
წავიდოდა სანადიროთ“ (სანავარდო“).

„ამის შემდეგ ყარამან მთელი დღე ბოლთას სცემდა  
ოთახში, ყალიონს აბოლებდა, თუ ყალიონს არა ოჯალემს  
შეექცეოდა, ანდა გასწმენდა ვერცხლის ზარნიშიან ძვე-  
ლებურ ფილთას და წავიდოდა სანადიროთ“ (იქვე).

აგრეთვე ხშირად დ. შენგელაია გადადის ყოვლად, გაუ-  
მართლებელ პროვინციულიზმში, არქაიზმში, მიმართავს  
ყოველგვარ ჟარგონს.

დ. შენგელაიას ბევრი სტრიქონები აქვს სავსე, რო-  
გორც თავთავი, მაგრამ ხშირად აქვს აგრეთვე ღარიბული  
და „მჭლე“ სტრიქონები, რომლებშიაც იჭრებიან სქემები  
და განუხორციელებელი ამბები; ხშირად მის აზრებს ტი-  
რე აქვს, რომლითაც უნდა მოვიფიქროთ, წავიკითხოთ  
მთელი წინადადება.

აგრეთვე კონსტრუქცია-კომპოზიციაშია მოიხსენიებული. შენგელაია. მისი „ტფილისი“ „სანავარდო“ და „გურამ ბარამანდია“ „უფორმოა“. ისინი შედგენილია ნაწყვეტებისაგან, რომელიც ერთმანეთთან მიწებებულია ყოველგვარ ხილულ წესის გარეშე. ზოგჯერ მთელი ნაწყვეტები და თვით თავები შეიძლება შევცვალოთ, რითაც არაფერი დააკლდება ნაწარმოებებს. სიუჟეტი ამ სიტყვის არსებითი მნიშვნელობით, მათში არაა. კავშირი მოცემულია მხოლოდ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

სტილის მხრივაც დიდი სხვადასხვაობა აქვს დ. შენგელაიას. მისი არა თუ სხვადასხვა ნაწარმოებები, არამედ ერთი და იგივე ნაწარმოებიც არაა შესრულებული ერთი გაშლილი სტილით. მაგ. „სანავარდოში“, ან „ტფილისში“ შერეულია სხვადასხვა სტილი. აქ არის ნატურალიზმიც, სიმბოლიზმიც და რეალიზმიც.

ასეთია დ. შენგელაიას შემოქმედებითი ფორმალური მხარე, ეხლა გავეცნოთ, თუ როგორია მისი შემოქმედების ობიექტი ან — ცხოვრების რომელ კუთხეებს გვიხატავს ის თავის მხატვრულ ფაქტებში.

დ. შენგელაია უმთავრესად საქართველოს ძველი, მიმავალი ცხოვრების მწერალია. მისი ნაწერების გმირები არის ის ხალხი, რომლებიც იღუპება ორი ეპოქის საზღვარზე.

ქრონოლოგიურათ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დ. შენგელაიამ პირველად გამოაქვეყნა „სანავარდო“. ეს რომანი მხატვრული ფაქტია ძველი. უკვე გარდასვლის პროცესში მყოფი ცხოვრების შესახებ.

რას შეიცავს ამ რომანის შინაარსი?

სანავარდოს მცხოვრებ თავადიშვილ ყარამან ჭილაძის ოჯახში მაგრათ მოუდგამს ფეხი დეგენერაციას; როდესაც ყარამანი მარტო დარჩებოდა და ფიქრებს კრიალოსანზე ჩასთვლიდა, მაშინ, „მას იპყრობდა შიში იმ საგვარეულო სენისა. დიდებასთან ერთად რომ დაუტოვეს წინაპრებმა. ამ სენმა გაუთხარა მიწა მამა მის და მის ძმას კახაბერს. ეშინოდა თავისი თავის და უცქეროდა ნაღვლიანად თმის დავარცხნის დროს თუნუქის სარკეში, ამღვრეულ თვალებში იყო რაღაც დამაფიქრებელი და ვერანობა“.. დასნეულე-

ბულია ყარამანის ცოლი ციცინოც, კოხის ბაცილები თანდათან მრავლდებიან მის სხეულში. ავხორცობით დაავადებულია შვილი — ბონდო. მას წამხდარი აქვს შთამომავლობით სისხლი. ყარამანი ბონდოს სწავლის მისაღებად პეტერბურგში გზავნის, საიდანაც ის მთლად დაავადებული ბრუნდება. დაბოლოს მთელი ოჯახი ისპობა, ნადგურდება უკურნებელი საგვარეულო სენისაგან.

ბონდო ჭილაძეს შეგნებული აქვს, რომ მისი თაობის და წოდების ხალხმა უკვე თავისი უკანასკნელი სიმღერა სთქვა, რომ ის უკვე დაღუპვის და მოსპობის გზით მიდის თავის წოდებასთან ერთად: „ავიკრათ გუდა-ნაბადი და გაუდგეთ... ახლა ახალი ხალხი მოდის... ახალ ქვეყანას ახალი ხალხი ქმნის... მე კი დაჩიავებული ვარ. ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ, მამაჩემო... ახლა რკინის გზა მოდის და ჩვენ უნდა დავხუროთ მატრიანე... ახლა სხვები მოვლენ ჩვენ აღვიღლას. დაზიდულ ძარღვებითა და ახალი სისხლით, — უვარგი ხალხი... ჩვენ წავიდეთ, მამაჩემო, და ძველი დიდებით შევიქცეთ თავი... ჩვენ ახლა მოხუცი ბერიკები ვართ“.

ასეთია სანავარდოს ძირითადი ფონი. გზა და გზა აგრეთვე პარალელურათ არის განვითარებული ძირითადი თემისთვის დამხმარე „სხვა“ სიუჟეტიც (მაგ. მთელი სოფლის დაღუპვა, „სკაპეცების“ ამბავი და სხვ.).

ბონდო ჭილაძე დიდი მხატვრული განსაზოგადობაა. მისი ფიგურა შევა ქართულ ლიტერატურაში, როგორც მნიშვნელოვანი ახალი მხატვრული სიტყვა. მართალია, მასში ბევრი რამ არის დოსტოევსკის განწყობილებებიდან და მსჯელობებიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც ორიგინალურია, საქართველოს წიალიდანაა მოცემული. მისი სახით დ. შენგელაიამ მოგვცა ქართული ფეოდალური „დოსტოევშინის“ სურათი. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ბონდო ჭილაძის სახე, მისი ცხოვრების განვითარების ამბავი რამოდენიმეთ ატარებს მხატვრულ დაუსრულებლობის, დაუმუშავებლობის ნიშნებს. ბონდო ჭილაძე თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ სქემატიურად არის მოცემული, არაა ის გაშლილი ფართე საზოგადოებ-

რივ ფონზე, მაშინ, როდესაც ეს თავისუფლად შეიძლებოდა და ძლიერ სასურველიც იყო.

„გურამ ბარამანდიაში“ — კიდევ უფრო ნათლადაა მოცემული ძველი ცხოვრების და ძველი თაობის დაღუბვა. აქაც წითელი ზოლივით არის გატარებული ის იდეა, რომ ცხოვრება ვერ ითმენს მომაკვდავ ხალხს. ეს ნაწარმოები იწყება ბარამანდიების ცხოვრების დახასიათებით.

ოტია ბარამანდიას შვილი გურამი ისე იზრდება, როგორც ეს შეეფერება წარჩინებულ წოდებას. მას სამხედრო კარიერისათვის ამზადებენ. მაგრამ აქ მას მოუსწრო ახალი ცხოვრების ქარიშხალმა. — რევოლიუციამ, რომელიც მისი თაობის ხალხს უეჭველად აღგვის დედა მიწის-პირიდან. ბარამანდია უკვე ბონდარჩუკათ გვევლინება და ის შორეულ ციმბირში ხელმძღვანელობს კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს რევოლიუციონური ხელისუფლების წინააღმდეგ.

თავის ცხოვრების უფერული და მომაკვდავი შინაარსი მას „წერილობიანას თამაშით“ უნდა შეავსოს. ის ეჭიდება ცხოვრებას. სურს როგორმე კიდევ არსებობა, კიდევ იბრძვის ძველი ქვეყნის დასაცავად. მაგრამ ტყუილი ცდაა. ბარამანდიები უნდა მოკვდენ. ასეთია ცხოვრების უღმობელი ლოლიკა. ახალმა ხალხმა მოიტანა იერიშები ძველებზე. ახლები იმარჯვებენ. პარტიზანები ამარცხებენ ბარამანდია-ბონდარჩუკს და მისი სახით მთელ ძველ ცხოვრებას.

გზა, რომლითაც დ. შენგელაია მიდის ამ თემასთან მეტად თავისებური და განსაკუთრებულია. რაში მდგომარეობს ამ გზის განსაკუთრებულება?

— არიან ისეთი მწერლები, რომლებიც პატარა, მცირე თვისებებს და ნიშნებს, ცხოვრების შეუმჩნეველ შრიხტებს ითვისებენ, როგორც უდიდეს და უჩვეულო მოვლენას. მათ ახასიათებს ჰიპერბოლა. მათთვის საშვალო არ არსებობს, პირიქით. ყველაფერი მათთვის უდიდესი და უმნიშვნელოვანესია. მათ აქვთ მისწრაფება ყველაფერი დაინახონ გადიდებული სახით: უარყოფითიც და დადებითიც, სიბნელეც და სინათლეც. ასეთი იყო ჩვენში ა. ყაზბეგი, ი.



ჭავჭავაძე, ე. ნინოშვილი, რუსეთში — დისტოვესკი, ტო-  
ლსტოი, გოგოლი, დასავლეთში — ფლობერი, ზოლა.

კიდევ არიან ისეთი მწერლები. რომელთათვისაც ცხო-  
ვრება მხოლოდ სიპატარავეშია. რომელიმე უდიდეს მოვ-  
ლენას ისინი აქცევენ პატარათ, ზოგჯერ შეუმჩნეველადაც  
ამის გამო მათი ტრადედია ხშირად მხოლოდ ვოდვეილს  
ჰგავს. ასეთია დ. შენგელაია. ის ყოველთვის უდიდეს სო-  
ციალურ-საზოგადოებრივ მნიშვნელობის მოვლენებს —  
შემკვირვებულ, ყოველთვის დაპატარავებული სახით გვი-  
ჩვენებს. ის სამყაროს ისე გვიჩვენებს. თითქოს გაჰქრენ ყვე-  
ლა ფერები, ყველა სეგდანი. უამრავი შეხამებანი და დარ-  
ჩა მხოლოდ ერთი ტონი, ერთი რომელიმე ფერი.

ამ თვალთხედვით შლის თავის ნაწერების უმეტესო-  
ბას დ. შენგელაია. ასეთია მისი „ლაფშა“. „ტფილისი“,  
ასეთივეა, „გურამ ბარამანდიაც“. ამ უკანასკნელ ნაწარ-  
მოებში დ. შენგელაია სწორეთ ერთი „ტონით“ უდგება  
ძველი და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ბრძო-  
ლას. მისი მხატვრული ფონის მთავარ პლანზე ძველი ცხოვ-  
რების ერთი მეტად პატარა კუთხეა და მისი მომქმედი პი-  
რები, ხოლო ახალი რომელიც უპირისპირდება მას, რომ-  
ელიც იმარჯვებს — ეს არსადა სჩანს, არაა გარკვეული.  
თუ რას წარმოადგენს ის. არ კმარა თქმა მარტო იმისა,  
რომ „სადგურის შენობაზე წითელი დროშა ფრიალებდა“.

ოქტომბრის რევოლიუციის რვა წლის თავზე დ. შენ-  
გელაიამ დასწერა „ჯავშნიანი მატარებელი“. ამ ნაწარ-  
მოებს დ. შენგელაიას მწერლის სახელისათვის მაინცდა-  
მაინც დიდი არაფერი შეუმატებია. „ჯავშნიან მატარე-  
ბელში“ ნათლად სჩანს, რომ მის დამწერს აკლია განსაზ-  
ღვრული საზოგადოებრივი მსოფლმხედველობა. რაც  
ხელს უშლის მას დაინახოს საინტერესო და საყურადღე-  
ბო ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში, დაინახოს ახალი ადა-  
მიანიბი მთელი თავისი სისრულით. ამიტომ ნაწარმოებს  
ავსებს ყოვლად დაუჯერებელი „მოგონილი“ ამბავით,  
ინეგდოტებით, წვრილმანებით. ეს მოვლენა მეტად სახი-  
ფათოა მწერლისათვის. ასეთ წვრილმანებს და ობივატე-  
ლურ მსჯელობებს შეუძლია მწერლის სახელი დაჩრდი-

ლოს. ამის მაგალითები მრავალია ლიტერატურის ისტორიაში. ამ საფრთხეს არც დ. შენგელაია აცილებული, თუ ის ამ გზით განაგრძნობს სვლას.

მიმდინარე წლის დასაწყისში დ. შენგელაიამ „მნათობის“ სამ ნომერში (№ 1 — 2, — 3) მოათავსა ახალი რომანი „ტფილისი“. როგორც სჩანს ავტორს ამ ნაწარმოების სახით სურდა მოეცა ლირიულ პროზაში ანდრეი ბელის „პეტერბურგის“ მსგავსი ეპოპეია. ამ ნაწარმოებში მას მთავარ პლანზე სურდა გაეშალა პროექტის განცდა და სიყვარული. მაგრამ დ. შენგელაიამ განზრახვა ვერ შეასრულა: საბოლოო ანგარიშში მივიღეთ სუმბურული და ფანტასმაგორული ნაწარმოები. ამ ნაწარმოებში დ. შენგელაია წარმოდგენილია. როგორც ასპროცენტისანი სიმბოლისტი და მისტიკოსი — შ. ბოდლერის და ედგარ პოს გავლენით. „ტფილისში“ მთელი ნაწარმოების გასწვრივ ბოდვა, ლანდები, შიში, დაავადება და გაურკვევლობა მოსჩანს.

აი, დაუგდოთ ყური თუ როგორ მსჯელობს დ. შენგელაია, როგორ ფიქრობს და აფასებს ის საგნებს და მოვლენებს: „მე რამდენიმე ხნით ვიკეტები ოთახში, გარეთ გამოვდივარ, გულს ცეცხლი მედება და სულ აწრიალებული დავრბივარ ოთახში, მერე გახურებულ შუბლით წელში ოთხათ მოღუნული ვჯდები ჩემ საწერ მაგიდასთან და ვწერ თავაულებლად. ხან ვტირი, ხან ვიცინი, ზოგიერთ საყვარელ სიტყვებს ვიძახი ხმამაღლა, ყურს ვუგდებ მათ ხმაურს, მიხარია და ერთ თვეში ვაკეთებ იმდენს, რაც ერთი წლის განმავლობაში უნდა გამეკეთებინა, მერე დგება ისევ აუტანელი სიცარიელე, ყველა აზრები მიმატოვებენ და ჩემი გონება მაშინ ემსგავსება დარბეულს ციხე-ქალაქს, ყველა სასწაულთ მომქმედი სიტყვები გამწირავენ და მე არ ვიცი სად წავიდე, რით უშველო თავს და ხშირად არის ღამეები, როცა თვითმკვლელები ამოფორთხდებიან მტკვრის ნაპირებიდან, დალორწილნი, ლაინის ფერი მოადგებიან ოთახის სარკმელს და თვალ დაკაკლულნი გალურჯებულ ფრჩხილებით ჰფხოჭნიან მინებს“. ან კიდევ: „— მიშველეთ... მიშველეთ... — ვბლავი მე და პერანგის

საკინძეს ვიგლეჯ და უეცრად ვხედავ როგორ შემოდის ჩემ ოთახში მორიელი, თეთრი ხელთათმანიანი ხელი ჩარლი ჩაპლინისათვის გადაუხვევია და მოდიან ჩემკენ ფოქსტროტის ცეკვით. მე ხელებს ვასავსავებ, მაგრამ მორიელი მაინც მოდის ჩემ ლოჯინისაკენ, ის დაღლილია და ვნებით დაყურსული უნდა ჩემ ლოჯინში ცოლივით დაწვეს და მემუდარება რომ მივეალერსო. რა ქმნას მან, გულღაბზიანმა და მუცელ შხამიანმა, მასაც ხომ აქვს ვნება შხამად დაგუბებული, — მაშ რა უყოს ამ ვნებას... და აი ის მართლა წვება ჩემ ლოჯინში, იხდის აბრეშუმის თხელ პერანგს ტანთ ხატის ზეთის სუნი ასდის, ვნებით დაყურსული მკერდში მომეხუტა და ჩამასო გესლი, მე მტკივა, ვკვნესი, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ, — ჩამიწყდა და ბრონხიტთან თხასავით ვხავი“.

მოჩვენებებით და ბოდვებით სავსეა მთელი „ტფილისი“. სიტყვის ლექსიკაც სათანადოთ არის შეხამებული აზრის გაშლასთან. სიტყვის მისტიკა აქ უმაღლეს მწვერვალზეა ასული, საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დ. შენგელაიასთვის „ტფილისი“ უკანდახვევია, როგორც ფორმალურად ისე იდეოლოგიურათაც. მაში ნახმარია უკვე „სანავარდოში“ და „გურამ ბარამანდიაში“ მრავალჯერ ნახმარი სიტყვები, გამოთქმები, სიტყვის მიბრუნება და სხვ. იდეოლოგიურათ კი ანტითანამედროვე და დახავსებული „შინაარსია“ მაში მოცემული.

საერთოდ დასკვნა დ. შენგელაიას შემოქმედების შესახებ ასეთი იქნება: მწერალი მეტად და ორგანიულად უნდა დაუახლოვდეს თანამედროვეობას, საბჭოთა სინამდვილეს. მან უნდა შეიმუშაოს აგრეთვე ისეთი ფორმაც, რომელიც შესაფერისი იქნება ამ ახალი შინაარსისათვის.

თუ დ. შენგელაია სერიოზულად და გულწრფელად წავა ამ გზით, მას შეუძლია გახდეს პროლეტარული რევოლუციის კარგი და მნიშვნელოვანი „თანამგზავრი“ მწერალი.

— : —

## მესხეთ - ჯავახეთში

მ ა რ ძ ი ა.

ხუთი სათია და წვიმს. ექვს საათზე კი ვარძიისაკენ უნდა გავემგზავროთ. ჩემს სულში სწვიმს...

მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, მზე პირს იბანს და ჩვენი გულიც ნათდება. ოღონდ წავიდეთ, ოღონდ გავცილდეთ აბასთუმანს და მერე უკან ხომ ველარ დავბრუნდებით.

ხვალ აგვისტოს ოცდა შვიდია, ვარძიის დღესასწაულის (ღვთისმშობლის) წინაღღე. ამბობენ მთელი მესხეთისა და ჯავახეთის ქართველობა იქ იქნებაო. და სწორედ ამიტომ გვინდა დროზე წავიდეთ, ღამისთევას მივუსწროთ.

მეშინოდა ჩემი ავადმყოფობის, მაგრამ ამ დიადი ძეგლის ნახვის სურვილი ისეთია, რომ აღარაფერი მაგონდება. მერე ასეთი მგზავრობა ხომ იშვიათად შეგხვდება: ჩვენთან მოდის პავლე ინგოროყვა, სათანადო რუკით შეიარაღებული, საქართველოს წარსულისა და მისი ძეგლების მცოდნე, ძველ წარწერათა წამკითხველი: მასთან მგზავრობა უბრალო გასეირნება როდია.

ეტლთან უკვე გარიგებული ჯართ და საცაა უნდა მოვიდეს. ამაღამ ახალციხეს ჩავიყვანს. ღამეს იქ გავათევთ, დილით კი კვლავ გზას გავუდგებით. მეეტლე პეტრე გვბირდება: ხერკისამდე მიგიყვანთ. თუ იქითაც იქნება გზა, წამოსასვლელად მზადა ვარ; ამბობენ კი. საცალფეხო გზააა“ ხერთვისიდან ფეხით მოგიხდებათ წასვლაო.

მაგრამ ეს წვიმა და ეს ღრუბლები... ალბად ამან თუ შეაფიქრიანა პეტრე, ასე რომ იგვიანებს. ჩვენ ახლა აბა-

სთუმნიდან გასული უნდა ვიყვნეთ. ვეძებთ პეტრეს და ვაჩქარებთ. ჩემსა და პავლეს გარდა, ჩვენი თანამგზავრები არიან: დები თამარ და ელენე ჩიჯავაძეები, ნესტორ ცერცვაძე და სტუდენტი კოლა კოსტანტინოვი. ეს უკანასკნელი ფოტოგრაფიული აპარატით არის აღჭურვილი და მოგზაურობის დიდი ხალისიც აქვს. ყველგან გვყავდა: საფარას, ზარზმას ახლა გარძიას მიგვყავს. ხუმრობით „ჩვენი კარის ფოტოგრაფს“ ვეძახით.

კოლამ ფოტოგრაფობის გარდა, თათრული ენაც იცის. ეს კი ამ მხარეში აუცილებელი რამაა. სხვა ბევრს რამეშიც გვეხმარება და გაჭირვების ტალკვესია. ჩიჯავაძის ქალების სრული იმედი გვაქვს: მათ უკვე დაამტკიცეს, რომ ღირსეული ექსკურსანტები არიან. გაჭირვებასა და დაღუპულობაში თანაბარნი. კარგად მავალნი და ამტანნი. ნესტორ ცერცვაძისაც დიდი იმედი გვაქვს: ზარზმაში რომ იყო, მაშინ გამოიჩინა სიარულის დიდი ნიჭი. მე და პავლე ახლად ნაავადმყოფარი ვართ. მაგრამ ჩვენი ენტუზიაზმის იმედი გვაქვს. არა. უეჭველად უნდა წავიდეთ...

როგორც იქნა. პეტრემ შეაბა თავისი ცხენები (დამატებით). მაგრამ როგორ გნებავთ ამ პატარა ეტლში ექვსი კაცი ჩავეტიოთ? მეშვიდე თვითონ პეტრეა. მაგრამ, აკი მოგახსენეთ, ამტანი ვართ ყველანი და ამტანია პეტრეც. გავცილდით აბასთუმანის „ბირჟას“, აწკარუნდა ცხენების ზარები.

რა მიხარია ამ ვიწრო ხეობიდან გასვლა! ეს რამდენჯერ ვცვილდები. მაგრამ სიხარული მაინც არ ნელდება. აბასთუმანი სულსა და გულს მიხუთავს. აქეთ გორა, იქით გორა. თვალს ცას თუ მიაპყრობ. ქართველი კაცი მთებით ვინ უნდა გააკვირვოს? აი მორჩა ვიწრო ხეობა და ეტლი ფართო სანახაობას მიადგა. აი ჭობლიანის მაღალი ველეები. გული სიამით გიფართოვდება, თვალი ჰორიზონტს შორს სჭვრეტს და რაღაც ხალვათობას გრძნობ. ციხიდან განთავისუფლებას უდრის ამ ფართო ასპარეზზე გამოსვლა...

## ახალციხე

ღამის 9 $\frac{1}{2}$  საათზე უკვე ახალციხეში ვართ. ამ ქალაქს პირველად როდია, რომ ვნახულობ. შორიდან მშვენიერია, მაგრამ ვაი მიახლოვებას! ჭუჭყიანი, ბინძური ქუჩები, მიღრეცილ-მოღრეცილი სახლები. გორაკზე კი ამაყად სდგას ძველი ციხე, დიდი ციხე. რამდენ საუკუნეს სდარაჯობდა იგი ათაბაგების სამფლობელოს? რაოდენი ქართველი ვაჟკაცის სისხლი ჩაღვრილა იქვე, მის თხემთან მიმდინარე ფოცხოვში და წითლად შეუღებია მისი აჩქარებული წყალი?

დიდხანს იცავდა იგი მესხეთს, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს. ჟამთა სიავემ ეს „ახალი ციხე“, მტრების გულსაკლავად და მოსაგერებლად თვით თამარის მიერ აგებული—მტრის სიმაგრედ გადააქცია. საქართველოს ჩამოშორებული მესხეთი, გამაჰმადიანებული და გადარჯულებულ ათაბაგების ხელში ჩავარდნილი, ძველ სახელდაკარგული, საფაშოდ წოდებული — ეს ის ტრამპლინი იყო, რომელიც ოსმალეთს დანარჩენ საქართველოზე თავდასხმას უადვილებდა. აქედან მოდიოდა საქართველოს საწინააღმდეგო ყოველგვარი ინტრიგა და აქეთკენ გამორბოდენ მეფეებთან ბრძოლაში დამარცხებული მოღალატე ფეოდალები.

მაგრამ პირველი შთაბეჭდილება სიბინძურისა, საბედნიეროდ, მალე ჰქრება. ვხედავთ, რომ ახალციხე ჩვენს სამაზრო ქალაქთა შორის არც თუ ისე უგულვებელ საყოფელია. ჯერ ერთი, იგი თითქმის ყველა სამაზრო ქალაქს აღემატება თავისი სიდიდით. რუსეთთან შემოერთების დროს (1829 წ.) მასში 50.000 მცხოვრები იყო, ე. ი. მაშინდელ ტფილისისაზე მეტი. მაგრამ აქაური ქართველი მუსულმანობა ათაბაგობას გადაჰყვა და ოსმალეთს გაიხიზნა. ახლანდელს ახალციხეში 13.000-მდე მცხოვრებია, უმთავრესად სომხობა. რომელიც აქ დასახლდა რუსეთთან შემოერთების შემდეგ აზრუმიდან წამოსული.

მაგრამ ნუ გვავიწყდება: გზა დიდი გვაქვს, დასვენება საჭირო. ვეძებთ ღამის გასათევ ადგილს.

ჩვენმა მეეტლემ ბევრი გვატარა და ერთს მივარდნილ ადგილს მიგვიყვანა. ვკითხულობ: „სასტუმრო ლონდონი“. ბევრს ვეძებთ მის პატრონს, მაგრამ ამაოდ. მერე ვილაცხადლა ვილაცხადლავს ალვიძებს და ჩვენ შევდივართ ერთს ბნელ ოთახში, სადაც მხოლოდ ერთი საწოლია. სხვა ოთახი არა აქვთ.

არ მოგვწონს ეს და ამ შუალამისას გვინდა სხვა ბინა ვიშოვოთ. ვპოულობთ კიდევ ორ ოთახს (საწოლებითურთ!) სასტუმრო „ინტერნაციონალში“. მოგვაქვს ძველი ბინიდან ჩვენი ბარგი-ბარხანა და როგორც იქნა. ვლაგდებით. ახია ჩვენზე! აქვე „ინტერნაციონალი“ ყოფილა და იმპერიალისტურ „ლონდონში“ რაღა მიგვარბენინებდა!

ახლა გული საგულეს გვაქვს. პეტრესთან შეთანხმებით ახალციხიდან დილით რ საათზე უნდა გავიდეთ. უკვე თორმეტი საათია. უნდა დავიძინოთ. მაგრამ გვშია და პურზე ვნადირობთ. განსაკუთრებით გვინდა ჩაი. საკანდიტროები უკვე დაკეტილია. ბოლოს მივაგნეთ ერთს რაღაც „საზოგადოების“ საჩაიეს: ჩაის და სუხრის გარდა არა ჰქონდათ რა. მაგრამ ამასაც რომ გვიგვიანებენ? მე და კოლა ამასობაში უკვე ნარდს ვთამაშობთ, მაგრამ მოტანილ ჩაის დანახვაზე მისი დარდი აღარა გვაქვს.

ამ შუალამისას ქალაქის ბაღი და კლუბიც დავათვალიერეთ. ქეიფი, საზანდარი, თარი, საჭმელების ომხივარი და თამბაქოს ბოლი. შორს ჩვენგან ეშმაკეულო, ჩვენ ვარძიაში მივდივართ!

სასტუმროს მსახური პატივისცემით გვექცევა და ყველ ჩვენს თხოვნას გვისრულებს. გამოგვკითხა, ვინ ვინა ვართ. არაფრის გულისთვის არ სჯერა ნესტორ ცერცვადის კომუნისტობა. მის გრძელ თმასა და წვერს რომ უყურებს, გვეუბნება: მღვდელია, ალბად ხუცურის წასაკითხად მიგყავთო. ვერ დავაჯერეთ და თავი დავანებეთ.

ეს მსახური სოფ. მუსხიდან არის. მართლმადიდებელი ქართველია. ქართული ენა მესხეთში მარტო ამათ და კათოლიკებს შერჩენიათ. დანარჩენებში თითქმის სულ ამოვარდნილია მისი სახსენებელი. ცოტა ხანს ვებაასებით, ვკითხავთ, თუ რამდენი ვერსი იქნება ვარძიამდე. ვერ

გვეუბნება. ვერც ის გვითხრა, ხერთვისიდან ეტლის გზა არის თუ არაა.

ვიძინებთ. ხუმრობა ხომ არაა; ექვს საათზე უკვე უნდა გავემგზავროთ.

## მტკვრის ხეობა

დილა-ადრიან ავდექით, მაგრამ სად არის ჩვენი პეტრე? ძალიან ნელი კაცია და ჩვენ რომ გვეჩქარება, ის ზღაზღვნივით აკეთებს ყველაფერს. ორი საათი დაგვაგვიანა: ცხენების დაჭედვაც მაშინ მოაგონდა, ქერის ჭმევაც და ათასი კიდევ სხვა რამ. გაბრაზებული ვიყავით. მაგრამ ეტლში რომ ჩავლაგდით — უცებ გავმხიარულდით, დაგვავიწყდა წინანდელი შეშფოთება.

გავსცდით სოფ. ჭაჭარაქს, მინაძესთან გავიარეთ ხიდი და ფეხი შევდგით ახალქალაქის მოსეზე. მტკვრის მარჯვენა ნაპირას მივდივართ. აქ ხეობა ძალიან ღრმაა, აქეთიქით დიდი მთები და უზარმაზარი კლდეებია. მტკვარი კი პატარაა. ტყუილად კი არ უწოდებენ აქაური ქართველები მას ალერსიანად **არტანულას** (მაგალითად, სოფ. ღრელში). მალე საშინელი სიციხე გვაჭერს. მაგრამ ჩვენ აღმა მივდივართ და სიგრილის იმედი გვაქვს. ხშირად გვხვდება არწივები. სულ არ ეშინიათ ადამიანისა: კარგად იციან, რომ ამ ციცაბო კლდეებზე მათ არავინ გამოუდგება. მტკვრის ნაპირები აქ სავსეა კაკბებით. ზედ გზის პირას მთელი გუნდები ვნახეთ. მე თოფი მაქვს თან, მაგრამ თან მგზავრები მაჩქარებენ. ამ ხალხში არც ერთი მონადირე არაა. „სულ არ იცი ჩემი წერაკითხვები“ მინდა ვუთხარი მათ...

მაგრამ ასპინძისაკენ მივიჩქარით. აქ გვინდა ცოტა დავისვენოთ და ისევ მალე გავუდგეთ გზას. ხერთვისიდან ალბად ფეხით მოგვიხდება სიარული და გვინდა ღროიანად მივიდეთ.

გზაში მცირე ტყე თანდათან ჰქრება და იწყება მოშიშვლებული მინდვრები. აქა-იქ ბაღები მოსჩანს. ეს სოფლებია — სახელით ქართული, მაგრამ უმრავლესობა



უკვე სავსებით გადარჯულებული. აი, **ღობიეთი**, ქართლის დიასამიძეთა ძველი სამფლობელო. დიდი და კარგი სოფელი უნდა იყოს. ბალებით სავსეა. მაგრამ ის გაღმაა და ჩვენ გამოღმა. აი, სადგურის ნანგრევები. აქ ყოფილა **რუსთავის** სადგური. თვით სოფელი **რუსთავი** კი მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ზემო განზე მდებარეობს. პ. ინგოროყვამ თავისი გამოკვლევით ამ სოფელს ძველი შარავანდედი მოხსნა, როგორც შოთას ვითომდა სამშობლოს. მაგრამ რაოდენი ხნის განმავლობაში სთვლიდენ მას რუსთველის სოფლად, რაოდენი ლეგენდა არის მასთან დაკავშირებული! ამიტომ სიამოვნებით ვრჩებით აქ, შორიანლოს და ვშინჯავთ სოფელს. გაჩერება მით უფრო საინტერესოა, რომ აქ წყაროც მოიპოვება. ძუნწია იგი და თანაც უგემური, მაგრამ ზევიდან, რუსთავიდან მოდის. ამიტომ პატივისცემით ვეპყრობით და ბევრსაც ვსვამთ. თვით სოფელი ქუთუბით ყოფილა დასახლებული და მათ, რასაკვირველია, არცროდეს გაუგონიათ ჩვენი დიდი მგოსნის სახელი.

რამდენი ხანი მოვდივართ და ნახევარი გზა ძლივს გავიარეთ! მოვდივართ სულ მტკვრის პირას. რა გრძელი ყოფილა ჩვენი მტკვარი — არტანულა! მე ვამბობ, რომ ის უფრო მეტი პატივისცემის ღირსია, ვიდრე ბევრსა ჰგონია! აქედან — არტანამდე, აქედან — ბაქომდე. ხუმრობაა? არა! მტკვარს აგრე ნუ უყურებთ, თუმცა ყველგან ერთნაირად მღვრივია, როგორც ასპინძასთან, ისე ტფილისთან.

### ასპინძა.

აი უახლოვდებით ისტორიულ ასპინძას. ნეტა როგორია იგი? ატყვია რამე ისეთი, რაიც კაცს მოაგონებდეს იმ ისტორიულ გამარჯვებას, რომელიც ქართველებს ზვდათ 1770 წლის 20 აპრილს?

მივდივართ სოფ. **იდუმალას**. ლამაზი სახელია. აქედან ასპინძამდე 4 — 5 ვერსი-ღა თუ იქნება. მაგრამ ამ ლამაზი სახელის პატრონს სოფელთან ერეკლეს ჯარი კინაღამ დაიღუბა, როდესაც ერეკლემ გაიგო, ოსმალეთის დამ-

ხმარე ჯარი ასპინძის მოკლე გზით აწყურისაკენ მოემუ-  
რებაო, ალყა მოხსნა აწყურის ციხეს და როკეთის ვზით  
ასპინძისაკენ დაიძრა. მაგრამ აწყურის ოსმალთა გარნიზონ  
მა ციხე მიატოვა და უფრო მოკლე გზით წასული სოფ.  
იდუმალასთან თავს დაესხა ერეკლეს ჯარს. თავდასხმა  
მოულოდნელი იყო და ძლიერ სახიფათო. მაგრამ ერეკ-  
ლეს გაბედულობამ აქაც გასჭრა: „რაოდენიმე ჩინებულთა  
და შინაყმითა თვისითა და შვიდითა ხევსურითა გას-  
წირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხლად, ვიდრე სიკვდი-  
ლამდე“. გაიმარჯვა და ასპინძის მალლობები დაიჭირა.  
ოსმალთა ჯარის ნაწილი გადმოვიდა მტკვრის მარჯვენა  
მხარეს. და ასპინძის ველზე დაბანაკდა. სჩანს, აქ მაშინ  
ხიდი ყოფილა. ახლა მისი კვალიც არსად სჩანს. აქ მოხ-  
და ისტორიული შეტაკება, როდესაც მტრის ჯარი სასტი-  
კად დაშარცხდა და უკან დასახევი გზაც გადაჭრილი დახ-  
ვდა: ქართველებს ხიდი აეყარნათ.

მაშინვე იყო მესხეთი მშობელ ქვეყანას დაშორებული,  
ასპინძის გამარჯვებას საქართველოსთვის ეს დაკარგული  
მხარე უნდა დაებრუნებინა. მაგრამ ერეკლეს ზურგი მა-  
გარი ვერ ჰქონდა: დახმარების მაგივრად რუსის გენერა-  
ლი ტოტლებენი ტახტიდან ჩამოგდებას უპირებდა. ამი-  
ტომ ქართველთა ჯარმა წინსვლა ვერ შესძლო და ასპინძა  
მხოლოდ ეპიზოდურად დარჩა.

მივედით ასპინძას და ერთ ბინძურ დუქანთან დავიბა-  
ნაკეთ აქედან მშვენივრად მოსჩანს ასპინძის ციხე. სუ-  
რათს ვიღებთ, მაგრამ, როგორც მერე აღმოჩნდა, ვერ გა-  
მოსულა კარგი. რალაც დიდი წარმოდგენისა ხარ და ტურ-  
ტლიან ქუჩებს, მიღრეცილ-მოღრეცილ სახლებს რომ ჰხე-  
დავ. გული გიკვდება. მაგრამ ეს სოფელი შორი ნათელით  
არის გაშუქებული ჩვენს შეგნებაში და ჩვენ მაინც კმა-  
ყოფილნი ვართ, რომ სწორედ იმ მიწაზე გვიდგას ფეხი.  
რომელზედაც წინაპრებს სისხლი უღვრიათ, სადაც გამარ-  
ჯვების სიხარული უგვრძნიათ და დაღუპულთათვის ჭმუნ-  
ვა განუცდიათ.

იქვე, დუქნის გვერდზე, კოოპერატივია. თავი შეუყ-  
რიათ ქართველ მაკჰადიანებს. ისინი სხვა სოფლიდან არი-

ან. თათარი ხართ თუ ქართველიო, შევეკითხეთ: ქართველი მაჰმადიანები ვართო. საერთოდ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: მაჰმადიანი ქართველი რომ იტყვის — თათარი ვარო, ეს ნიშნავს — **ქართველი მაჰმადიანი ვარო**. სხვებს იგი უწოდებს ქურთს, თარაქამას, თურქს და სხვას და არა თათარს.

უკვე მეორე საათია და ჩვენც ვჩქარობთ. ცოტა დავნაყრდით და კვლავ გზას გავუდექით.

გავიარეთ **ხიზაბავრა**, უდიდესი ქართული სოფელი, სადაც რამდენიმე ათასი მცხოვრებია. თვითონ სოფელი მტკვრის მარჯვენა ნაპირას, კლდის ზემოდაა, ხოლო გამოსწვრივ, მტკვრის ნაპირას მათი მშვენიერი ბაღებია. წყალთან გოგო-ბიჭები ცელქობენ. ეტლიდან ვეკითხებით, თუ რა სოფელია: ხიზაბავრაო, გვიპასუხებენ. გვიხარია ქართული სიტყვა-პასუხი.

დაახლოებით 3 საათზე, როგორც იქნა მივედით ხერთვისს.

### ხერთვისი.

შორიდანვე მოსჩანს ხერთვისის ციხე მშვენიერი კოშკებით. ასე გვგონია, სოფელი ამ ციხით იწყება. მაგრამ ახლოს რომ მივედით, ჩვენ გამოღმა აღმოვჩნდით, ის კი გაღმა: შუაში ჯვახეთის მტკვარი იყო. „სად ერთვის მტკვარს ჯვახეთის მტკვარი, ამ ორს მდინარეს შორის არის **ხერთვისი**, მტკვრის აღმოსავლეთის კიდეზედ და ჯვახეთის მტკვრის სამხრით. და ნაშენი არს აქა ციხე ფრიად მაგარი და დგანან აწ იენგიჩარნი—ამბობს ვახუშტი. მათში აღბად მრავალი იყო ქართველიც რომელიც „ამშვენებდა თვის დამლუპველ ოსმალეთსა“. რაოდენი ისრითა და ტყვიით არის დაკოდილი ეს ციხე. მაგრამ მაინც ამაყად გადმოჰყურებს მთელს ხეობას და ნაკლებად ეტყობა ხანდაზმულობა.

იანიხარები ისტორიას ჩაჰბარდენ და ასეც უნდა მომხდარიყო. რადგან ისინი სტუმრები იყვნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს ციხე-სიმაგრე ოდესღაც ეკუთვნოდათ თავად **კამ-**

კამიძეებს, ძლიერს მფლობელებს. ისინი განიადევნენ და რამდენიმე საუკუნეა თავისი წარსული დავიწყებულია. მათი ნაშთი ახლაც არის იმერეთში (კამკამიძეები), სადაც ალბად იქიდან გარდისვებენ.

ხერთვისი! ბევრი განმარტება ჰქონდა ამ სახელს, სანამ არ აღმოჩნდა, რომ იგი წარმოშობილია ხანმეტობის ეპოქაში და ნიშნავს **ერთვის** (ე. ი. ჯავახეთის მტკვარი და არტაანის მტკვარი). საშინლად ცხელა ამ კლდიან-ქვიან ფერდობზე, გზის პირად, სადაც დუქნები და კოოპერატივია. ძირს კი მშვენიერი ბაღებია. ჯავახეთში ეს პირველი სოფელი შეგვხვდა. სადაც ბაღები და სოფელი ერთადაა. აქაური ძცხოვრებნი (ქართველი მაჰმადიანები) ხვნა-თესვას როდი მისდევენ, ხილის მოსავლით გააქვთ თავი. სოფელი დიდია და შედარებით ლაზათიანიც.

გამოველაპარაკეთ მედუქნეს. საიდგანლაც გაჩნდა ახალციხელი ებრაელი. ამ ადამიანმა ყვირა ენა იცის: გველაპარაკება ქართულად. რუსულად, ლაპარაკობს სომხურს, თურქულს. ჩვენს შეკითხვაზე ქართველი მაჰმადიანი მედუქნე გვეუბნება: ქართული არ ვიციო. მაგრამ ლაპარაკში რომ ჩაება, საკმაო ცოდნა გამოიჩინა. თავის ძველი გვარიც ახსოვს: ოდესღაც ტალახაძე ყოფილა, ახლა კი მისი გვარი ოღლიდ ბოლოვდება.

იქვე შეგვხვდა ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე, სულ ახალგაზდა ვაჟკაცი. ნახევრად ინტელიგენტია. ვთხოვთ დაგვეხმაროს ცხენების შოვნაში, რადგან ხერთვისიდან ვარძიამდე საეტლო გზა აღარ არის. ძალიან სწყუხს, რომ ვერას გვშველის: რაც ცხენები ყოფილა, სუყველა ვარძიაში წაუყვანიათ დღეობაზე. არც გზა ვიცით და გვპირდება ჩვენთან ერთად წამოსვლას. ვინაობას ვეკითხებით. ქართულად გვიპასუხებს ასე: **ქართველ მაჰმადიან**, თუმცა ქართული არ იცის. გვარად მურად-ოღლია. ალბად მურმადამვილი ვიქნებოდით, დასძენს იგი თვითონ.

უკვე მეოთხე საათია და ჩვენი პეტრე არ ჩქარობს. გვინდა ერთი ცხენი წავიყვანოთ, რადგან ვარძიასთან ხიდი არ ყოფილა და ფეხით ვერ გავალთ. პეტრე გაგვიჯი-

უტდა: ეტლს აქ უპატრონოდ ვერ დავტოვებო. რის ვაი-  
ვაგლახით დავითანხმეთ და შევუდექით გზას.

### თ გ ო ზ ვ ი.

გავსცდით ხერთვისს და მივდივართ მტკვრის მარჯვენა ნაპირას. გვეუბნებიან, ვარძიამდე 6 — 7 ვერსიაო. ჩვენ გულში ვამბობთ, რომ ალბად 12 იქნება. გზაში გვეწევნიან და გვისწრებენ შორეულ ქართული სოფლებიდან დღეობაზე წამოსულები. შორიდან ვუცქერით კუმურდოს ტაძრის მშვენიერ ნაშთს, მაგრამ დრო არა გვაქვს მისი დათვალიერებისა. უკვე ბინდდება. ჩვენის ანგარიშით ახლა უკვე მისულები უნდა ვიყოთ. მაგრამ თურმე მხოლოდ ნახევარი გზა გაგვივლია. რა გრძელია ეს სოფლური ვერსები! თორმეტს წავუმატეთ და ვთქვით, ალბად 15 იქნება-თქო. მაგრამ არც ეს ანგარიში გაგვიმართლდა. ვარძიამდე 6 მაგივრად 18 — 20 ვერსი აღმოჩნდა!

მივადექით მტკვრის ძალიან ვიწრო ხეობას. ქვიანლრეშიანი გზაა, თიქმის საცალფეხო. შორს, ქვემოთ, სადღაც უფსკრულში, მტკვარი მი'ძხუის. აქეთ-იქით უზარმაზარი კლდეებია. ბუნების სიდიადე აქ საოცარია. ადამიანი ბუზად გრძნობს თავს.

მაგრამ ეს რა არის? ხეობა კიდევ უფრო ვიწროვდება. ცათაზიდული მთა და მთაზე ციხე. გალავანი გრძელი, თხემზე ეკლესია და გამოქვაბულები. აქეთ იქით თვალუწვდენელი კლდეები და შუაში ნაპრალი. რაღაც ურულოლას გგვრის ეს დიადი სურათი. არ გჯერა, რომ იქ, ამ სიმაღლეზე ადამიანი ასვლას შესძლებს. მით უმეტეს ვერ დაიჯერებ, რომ იქ არა თუ ასულან, უზარმაზარი ქვებიც აუტანიათ და უმაგრესი ციხე აუგიათ. ამ დაბინდებისას ეს სურათი წარმტაცია. სცოდნიათ სტრატეგიული პუნქტების არჩევა, ჰყოლიათ თავისი დროისათვის საუკეთესო ინჟენრები! ორთავე მხარეზე ბატონობს ეს ციხე და ვაი მტერს, რომელიც ამ გზით შემოსვლას, ან გასვლას მოიწადინებდა!

ეს არის თმოგვის ციხე. უეჭველად ამაზე უნდა ითქვას ხალხური: „შენც ხომ იცი თმოგვის ციხე. როგორ ცამდე მალაღია“. აქ მკვიდრობდენ მთელი ამ მხარის მფლობელები — თმოგველები. „თმოგვი იყო ქალაქი, არამედ აწ არს დაბა“, — ამბობს ვახუშტი. ახლა აღარც დაბაა. არის უხვი-ირო სოფელი. სადაც ქურობები ცხოვრობენ. „ნაშთი ძველის დიდებისა“ — მხოლოდ ეს ციხე-სიმაგრეა, მიუვალა, ჟამთა სიავისაგან დაზიანებული. მაგრამ მაინც ამაყად, ქედმაღლად გადმომცქირალი. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერია, რომ ერთმანეთს თითქმის ხმას არ ვცემთ. გადავწყვიტეთ, გამოვლისას მოვახერხოთ ციხეზე საიდან-მე ასვლა. მაგრამ ესე მგონია, ქარმა რომ დაგვიბეროს, იქიდან ცაში აგვიტაცებს და მიწაზე ფეხის დაკარება მოგვენატრება.

უკვე დაღამდა. წამოგვეწიენ ცხენოსნები. გზას უკვე ვეღარ ვხედავთ. ცხენოსნებს ფეხდაფეხ მივდევთ, გვინდა მტკვარზე გასასვლელად ვისარგებლოთ. რადგან ჩვენი როსნატი უბელოა და აა შუალამისას მტკვარში ჩავარდნა კარგი საქმე ვერ იქნება. მაგრამ გზა კი არის ეს, სადაც მივდივართ? რიყეს უფრო ჰგავს. აუარებელი ქვაა, რომელსაც უნდა გადაახტე, ან მოუარო ამ ბნელ ღამეში. უკვე ერთმანეთი დავკარგეთ. ნესტ. ცერცვაძე და ნ. კონსტანტინოვი ჩამოგვჩვენ. რომ ვერც დანიშნულ ალაგას მივედით? „გზა სიარულმა გალიაო“. ჩვენ კი ამ გზამ გაგვლია. საშინლად დაღლილები ვართ. ფეხები მექანიკურად მოძრაობენ და ტანი მიაქვთ. არ ვიცი, ვინ არის მისი წარმმართველი და გზის მაჩვენებელი. ვიცი მხოლოდ, რომ მივდივარ და უნდა მივდიოდე.

მტკვარის ნაპირს დაგუახლოვდით. აქ ხეობა უკვე ფართოა. რაღაც ბაღებში შევედით. უფრო დაგვიბნელდა და ერთმანეთს ხმას ვაწვდიით. უცებ ბავშვის ტირილი მოისმის: „მამა, მამა!“ იძახის. სოფელი და ისიც ქართული სოფელი ყოფილა. ეს ბავშვი ალბად ჩვენმა ხმაურობამ თუ შეაშინა. ვიღაც ორი ადამიანი გვხვდება. ვეკითხებით, თუ სად ვართ და რომელია ვარძიის გზა.

სოფელი გოგაშენი (არა, სოფელი ზემოდან, კლდის თავზე, აქ ბალებია!) ყოფილა და გზასაც სწორედ ვარძი-ისაკენ მივყევართ. ცოტაოდენი სიარულიც და ვარძიაც გამოჩნდა.

## ვარძია.

მივედით მტკვრის პირას. გოგაშენიდან ვარძია სულ ახლოს ყოფილა. ნაპირზე ადგილობრივი ცხენოსნებიც არიან და ხალხი სამ-სამშაურად გაჰყავთ გაღმა. ჩვენი ქარონი, რომელსაც საიქიოს გაგყავართ, ერთი ცალთვალა თათარია. აქ უკვე აქა-იქ ცეცხლი ენთება და ადამიანთა სახეებსაც ვათვალისწინებთ. ბევრია გადასვლის მოსურნე. ზოგი (უმთავრესად კაცები) ფეხით გადის მტკვარში (აქ ფონია). ზოგი კი (უმთავრესად ქალები) ცხენით. ჩვენ მეორე პარტიას ვეკუთვნით. ათი წუთის შემდეგ ყველანი გაღმა ვართ (ორი ჩამორჩენილის გარდა). თავისუფლად ამოვისუნთქეთ და მალლა გავიხედეთ.

უზარმაზარი კლდე აბრწყვიალებულია სანთლებით. მალლიდან მოისმის სიმღერა-ყიჟინა, ტაშ-ფანდური, ზურნის ხმა. პირვანდელი ქრისტიანობის დროის სურათი მაგონდება: კლდე-მღვიმეებში ჩუმად რომ იკრიბებოდნენ, პეტაკომბების სიბნელეს თავისი მოტანილი „წმინდა“ სანთლით რომ აშუქებდნენ! შეესცქერი ამ სანახაობას და ვფიქრობ: რაოდენი საუკუნეა, ყოველ წელიწადს, ყოველ ამ დროს იკრიბება აქ ხალხი და არც გაუწყვეტია კავშირი იმ პირველ ქართველთან, რომელიც პირველად აქ მოვიდა: იცის, ესმის კი ახლანდელ მოსულს, რომ იგი ეზიარება შორეულ წარსულს და უხილავი ძაფით გადებ-მება მას?

მაგრამ უკვე მეათე საათია და გზას უნდა შეუდგეთ. გზა საშიშია. საცალფეხო ბილიკებზე მალლა-მალლა მიდიხარ, ყოველი ასვლა ნაპრალს უფრო ადიდებს. აქ ფეხის დასხლეტა სახიფათოა. ხეირიანად გზის მცოდნეც არავინ გვყავს და სვლა ბრკოლდება. კარგა ხნის სიარულის შემდეგ მივაღეჭით გამოქვაბულთა მეორე სართულს. აქ სამ-

რეკლო ყოფილა. უკვე საკმაოდ ცივა და ოთხ კედელს (თუმცა მთელი კედელი არც ერთი არაა!) შუა ყოფნა გვესიამოვნება. რამდენსამე კომპანიას მოუყრია აქ თავი და ლხინობს. ცოტა შევისვენეთ და შეუდექით ნავთსაყუდელის ძიებას. გვინდა დასასვენებელი ადგილი გამოვხაზოთ და მერე დავათვალიეროთ დღეობა. მაგრამ თითქმის ყველა მღვიმე უკვე დაკავებულია და ჩვენ ამაოდ დავდივართ. ბოლოს მივაგენით ერთ კუთხეს და მოვიკალათეთ. უკვე თორმეტი საათია, მაგრამ ძილზე ვინ ფიქრობს. ხალხი უნდა დავათვალიეროთ.

ვაპირებთ გასეირნებას. მაგრამ სასიხარულო ამბავი: ამ ზღვა ხალხში, ამ ბნელ ღამეში — ჩვენმა დაკარგულმა თანამგზავრებმა მოგვაგნეს. ისინი თურმე ჩვენს შემდეგ კარგა ხანია მოსულან. ეს გვაკლდა გულს და ესეც მოვიპოვეთ: ვარძიაში ვართ, ყველანი უკლებლივ და უვნებლივ!

მაგრამ წყალი გვწყურია საშინლად. აქ საკმაოდ დიდი აუზია, მაგრამ მოზღვავებულ ხალხს უკვე დაუცლია. ლიმონათსაც ვერ ვშოულობთ. ჩემი ავადმყოფობისას, ოპერაციის შემდეგ, როდესაც წყალს არ მასმევდენ, სერიოზულად ვამბობდი: მე მინდა ვიცოცხლო, რომ წყალი ვსვა-მეთქი. ყველა იზიარებს ახლა იმ ჩემს ნათქვამს და სიცოცხლის მიზნად მართლაც წყურვილის მოკვლა დავგვისახავს.

ირგვლივ კი სიმღერა, ცეკვა-თამაში. ყრიამულია.. მაგრამ ჩვენს კოლას ტყუილად კი არ ჰქვია გაჭირვების ტალკვესი! საიდგანლაც მოიტანა ლიმონადი (რამდენიმე ბოთლი!), საზამთრო. აღტაცებული ვართ. უკვე მოვსულიერდით და ვიწყებთ დღეობის თვალიერებას.

## დღეობა.

შევდივართ ჯერ ეკლესიაში. სადაც მღვდელმსახურებაა. კლდეში გამოკვეთილი. მაღალი ტაძარი, მშვენივრად მოხატული კედლები. ზერელედ ვათვალიერებთ, რადგან არ გვინდა შთაბეჭდილება დავქსაქსოთ: ღამეა და მხატ-



ვრობას ვერ გავშინჯავთ. ეკლესიაში შედარებით ცოტა ხალხია. გარედ კი ტევა არაა. ისმის ძუძუმწოვარ ბავშვთა ტირილი: მღვდელი ი. ნათენაძე ბავშვებს ნათლავს. ამ ღამეს და დილას ორმოცდაათზე მეტი მონათლა. პირველად გვაკვირვებს ასეთი ჩვეულება აქაური ხალხისა. მაგრამ პ. ინგოროყვას მოსაზრება ნათელს ჰფენს საქმის ვითარებას: როდესაც მესხეთ-ჯავახეთში ქრისტიანობა იღვენებოდა, ცხადია, მღვდელმსახურთა და მომქმედ ეკლესიათა რიცხვი შემცირდებოდა. ამიტომ შორეულ სოფლებს წელიწადში ერთხელ მოჰყავდათ თავისი შვილები და აქ, ვარძიასა, საფარასა და ზარზმაში უკვე უშიშრად ნათლავდნენ. ქრისტიანობა მაშინ ხომ ქართველობასაც ნიშნავდა. ამიტომ არის, რომ ქართულად მოლაპარაკე მოსახლეობა მესხეთ-ჯავახეთში უმთავრესად ამ ტაძართა რაიონებში შერჩენილა.

გამოვდივართ გარედ. რა მიღეთის ხალხი არაა! რამდენიმე ათასი კაცი იქნება. ქართველობის გარდა აქ ბლომადაა სომხობა, რუსობა, ქურთები, განსაკუთრებით კი ბერძნები. აქა-იქ სავაჭროებია. აგერ იქით ლატარიაც კი გაუმართნიათ. არის ლხინი, სადღეგრძელოები. დაღლამ თითქოს მთლად გაგვიარა და ხარბად ვათვალიერებთ ყოველ მღვიმეს, რომლებიც მედღეობე ხალხით სავსეა. მოსულნი არიან სხვა მაზრებიდანაც. შეგვხვდნენ თონეთლები (მანგლისის ახლო სოფელია), წყნეთელები. ვარძიას ისინი თავის სალოცავად სთვლიან. არიან ტფილისიდან ჩამოულნიც. პ. ინგოროყვა იხსენებს ხალხურ ლექსს:

მე ჯავახეთს რა მიშავდა,  
მთვარე იყო მზესავითა,  
კალმახი და ქერის პური  
წინ მეყარა ბზესავითა.

უეჭველია, ეს ლექსი გამოთქმულიაო, დასძენს იგი, ჯავახეთიდან დევნილის და ქართლში დასახლებულისაგან. ცხადია, ქართლში იგი გაჭირვებაში იქნებოდა და ასე სევდიანად იმიტომ გაიხსენებდა თავის დაკარგულ კერასო. ტფილისის მაზრაში ბევრია ჯავახეთიდან წამოსული. მას არც კი ახსოვს თავისი სადაურობა, მაგრამ ახსოვს თავი-

სი „სალოცავი“ და ვარძიას იგი ყოველ წლივ ეწვევა. ეს-  
ლა აკავშირებს ამ შორეული სოფლების მცხოვრებთ თა-  
ვის ძველ სამშობლოსთან.

აი, მივაღწეით ერთს კომპანიას, მიგვიპატიყეს. სიამოვნებით დავთანხმდით და იმ ნაპრაღის პირად მათთან ერთად მოვიკეცეთ. ჭამა არაფრისა გვინდა — მხოლოდ აქაური ხალხის გაცნობა გვსურს. ამოდენა ზღვა ხალხში ჩვენ თითქმის ერთად-ერთნი ვართ ინტელიგენტები. მედღეობებს ჩვენი მისვლა უკვირთ და უხარიათ კიდევ. გვიამბობენ თავის გასაჭირს და დალხინებას. ისმის სადღეგძელოები.

ეს ფესკიანი ვინლაა? როკითელი ქართველი მაჰმადიანია. ფანტურს უკრავს და მოქეიფებს ამხიარულებს. მღერის უმთვარესად თათრულ სიმღერებს. აქაურებმა იმათაც კი ვინც ქართული იციან, ქართველ მართლმადიდებლებმაც! ქართული სიმღერა აღარ იციან! თათრული კი ყველას ესმის.

საოცრად ცოცხალი მოხუცია ეს მეფანდურე! ეშხით არაკრაკებს სხვადასხვა სიმღერას და ეტყობა, ამ კუთხეში სახელი აქვს გავარდნილი. ჩვენ რომ დაგვინახა, ქართული სიმღერაც სთქვა: „მო ვარ და ჩემი ნაბადიო“ (მე ვარ და...) მერე ჩამოუარა კიდევ.

მადლობას ვუხდით მასპინძელებს და მივდივართ.

სანთელი გვიჭირავს ხელში, რადგან გადავარდნისა გვეშინია. სანთელი ჯიუტობს და წამდაუწუმ გვიჭრება. მალე მთლად მივანებეთ თავი და უმისოდ დავიარებოდით. თვალი შეეჩვია საფრთხის გარჩევას, უკვე მოვშინაურდით. თითქმის მთლად მოვიარეთ ეკლესიის გასწვრივ სართული და ჩვენს ბინაზე დავბრუნდით.

იქ ერთი ორომტრიალი დაგვხვდა. ჩვენი ნაცნობი, აღმასკომის თავმჯდომარე ამოსულა თავისი ამფსონებით. სჭექს ზურნა და არის ცეკვა-თამაში. ჩვენს მურად-ოღლის დედა ვაჩნაძის (აქაური მაჰმადიანის) ქალი ჰყოლია. ამით თუ აიხსნება, რომ მშვენივრად ცეკვავს, — ცეკვავს გატაცებით, თავდავიწყებით და დაულალავად. მაზარაში გამოწყობილი ზორბა, მხარბეჭიანი მწყემსი ხარბად და შუ-

რით შესცქერის. როდესაც ცეკვა წუთით შესწყდა, მწყემსმა ველარ მოითმინა: შაიძლება, ამხანაგო, ჩვენც ვითამაშოთ? მიმართავს იგი უადრესოდ. ვინ იქნებოდა წინააღმდეგი?

ჩვენს კრებულსაც სურს თავის გამოჩენა. სხვებზე ნაკლები ვართ თუ? და აი, აქ დებმა — ელენე და თამარ ჩიჯავაძეებმა გვასახელეს. ისეთი ლაზათიანი ლეკური ჩამოუარეს, რომ გამომწვევთაგან შემდგომ მოსვენება აღარაჰქონდათ. ასეთმა გამარჯვებამ გაგვათამამა — ჩვენც ამ წარ-წეიმის სრულ მონაწილეებად ვიგრძენით თავი.

უკვე მესამე საათია. გვინდა ცოტა დავისვენოთ, დილას მთელი ვარძია დავათვალიეროთ და უკან წამოსვლაც მოვასწროთ. მაგრამ ვინ დაგაძინებს! ჩვენი მღვიმე წყლისაკენ მიმავალი გზა ყოფილა. მთელ ღამეს განუწყვეტლივ ხალხი მიდი-მოდის. არავის სჯერა, რომ აუზი დაცლილია. არც ერთი არ დაბრუნებულა ჩვენის თქმით. უეჭველად თვითონ ნახავდა ხოლმე ცარიელ აუზს.

აქეთ-იქიდან ზურნის, ფანდურის და სხვა საკრავთა ხმა მოისმის. მაგრამ ჩვენ ვცდილობთ მართლაც რომ თვალის მოტყუებას. ეს მოტყუებაც საკმარისია, რომ დილას გამოძინებულელებით ავდგეთ.

მშვენიერი დარია და ვიწყებთ მრავალსართულიანი ვარძიის თვალიერებას. მღვდელი ი. ნათენაძე, რომელიც აქ უკვე 20 წელიწადია ცხოვრობს და შეძლებისდაგვარად უვლის ამ ისტორიულ ძეგლს, ძალიან ხალისიანად გვეგებება და მრავალ საინტერესო რასმე გვიამბობს.

## ვარძიის ისტორიისთვის.

ვარძიის ტაძარი გამოკვეთილია მტკვრის მარჯვენა ნაპირას ციცაბო კლდეში. აქ ოთხასამდე სენაკი ყოფილა. სულ შვიდი სართულია ერთი-ერთმანეთზე მიყოლებით. პირდაპირ გასაოცარია, თავის დროისათვის რა დიდი ტექნიკური წარმატება უნდა ჰქონოდათ. რა დიდი შრომა უნდა გაეწიათ, რომ კლდე გაეკვეთნათ და ამოდენა ტაძარი, ამდენი სენაკები გაეკეთებინათ. აშენებულია მხო-

ლოდ სამრეკლო, ახლა უკვე დანგრეული, მაგრამ მშვე-  
ნიერ ჩუქურთმიანი. ტაძარს გრძელი ტალანი აქვს წინ,  
თვითონ კი შიგ კლდეში გამოკვეთილი. საოცარი ისაა,  
რომ დღისით აქ სავსებით საკმაო სინათლეა და ადამიანი  
სრულიად არ გრძნობს, რომ გამოქვაბულშია: ეკლესიას  
ცა მაღალი აქვს და ხალვათობას გრძნობ. უეჭველია, აქ  
უფრო კარგი მისაგალი იქნებოდა. ალბად ფართო ტერა-  
სებიც იყო, რადგან თამარ მეფე ხშირი სტუმარი იყო ამ  
ტაძრისა. მაგრამ ჟამთა ვითარებაში ქარისა და წვიმისა-  
გან კლდე ჩამონგრეულა და ახლა მიუვალად გეჩვენებათ.  
ეკლესიის ტალანი რკინის კარით იკეტება. თუ არა ამ  
კარით, ისე ვერც ერთს სენაკს ვერ მიუდგებით. იმდენად  
მიუვალაია ვარძია, რომ 1918 წელს, როდესაც მესხეთ-ჯა-  
ვახეთს ოსმალი შემოესიენ, აქ თურმე ორი სოფელი ჩა-  
იკეტა და კარგა ხანს თავს იფარავდა.

ვარძიის შენება დაწყებულა ჯერ კიდევ თამარის მა-  
მის — გიორგი მესამის დროს. რაღაც მიზეზის გამო ვერ  
დაუმთავრებიათ. თამარის დროს ტაძრისთვის აურჩევიათ  
ახალი ადგილი, ცოტა უფრო ქვემოდ. ამიტომ იმ ადგილს,  
სადაც პირველად ტაძრის აგება ყოფილა განზრახული,  
ახლაც ზემო-ვარძია ეწოდება და ვარძიიდან 3-4 ვერსით  
არის დაშორებული. ადგილის შეცვლის შესახებ აქ გავი-  
გონეთ შემდეგი ლეგენდა: ყოველ დილას, როდესაც ხე-  
ლოსნები მუშაობას უნდა შესდგომოდენ, აღმოჩნდებოდა  
ხოლმე, რომ ღამე სამუშაო იარაღი სადღაც გამქრალა.  
როდესაც საშველი აღარ იქნა, თამარმა სხვაგან გამოაკვე-  
თინა ტაძარი და ეს არის ახლანდელი ვარძიო (სხვათა  
შორის სწორედ ასეთივე ლეგენდა გვითხრა საფარის ახ-  
ლო მდებარე სოფ. ღრელის ქართველმა საფარის მონას-  
ტრის შესახებ. სჩანს, ლეგენდა მთელ მესხეთ-ჯავახეთში  
ყოფილა გავრცელებული).

მემატიანე ვარძიის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:  
თამარმა „ხელჰყო აღშენებად... ზეშთა კურთხეულისა  
ვარძიისა ღვთისმშობლისასა ზემო-ვარძიის ქვემო-ვარძი-  
ითა მიცვალებითა, რომელიცა კლდისაგან გამოკვეთა.  
თვით პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფელი სენა-

კები, რომელი მტერთაგან (კა შეუალ და უბრძოლველ ჰყო. ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელ მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა, რომელ დიდმან ამან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ და შეწირნა მრავალნი და დიდროანნი სოფლები და შეუმზადა ტრაპეზის შემოსავალნი და სხვანი შემკობილებანი, რომელი ყოველისაგანვე მოთხოობა ძნელ არს. თუ ვისმე ნებავს, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი ნაშენებნი და ქვაბნი გამოკვეთილნი“ (-ქ. ცხ. “ჭიჭინაძის გამოც. გვ. 462).

როგორც სჩანს, ვარძია მტერთათვის „შეუალი“ ყოფილა, ე. ი. ის ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. როდესაც რუქნადინთან ბრძოლა უნდა დაწყებულიყო, ქართველთა ლაშქარი პირველად აქ შეიკრიბა: „და ვარძიისა ღვთისმშობლისა წინაშე ცრემლით შევედრნა (თამარმა) სოსლან-დავით და სპა მისი და დროშა ბედნიერად ხმარებული და წარგზავნა ვარძიით ლაშქარი“ — ამბობს მემპტიანე.

1551 წელს ვარძია მოაოხრა შაჰთამაზმა. ხოლო როდესაც მესხეთ-ჯავახეთი ოსმალთ ხელში ჩაგარდა, ვარძია საბოლოოდ გავიერანდა. ვახუშტი თავის „საქ. გეოგრაფიაში“, ვარძიაზე შემდეგს ამბობს: „ესე შემკული იყო საეკლესიოს სიმდიდრითა და ყოვლის წესიერებითა... **არამედ აწ ცარიელია**“. მაშასადამე ვარძია უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც გაუქმებულია.

როდესაც მესხეთ-ჯავახეთი რუსეთმა ოსმალეთს ჩამოართვა, ვარძია ფრიად უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ასეთსავე უნუგეშო მდგომარეობაში იყო იგი მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე: ქუთთი მწყემსები ტაძარში და სენაკებში ცხვარს ერეკებოდენ ხოლმე და ყველაფერი წაბილწული იყო. 1857 წელს ვარძიასთვის ყურადღება მიუქცევია ვილაც ბერძენ პაპანდოპულოს. მას ეკლესია სიბინძურისაგან გაუწმენდია და 1857 წელს ტაძარი ხელახლა უკურთხებიათ. მაგრამ, სჩანს, იგი მაინც უპატრონოდ ყოფილა მიგდებული და დღეს მისი ერთად-ერთი მომვლელი იქ მცხოვრები იპ. ნათენაძეა.

მიუხედავად ჟამთა სიავისა, ტადარი და შიგნით მოხატულობა კარგად არის დაცული. ასეთი ნაზი და ფაქიზი ფერები მხატვრობისა — იშვიათია. კედლები აქა-იქ ტყვიით არის აჩიჩქნილი — ქურთებსა და ოსმალთა უკანასკნელი შემოსევის დროს (1918 წ.). გარდა საეკლესიო მხატვრობისა, არის ისტორიული პირების სურათებიც. ჩრდილოეთის კედელზე მშვენიერი სურათია თამარ მეფისა და გიორგი მე-III-ისა. სურათი შედარებით კარგად არის დაცული. თამარს ეკლესიის მოდელი უჭირავს ხელში. ცოტა მოშორებით, იმავე კედელზე რომელიღაც მეფის სურათია. პ. ინგოროყვას თქმით, იგი გიორგი ლაშა უნდა იყოს.

დიდხანს ვათვალიერებთ ეკლესიას, მის უკან მღვიმეს. პ. ინგოროყვა კითხულობს წარწერებს და გულმოდგინედ იწერს ყველაფერს. იგი იმდენად აღტაცებულია ვარძიით, რომ გადაწყვეტილი აქვს უფრო მეტი ხნით ჩამოვიდეს აქ და დაწვრილებით გამოიკვილოს წარწერები, რომელიც გარეთა კედელზედაც არის.

ვიღებთ კედლიდან რამდენსამე სურათს და მივდივართ პატარა ეკლესიის დასათვალიერებლად. აქაც მშვენიერი მხატვრობაა. ერთ კედელზე რომელიღაც მეფის სურათია რომელსაც წარწერა ჰქონია. სახე ვიღასაც აუჩიჩქნია, წარწერაც წაუშლია და თავისი და სხვისი გვარები ამოუჭრია. დახვრეტა არ კმარა ამისთანა ბარბაროსობისთვის! საერთოდ იპ. ნათენაძე გულისტკივილით სჩიოდა: ექსკურსიები—ეს ვარძიის უბედურებაა. მოდიან, ჰბილწავენ ყველაფერს. წარწერებით აჭრელებენ მოხატულ კედლებსაო.

კარგი იქნება ამ გარემოებას ყურადღებას მიაჩვენდეს ისტორიულ ძეგლთა დამცველი ორგანიზაცია. საჭიროა გამოიციეს სათანადო განკარგულება, რომ ისტორიულ ძეგლებზე წარწერებისთვის ყველა კანონით დაისჯება.

შემდეგ გვინდა ყველა სენაკი დავათვალიეროთ. მაგრამ რამდენი ხანი უნდა ამდენ მღვიმეთა დავლას? გადაწყვეტეთ მხოლოდ საყურადღებო დარბაზები გვეჩვენა. აი, თამარის დარბაზი. დიდი და ფართო. გვერდით პატარა,

აღბად კარის ეკლესიაა. დარბაზიდან გაჭრილია მალლა მიმავალი კიბე. აქ მშვენიერი ტერასაა, რომელიც მტკვრის ხეობას გადასცქერის. მტკვარი აქ არაგვს ჰგავს და ვერცხლის ლენტივით მიიკლაკნება. აქ დიდხანს ვრჩებით, ჩვენს თვალ წინ გადაშლილი სანახაობით ვტკბებით.

კიდევ რამდენიმე მღვიმე ვნახეთ და წასასვლელად მოვემზადეთ. გუშინდელმა დაღლილობამ ახლა იჩინა თავი. გზაც დიდი გვაქვს გასავლელი: ხერთვისს ფეხით უნდა გავბრუნდეთ.

ჩამოვდივართ ძირს. მტკვრის პირას. აქედან უკვე მთლიანი სანახაობაა ვარძიისა. გადავიღეთ მისი სურათი. კარგად გამოვიდა, მაგრამ რადგან გვერდიდან გადავიღეთ, ვარძიის სიდიადე ნაკლებად სჩანს.

მედლეობენი ლამისთევის შემდეგ დილა-ადრიან დაიშალნენ. ახლა თითო-ორიოლა-ლა თუ იყო ვინმე. ესენი მოგვიანე ხალხია. უკანასკნელად რომ შევედით ეკლესიაში, გამოსვლისას ორმა ახალგაზდამ შიგ ეკლესიაში შესაწირავი ძროხა შემოიყვანა. დარჩით, ძროხის ხორცი მიირთვითო, გვითხრეს. მაგრამ უკვე მესამე საათი იწყებოდა და მასპინძლებს გული დავწყვიტეთ.

იმავე ცალთვალა თათარმა ცხენით გაღმა გაგვიყვანა. ცოტა შევისვენეთ და გზას შევუდექით. ჩვენი კამპანია გაიზარდა: დილას ვარძიაში შევხვდით ლევ. მეტრეველს და ახლა ერთად ვბრუნდებით. ის ბაკურიანიდან ჩამოსულა. ვუზიარებთ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. სიცხე გვაქვს, მოთენთილები ვართ. მაგრამ კმაყოფილების გრძნობა სჭარბობს. მხოლოდ იმას ვწუხვართ, რომ შეუძლებელია თმოგვის დათვალიერება. ამას ერთი დღე კიდევ დასჭირდება.

გზაში ვათვალიერებთ **ვანისქვაბს**, თმოგველთა საგვარეულო სამარხს. იგი დაახლოებით 3-4 ვერსით არის ვარძიიდან დაშორებული. მტკვრის მარცხენა ნაპირს, კლდეზეა მიშენებული ეკლესია. ამის სურათსაც ვიღებთ.

ვჩერდებით თმოგვთან და გვინდა მისი სიდიადის შთაბეჭდილება კიდევ უფრო გავაძლიეროთ. ძირს, შუა მტკვარში — კლდის უზარმაზარი ნატეხი მოსჩანს. ზედ

კლდეზე ეკლესიის ერთი კედელია დარჩენილი. ეს იქიდან, თმოგვის ციხის მალლობიდან მოგლეჯილა და ახლა აქ განაგრძობს მრავალსაუკუნიან ცხოვრებას. გადავიღეთ თმოგვის ციხის ორი სურათი და გზას გავუდექით.

ცოტა ხანს შემდეგ ლევ. მეტრეველი დაგვშორდა, ახალალქისაკენ გაემგზავრა, ჩვენ კი ხერთვისისაკენ მივდივართ.

სალამოს მ საათზე უკვე ხერთვისში ვართ. აქ გვინდა გავათიოთ და ხვალ დილით აბასთუმნისაკენ გავემგზავრებით. მაგრამ ეს რა ამბავია? დანი ჩიჯავაძეები და ნესტ. ცერცვაძე ჩვენ წინ გვეგონა. სულ ცოდილო, იმის იმედით კი გვქონდა, რომ წინწასულები ბინასაც დაგვიმზადებდნენ. ისინი კი ჯერ არ მოსულან. ვწუხვართ, რადგან არც ბინა გვაქვს და თუნდაც გვქონდეს, ჩამორჩენილებს უნდა დავუცადოთ.

ვეძებთ ლამის გასათევს, მაგრამ არსად არაფერია. აღმასკომის თავმჯდომარის იმედი გვქონდა, მაგრამ იგი სადღაც სოფელში წასულა. დუქანში ვერც დავეტევით, არც რაიმე საწოლია. შევამჩნიეთ ერთსართულიანი სახლი, რომლის ფანჯრიდანაც პატარა გოგო იყურებოდა. ვკითხეთ, გასათევი ადგილი ხომ არსად გეგულება-თქო. თვით ეს შენობა სკოლა აღმოჩნდა. პატარა გოგომ მიგვიპატიჟა ისე, თითქოს დაბარებულები ვყოფილიყავით. ცხადია, თუ რა სიამოვნებით დავთანხმდებოდით.

ცოტა ხანს შემდეგ მოვიდა მოხუცი მასწავლებელი. ეს გოგო მისი შვილი ყოფილა. თვით მასწავლებელი კი მამა აღმოჩნდა აღმასკომის თავმჯდომარისა, რომელთანაც ვარძიაში „ვიქეით“. ძალიან გაგვეხარდა. მურად-ოღლის — გორის სემინარიაში უსწავლია და ქართულიც კარგად იცის.

ერთი დიდი ოთახი დაგვითმეს, მოგვიტანეს, რაც რამ ქვეშსაგები თუ სახური ჰქონდათ. ახლა ჩამორჩენილი ამხანაგების ბედი-ლა გვაწუხებს. კარგა შეგვიანებული იყო, ისინი რომ გამოჩნდნენ. ისე გვიხარია, რომ დამზადებული საყვედური მყისვე გვავიწყდება. მათ თურმე წუნდასთან, სადაც მშვენიერი წყაროა, ჩვენდა შეუმჩნეველად გადუ-



ხვევიათ და ძველი ეკლესია დაუთვალაიერებიათ. დანა-  
შაული მალე ვაპატიეთ და იმპროვიზაციული ვახშამი გავ-  
მართეთ.

ახლა სწავლა არაა და საკლასო ოთახი, სადაც ჩვენ  
მოვთავსდით, ერთი არშინი მტვრითაა მოდებული. მაგრამ  
იმდენად დალოილები ვართ, რომ იატაკი ბუმბული გვგო-  
ნია, მუთაქა — თივთიკის ბალიში. ხოლო პალტოები —  
საუკეთესო მატყლის საბანი. ერთი სიტყვით, ძალიან მა-  
დლიერნი ვართ მასპინძლისა.

გვმართებს კიდევ დასვენება. იქით-აქეთ ფეხით 40  
ვერსამდე გავიარეთ. ხვალ კიდევ დილა-ადრიან უნდა ავ-  
დგეთ. დარწმუნებული ვართ, ჩვენი მეეტლე აღარ დაგვა-  
გვიანებს: ახლა ხომ შინისაკენ, აბასთუმნისაკენ უნდა წავი-  
დეთ და მასაც ეს უნდა...

— : —

# დოკუმენტები

ხომლედი.

## სსპრების მოქალაქე.

3.

ამ ჟამათ კალამი ხელში მიჭირავს და მაგონდება დიდი ივერიელის — აკაკის „თავგადასავალი“. ამ ჩემი წერილის „ცხოვრების მოედანის“ პირველი თავი 1893 წ., ნოემბრის თვეში, წარვუდგინე ჟურნალ — „კვალის“ რედაქციაში, აკაკისა და გიორგი წერეთელს დასასტამბავათ. სტატია, რა თქმა უნდა, მაშინვე დაისტამბა, „Nihil“-ის ფსევდონიმით. მეორე კვირაში რედაქციაში რო შევიარე, აკაკიმ აღტაცებით მითხრა: დიდი ხელოვნების ნიჭის პატრონი ყოფილხარო. არა თუ მდინარე რიონი და მისი კეკლუცი მიდამოები გააცოცხლე ქართულ ლიტერატურაში, რიონის პატარა რიყის ქვასაც-კი სული ჩაუდგო. ასეთი მაგალითი მე მსოფლიო ლიტერატურიდან არ ვიციო. განაგრძე შენი თავგადასავალიო...

მე გამეცინა. აკაკის ხალისიანი ჩემი გაგულიანება, რასაკვირველია, ჩემთვის დიდათ სასიამოვნო გასაგონი იყო. მარა მე თავდაბლათ მივუგე მგოსანს: — მე ჯერ ქართულ ლიტერატურაში სრულიათ ნამდვილი და ჭეშმარიტი „ვისკაჩკა“ ვარ-მეთქი. თქვენ-კი გვირგვინი ქართული ლიტერატურისა, მისი ნამდვილი პატრიარქი ბრძანდებით. რა უფლების ძალით. უნდა დავიწყო მე ჩემი თავგადასავალი მაშინ, როცა თქვენისთანა გოლიათი ერთ სიტყვასაც არა სწერთ თქვენს საკუთარს დიდათ საინტერესო ცხოვრე-

ბაზე — მეთქი. დაწერეთ თქვენ თქვენივე თავგადასავალი და შერე... .. ვნახოთ. ამ დროს, გიორგიც იქ იჯდა რედაქციაში.

— მართალს ამბობს რომანოზიო, თქვა გიორგიმ. ამ საგანზე ვისაუბრეთ იმ დღეს და აკაკიმ გიორგისაც და მეც სიტყვა მოგვცა, რომ თავის თავგადასავალს დასტამბავდა ჟურნალ — „კვალში“.

აკაკიმ, მართლაც, მესამე წელიწადს (მეორე წელიწადს გაებუტა ჟურ. „კვალს“) დაიწყო თავის „თავგადასავალი“, სადაც მისი გასაცვიფრებელი ხელოვნური ტალანტი ქართული პროზის დიად ნიმუშათ უნდა ჩაითვალოს. ეს ნაწარმოები, თავიდან ბოლომდის, ერთიანი, დიდი სრული და უმშვენიერესი ხელოვნური შემოქმედებაა, სადაც მოცემულია ძველი ქართული თვადისშვილის ტიპი მისი მამის — როსტომ წერეთლისა და დედის — ეკატერინეს დახატვით. ამაზე ცოცხლათ, ამაზე უმშვენიერესათ, იუმორით შემკულს და დიდი ხელოვნურის ზომიერებით დაწერილს ძვირათ შეხვდებით ქართულს ლიტერატურაში. ამაზე უკეთეს კაცის გული ვერაფერს ინატრებს...

ახლა, მსგავსათ ჩემი დიადი მოძღვრისა, მეც მინდა, ამ თავში, მოკლეთ შევეხო და ავწერო მამაჩემის ცხოვრებაც.

დამსახურებული დეკანოზი, სპირიდონ ნიკოლოზის ძე ფანცხავა ძლიერი ნების, დაუღალავი შრომისა და ენერგიის პატრონი, მაღალი სულისა და პატიოსნების და იშვიათის მახვილ-გონიერების კაცი იყო.

იმას რომ შესაფერი მაღალი განათლება მიეღო, მისი სახელი, სამშობლო მხარის გარეთაც, შორს გაითქმებოდა. იმ დროს-კი, როცა პატარა სპირიდონი სამოსწავლო ასაკში შევიდა, ჩვენში სხვა სკოლა არ იყო, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გარდა, რომელიც დაარსა ექსარხოსმა თეოფიკალტემ (რუსანოვმა). რიაზანისა და ზარაიას არქიეპისკოპოზი — თეოფილაქტე საქართველოს ექსარხოსათ დაინიშნა 1814 წელს და მანვე დაარსა 1817 წ. თფილისის სასულიერო სემინარიაც.

სპირიდონს, სასწავლებელში მიცემამდის, მშობელმა დედამ — ტასიამ იმას ასწავლა წერა-კითხვა. დედის ხელ-

მძღვანელობითვე, მან შეისწავლა ქართული საღვთისმეტყველო წიგნები — დავითნი და ჟამნი, და ცხრა წლის რიგში შეიქნა, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა სწავლის გასაგრძელებლათ. სასწავლებელში სპირიდონი პირველ შეგირდათ და მეაღობლათაც ითვლებოდა და პირველ ხარისხითაც გაათავა მან კურსი ამ სასწავლებლის. კურს დამთავრებულებს ეგზამენებზე ესწრებოდა თფილისის სემინარიიდან რევიზორათ გამოგზავნილი ნიჭიერი პედაგოგი — გერასიმე ქიქოძე (შემდეგში სახელგათქმული ეპისკოპოზი იმერეთისა — გაბრიელი). იმას ძალიან მოწონებოდა შეგირდი სპირიდონი და წინადადება მიეცა სასწავლებლის ზედამხედველისათვის, სემინარიაში გაეგზავნათ იგი სახელმწიფო ხარჯზე სწავლის გასაგრძელებლათ. ეს სასიხარულო ამბავი რო დავით მიტროპოლიტს (წერეთელი) შეეთვალა სპირიდონის დედისთვის, მას უარი შეეთვალა, არ გაეგზავნა თავისი ვაჟიშვილი სემინარიაში.

— ეს არის ერთად-ერთი ჩემი სასოება და იმედი, აწი ამან უნდა გვიპატრონოსო. ძმები ობლები დასასზდელი ყავს, დები საპატრონებელი, ოჯახი გასაძლოლიაო...

გარდა ამისა, მისვლა-მოსვლა თფილისის და ქუთაისის შუა იმ დროს, როცა რკინისგზის ხსენება არ იყო, ძალიან ძნელი იყო და ფრიად საშიშოც. დედაც მოხუცებულობაში შედიოდა და არ უნდოდა უფროსი ვაჟის მოშორება. ამ საპატიო მიზეზებს კიდევ უფრო ძლიერი და ღრმა დაბრკოლება დაერთო.

იმ დროს, იმერეთის ეპარქიის გამგებლათ იყო მიტროპოლიტი დავითი (წერეთელი) იგი ძალიან ხშირათ დადიოდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დასათვალიერებლათ, რომელიც მას ექვემდებარებოდა. ერთხელ, სასწავლებლის ზედამხედველს დავით მიტროპოლიტისათვის წარედგინა სპირიდონი, როგორც პირველი შეგირდი, კარგი მეაღობელი და ხელოვანი მკითხველი საეკლესიო წიგნებისა. მიტროპოლიტი ახლოს იცნობდა სპირიდონს, როგორც მისი ძვირფასი ძმის გრიგოლის ნათლულის შვილს, რომელიც ყოველკვირაობით მიტროპოლიტთან იყო სა-

დილად. და ზედამხედველის სიტყვებმა იგი გაახარა და ათქემვინა: „საკვირველი არ არის, ნიკოლოზის შვილმა საეკლესიო წიგნების კითხვაც კარგი იცოდეს და გალობაცო. მამა მისი სხვებს ამზადებდა საღვთოთ და საეროთ და მისი შვილიც მამის გზას უნდა დაადგეს... მიტროპოლიტს დავითს მის შვენიერს, ლამაზს სახეზე სიამოვნების ღიმილი გამოეხატა და გულით გაიხარა, რომ პატარა სპირიდონი, მართლაც, საგანგებო, რაღაც იშვიათი ყმაწვილი იყო. იმ დღეს მიტროპოლიტი ძალიანი მოფერებოდა ბავშვს და მისთვის ეთქვა: კვიოას მე ვიქნები მწირველი და სამოციქულო შენ წაიკითხო. უთუოდ, მიტროპოლიტს დავითს სპირიდონის გამოცდა უნდოდა.

მართლაც, იმ კვირას, როდესაც მიტროპოლიტი დავითი მწირველი იყო, სპირიდონს სამოციქულო წაეკითხა და დავითს ძალიან მოწონებოდა, როგორც სპირიდონის სიტყვების გარკვეული გამოთქმა, ისე ხმაც, რომელსაც იგი თავისუფლათ ხმარობდა.

აი, სწორეთ იმ დღეს გარდაწყდა სპირიდონის მომავალიც. მიტროპოლიტს ეთქვა თავის კრებულისათვის: ეს ბავში უნდა წავართვა ტასია ავალიანის ქალსო. ამის მსგავსი მკითხველი მე იშვიათად მინახავსო. ახალგაზრდა, სიცოცხლისთ სავსე სპირიდონი ძალიან უარზე დადგა, რადგან მას სწავლის გაგრძელება უნდოდა. მარა დედის რჩევამ, მისმა მოხუცებულობამ და მიტროპოლიტის დიდათ ალერსიანმა მოქცევამ დაიყოლიეს იგი და სპირიდონი განწესდა მიტროპოლიტის კანცელარიაში, რომლის მდივნათ იყო ბესარიონ დოღობერიძე (ჯიხაიშელი), გიორგის და ნიკოლოზ დოღობერიძეების მამა. სპირიდონი მიტროპოლიტის კანცელარიაში ითვლებოდა და ბინაც მიტროპოლიტთან ქონდა. მიტროპოლიტი იმ დროს, ღრმა მოხუცებულობაში იყო. მამაჩემი ყოველთვის ღრმა სიყვარულით, იხსენიებდა მიტროპოლიტ დავითს, როგორც დიდათ ზრდილს, მეტისმეტად თავაზიანს, ქველსა და უხვს, შეტად ლმობიერ უფროსს.

დავით მიტროპოლიტი იყო სახლთუხუცესის, ზურაბ-წერეთლის უნცროსი ვაჟიშვილი (უფროსი ვაჟი მისი —

გრიგოლი იყო, ბაბუაჩემის — ნიკოლოზის ნათლია). დავითი ბავშობიდანვე ბერათ იყო შეწირული. სწავლა-განათლება, ყმაწვილობაში, განთქმულ ჯრუჭის მონასტერში მიეღო, რომელიც იმ დროს შესანიშნავი იყო დიდათ დიდი განსწავლული ბერებით. ეს მონასტერი დასავლეთ საქართველოში ერთგვარ აკადემიას წარმოადგენდა. იგი შუქურვარსკვლავივით ბრწყინავდა განათლებით, რომლის ნათელი სხივები ეფინებოდა მთელი ჩვენი ქვეყნის არე-მარეს... ჩემი ბაბუაც ღვდელი — ნიკოლოზი, ამ მონასტერში გაიზარდა.

ამ მონასტერში კურს დამთავრებულთ, საღვთისმეტყველო საგნების სათუძვლიან ცოდნის გარდა, იქიდან გამომქონდათ ღრმა სიყვარული ნაციონალური ივერიის ეკლესიისა და ღრმა პატივისცემა იმ წოდებისაც, რომელსაც ეკუთვნოდნენ. ამ გვარ ღრმა და ძლიერ ნაციონალურ ნიჟარადაგზე აღზდილ პირების მეოხებითა და ენერგიით, ივერიის ეკლესიამ სრულიად სძლია ყოველგვარ უბედურებას მწარე საუკუნოების განმავლობაში, გაუძლო დიდ შემოსევას არაბთა, მონღოლთა, სპარსთა და თურქთა.

დავითი ცხრამეტი წლის რო შეიქნა, მამა მისმა — ზურაბმა განიზრახა მისი კურთხევა. თავის კურთხევის ამბავს მიტროპოლიტი ამგვარათ მოუთხრობდა: „როდესაც კურთხევის დღე დანიშნეს, ქუთაისის ტაძარში შეიკრიბნენ მთელი იმერეთის დიდებულნი, სასახლის კაცები. კურთხევაზე თვით მეფეთა-მეფე სოლომონ II მობძანდა. მწირველი ბძანდებოდნენ ქუთათელი დორითეოზი და გენათელი — ექვთიმე. ქუთათელი და გენათელი ძალიან შეწუხებული იყვნენ. ისინი ფიქრობდნენ, თუ მე მიტროპოლიტათ ვიქნებოდი ნაკურთხი, მამა ჩემი, — ძლიერი სახლთუხუცესი ზურაბი იქონიებდა გავლენას მეფეზე და რომელიმე იძათგანს გადააყენებდა მიტროპოლიტის ადგილიდან და იმ ადგილს მეფეს ჩემთვის მოაცემინებდა. ამისათვის ქუთათელმა და გენათელმა აკანკალებული ხმით წარმოსთქვეს: კურთხეულ არს არქიმანდრიტათ დავითიო და, როდესაც გალობლებმაც დასძახეს: „აკსიოს“, ზურაბ წერეთელმა ხელი დაავლო ქუდს და დემონსტრატულათ ეკლესიიდან

გავიდა. მეფემ ყურადღება მიაქცია ზურაბის ტაძრიდან გასვლას და კითხა მხლებელთ: „რა იწყინა სახლთუხუცესმა, რომ ეკლესია დატოვაო“, — მოახსენეს მეფეს: სახლთუხუცეს ეწყინა, რომ მისი დათიკო არქიმანდრიტათ აკურთხეს და არა მიტროპოლიტათო“. მეფემ რომ გაიგო მიზეზი ზურაბის წყენისა, მაშინვე ბძანა: „დათიკო აკურთხეთ მიტროპოლიტათო“. ამ ბძანების შემდეგ, ზურაბი შემოვიდა ეკლესიაში. ქუთათელმა და გენათელმა თითქმის მტირალის ხმით წარმოსთქვეს: „კურთხეულარს არქიმანდრიტი დავითი მიტროპოლიტათო“.

ასე, ცხრამეტი წლის ჭაბუკი დათიკო წერეთელი გახდა დავით მიტროპოლიტათ და წინამძღვრათ ნინო წმინდის მონასტრისა, რომელიც წინანდელ ბათომის ოლქში იმყოფებოდა. მიტროპოლიტი დავითი ნინოწმინდის მონასტერში არაოდეს არ ყოფილა, იგი მხოლოდ ითვლებოდა ამ მონასტრის წინამძღვრათ. ქუთათელის და გენათელის შიშსაც და წღელვარებას ბოლო მოუღო.

ეს ეპიზოდი ივერიის ეკლესიის ისტორიიდან განგებ მოვიტანე აქ, რომ მკითხველს ვუჩვენო, თუ რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ეკლესია, როგორი წესი და ეკლესიისადმი პატივი სუფევდა იმ დროს, როდესაც ჩვენი პატარა სამეფო ირღვეოდა, როდესაც მისი გამწარებული ისტორიის უკანასკნელი ფურცელი საუკუნოთ იფურცლებოდა... იმ ეკლესიას. რომლის მიტროპოლიტათ ცხრამეტი წლის ბავშვის კურთხევაზე თვით მეფე ბძანებას სცემდა, — ეშმაკები უნდა დაპატრონებოდნენ და კიდევ დაეპატრონენ...

მაშაჩეში, როგორც მოგახსენეთ, მიტროპოლიტი დავითის კრებულში მსახურობდა, მასთან ცხოვრობდა და მის მლოცველათ ითვლებოდა, როდესაც დედა მისი-ტასია მოხუცებულობაში შევიდა, მან განიზრახა თავის სიცოცხლეშივე დაეჭორწინებინა თვისი უფროსი შვილიც. ამისთვის მოიხმო იგი და ურჩია მისი ამორჩეული, ოტია იოსელიანის ასული — შაკრინე შეერთო ცოლათ. სპირიდონი ძალიან უარზე დადგა, როგორც იგი მოხუცებულობაში სიცოცხლით იტყოდა ხოლმე თავის ქორწინების ამბავს. თურმე, იმ დროს იმისი გული, სხვის გულში ყოფილიყო გადარ-

გული, მას სხვა ქალი, გვართ კლდიაშვილის ასული ყო-  
ლოდა საცოლოთ ამორჩეული. დედა არ მოეშვა შვილს,  
მას უნდოდა მაკრინე გაეხადა რძლათ. მამაჩემსაც ნახული  
ყოლოდა წყალტუბოს მაკრინე და დედის რჩევას არ აღუ-  
დგა და დათანხმდა. ეს ქორწინება ბედნიერი გამოდგა. მაკ-  
რინე იმ დროს თექვსმეტი წლისაც არ იქნბოდა, როცა მა-  
მამ მასზე ჯვარი დაიწერა.

ოტია იოსელიანი მაინცდამაინც შეძლებული აზნაური  
არც იყო. სახნავ-სათვის მიწა-წყალი საკმაო ქონდა, წყალ-  
ტუბოს აბანოები მისი და მისი ბიძაშვილების იყო. მარა  
სრულიად უსარგებლო აბანოს გველბაყაყები დაპატრონე-  
ბოდენ და ახალგაზდა გლეხები შიგ ტანის დასაბანათ კამ-  
ბეჩებს თუ ჩაყრიდენ. ამიტომაც, ჩვენში თუ ვინმე დაიწ-  
ყევლებოდა, ასე იტყოდა: შენს ეზოში აბანო ამოსული-  
ყოსო... ოტია იოსელიანს მდინარე გუბის წყალზე ქონდა  
სამთვალისანი წისქვილი და მიწა-წყალიც. ოტიას და მის  
უფროს შვილს — დიმიტრის უყვარდა თევზაობა და ნადი-  
რობა. ხარებას, ბზობას და ფერიცვალებას ჩვენ გოდრით  
მოგვივიდოდა ახალი თევზი იმისგან.

ერთხელ, სიყმაწვილეში, მდინარე გუბის წყლის პირათ,  
სადაც ახლა ფირხნიც არ მოიძებნება, არა თუ საჩრდილო-  
ბელი ხე, იმ დროს-კი დაბურული. დიდი ტყე ყოფილა და  
იქ ირემი მოეკლა ბაბუაჩემს — ოტიას. ეს ყოფილა ჟამო-  
ბის დროს (1812 წ.). მთელს იმერეთში მრავლათ გაწყვი-  
ტა ოსმალეთიდან შამოტანილმა ჟამმა ხალხი. იმ დროს  
ჩვენში, რა თქმა უნდა, დოკტორები არ იყვენ. ხალხი  
ღვთის ანაბართ იყო მიტოვებული. ერთად ერთი ხსნა სე-  
ნისაგან, ვინც მოასწრებდა, გაქცევა იყო მთებში. ეს სა-  
შიშარი სენი მთებშიც მძვინვარებდა. სიკვდილმა გაანად-  
გურა ქვეყანა. ჩვენი ოჯახიც ამათ მოსპო და შემთხვევით  
გადარჩა ბაბუაჩემი — ნიკოლოზი, რომლისგანაც მოვმდი-  
ნარეობთ ჩვენ — დღევანდელი შვილი-შვილები. ბებიაჩე-  
მისაგან და გადიაჩემისაგან გამიგონია, უბედურება ესოდენ  
დიდი იყო, რომ კვდრები დაუმარხველნი რჩებოდათ, რად-  
გან კაცი არ იყო დამმარხველი. სოფელი ხომლს ზევით,  
მთაში, ქვიტკირის ძველი ტაძარია დანგრეული. მოხუცე-



ბუღბეს უთქვამთ ჩემთვის რომ აქ დიდი სოფელი იყო, ისე მჭიდროთ დასახლებული, რომ ცხვარი ერთ სახლიდან მეორე სახლის სახურავზე გავიდოდა, სულ ასე სახურავებზე ივლიდა. სანამ მთელ სოფელს არ ჩაათავებდაო. დღეს ეს სოფელი სრულიათ გამქრალია ჟამისაგან.

როდესაც ჟამის მძვინვარება მიწელდა ვისაც სად უნდოდა, იქ ესახლებოდა, რაგდან თელი ოჯახები და სოფლები ამოწყვეტილიყო.

ოტია იოსელიანის მეუღლე გახორციელებული სათნოება იყო, მისგან წყენა არავის ახსოვდა, მუსაიფი ტკბილი იცოდა, თითქოს თაფლი ამოდის პირიდანო. სახლში ქმარ-შვილის მოყვარული იყო, მის დაუკითხავათ მისი ქალები კიშკარზე ვერ გადვიდოდენ. დილიდან საღამომდის დროს ყანაოზების ქარგვაში ატარებდენ და შრომაში იყვენ გავარჯიშებულნი. ასეთი დაცული და მშრომელი ოჯახი რო ქონდა ოტია იოსელიანს, მისთვის ისურვა ბებიაჩემმა მისი ასულის მაკრინეს რძლად მოყვანა.

ამის შემდეგ, სპირიდონი გერმანე ეპისკოპოზმა (გოგოლაშვილი) ღვდღათ აკურთხა წყალტუბოს წმიდის გიორგის ეკლესიაზე და მამა მისი — ნიკოლოზის მრევლი ჩააბარა.

აი, სწორეთ ამ დროიდან იწყება სპირიდონის ფრიად ნაყოფიერი და ხალხისათვის დიდათ სასარგებლო მოღვაწეობა სახალხო განათლების ნიადაგზე.

იმ დროს, როცა სპირიდონი გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე, არათუ წყალტუბოში არამედ მთელ იმერეთის სოფელშიაც არსად სკოლის ჭაჭანება არ იყო. თუ ვინმემ, ისიც უმაღლესი წოდების პირმა საკუთარი სახელისა და გვარის მოწერა იცოდა, — ეს სახლში ქონდა დედისგან შესწავლილი. საზოგადოთ, იმ დროს დასავლეთის საქართველოს სოფლებში, სასულიერო წოდების გარდა, წერაკითხვის მცოდნე პირთა რიცხვი თითებზე ჩამოსათვლელი იყო.

თავდაპირველათვე, მამაჩემმა — სპირიდონმა წერაკითხვის საჭიროებას მიაქცია დიდი და განსაკუთრებული ყურადღება. ამ დიდი ნაკლის შესავსებლათ, მან გახსნა

წყალტუბოში სკოლა, რაც იმ დროს სოფლათ ეს პირველი და დიდათ გაბედული ნაბიჯი იყო.

ამ სკოლის მასწავლებლათ, მამა სპირიდონი იწვევდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ნასწავლებს. იმათზე უკეთესი მასწავლებელი იმ დროს ჩვენში არ იშოვებოდა. ეს სკოლა იყო ერთადერთი განათლების ლამპარი იმ წყვილადში, რომლითაც გარემოცული იყო, არათუ წყალტუბო და მისი მიდამო სოფლები, არამედ მთელი იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სხვ. განათლების სხივები აქიდან მოეფინა პირველათ ჩვენს მხარეს.

ამასთანავე, სკოლა ქონდა გახსნილი მამაჩემს თვით საკუთარ ოჯახში — ხომლში. აქ სახლში მიბარებული ყავდა ნიკო იოსელიანის ვაჟი-გიორგი (ცნობილი პედაგოგი — წყალტუბელი), რომელსაც განსაკუთრებით ასწავლიდა და ისე კარგათაც მოამზადა, რომ პირველ კლასში დაიჭირა მან გამოცდა სასულიერო სასწავლებელში.

წყალტუბოს სკოლის დამაარსებელი — სპირიდონი ყოველ ხერხსა და საშუალებას ხმარობდა, რომ დაეჯერებინა მშობლები — გლეხები და აზნაურები სწავლის დიდ საჭიროებაზე. გლეხებს, რომელნიც ნებით არ გზავნიდენ სკოლაში ბავშვებს, ძალით ართმევდა მათ შვილებს და სკოლაში მიყავდა. ხშირათ სიცილით ჩიოდენ გლეხები: გაგვიჭირა საქმე მოძღვარმა. მესადილე ბავში აღარ შეგვარჩინა. ყველა სკოლაში მიყავს, ყანაში სადილის მომტანი ბავში არ დაგვიტოვაო. მერე-კი, მოგეცათ სიცოცხლე, იგივე გლეხები მადლობისათვის სიტყვებსაც ვერ პოულობდენ, როცა მათი შვილები, მ. სპირიდონისაგან სკოლაში ძალით წაყვანილნი, სასარგებლო კაცები გამოვიდენ ცხოვრებაში.

ამ სკოლაში ბევრი აზრნაურშვილების ბავშვებიც იზრდებოდა.

საღმრთოსჯულის ამ სკოლაში მისი დამაარსებელი ასწავლიდა. ეს სკოლა არსებობდა 1882 წლამდის. როდესაც სოფელ წყალტუბოში სამინისტრო სკოლა გაიხსნა, მ. სპირიდონი წყალტუბოს სკოლის მზრუნველად აირჩია ხალხმა ერთხმათ და თავისი სკოლაც დახურა, სკოლა კი

დახურა, მარა თავისი დაუღალავი ზრუნველობა და შრომა სამინისტრო სკოლაზე გარდითანა. გლახი, რომელიც შვილს სკოლაში არ გაგზავნიდა, იგი მას ვერ შეხვდებოდა, საყვედურებით გაისტუმრებდა: „რათ გინდა შვილი, თუ არ ასწავალი? თუ გინდა შენისთანა ბრიყვი და არარის მცოდნე იქნეს იგი! განათლება აშვენებს, ალამაზებს კაცს, იგი აკეთილშობილებს ადამიანის გულს, გახდის მას ღმობიერათ, უმისოთ კაცი უბრალო პირუტყვისგან არ განიჩევად“.

მ. სპირიდონის დაჟინებულს ქადაგებას, განათლების დიდს საჭიროებაზე, უქმათ არ ჩაუვლია. ხალხმა შეიგნო სწავლის საჭიროება და საშვალებას არ ზოგავდა, რომ შვილებისთვის განათლება მიეცა. ამას გარდა, სპირიდონი გაკრული იყო წყალტუბოსა და ქუთაისს შუა, სახალხო განათლების დირექტორთან სკოლის საქმეზე, მასწავლებლების არჩევაზე და ათას საჭირო საქმეებზე, რომ წყალტუბოს სასწავლებელი ყოფილიყო ყოველისფრით დაწინაურებული და წარმატებული... სპირიდონი ოცდაათი წლის განმავლობაში იყო ამ სასწავლებლის დაუღალავი მზრუნველი, რომლისთვისაც კავკასიის ოლქის მზრუნველმა — ზავადსკიმ იგი წარადგინა მეორე ხარისხის ანნას ორდენზე...

— : —

# გ ი ბ ლ ი მ ბ რ ა ვ ი ა

გრ. გიორგაძე.

სიმონ ხუნდაძე. სოციალიზმის სტორიისათვის საქართველოში,  
ტ. I და II, 1927 წ. სახელგამი.

მიმდინარე წლის განმავლობაში სახელგამის გამოცემათა შორის ფრიად საყურადღებოა ზემოაღნიშნული ავტორის ორი ტომი ნაშრომი. რომელიც ეხება უაღრესად საინტერესო და ჯერ შეუსწავლელ საგანს — სოციალისტურ აზროვნებას საქართველოში 60-80 წლებში და შემდეგ 90 წლების დასაწყისში.

ეს შრომა ააშკარავებს იმ გარემოებას, რომ საქართველოში სოციალისტური აზროვნება არსებობდა მე-90 წლებამდე, როდესაც ჩვენში მარქსისტულმა აზროვნებამ თავი იჩინა და გაბატონდა. საქართველოში სოციალისტური აზროვნება განიცდიდა შეუწყვეტელ ევოლიუციას. საქართველოს მოწინავე საზოგადოების აზროვნება იმყოფებოდა როგორც რუსეთის, ისე საერთოდ ევროპის აზროვნების გავლენის ქვეშ, და ათეული წლების განმავლობაში, ობიექტიურ პირობებთან, ერთად, მარქსისტულ მოძღვრებისათვის მზადდებოდა იდეური ნიადაგი.

სამართლიანად სწერს ავტორი წინასიტყვაობაში. „რომ 60-70-80 წლებში საქართველოში საგრძნობ გატაცებას ჰქონდა ადგილი სოციალისტურ მიმართულებით“, და ამ დებულების დასამტკიცებლად მას მოჰყავს თავის ორტომიან შრომაში საყურადღებო მასალა, რომლის შეკრება-გაცნობაში ავტორს დაუხარჯავს დიდი შრომა და ენერჯია.

ეს მასალა მითითებულია ძვირფასი რომ დღეიდან მას გაეცნობა მკითხველი საზოგადოების ფართო წრეები, გაეცნობა და შეისწავლის მას ის, ვისაც აინტერესებს ჩვენი აზროვნების ისტორია, განვითარება. ბევრ მასალას, სიტყვა სიტყვით ამოწერა და გადმოცემულს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან და სარქივო საბუთებიდან, მკითხველი გაეცნობა ამ შრომაში ისე, რომ მისთვის საჭირო არ ხდება მიმართოს პირველ წყაროებს.

ეს ავტორის დიდ ღვაწლად უნდა ჩაითვალოს, რადგან ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის შესწავლა, სწორედ სათა-

ნადო მასალის გამოიშვა ვებით და დღემდე დაფარული, ხელშიუწ-  
დომელი საბუთების გამოცემით უნდა დაიწყოს.

დიდძალი საინტერესო მასალის გამოაშკარავებასთან ერთად ავ-  
ტორი აშუქებს მას, ანალიზს უკეთებს და განსაზღვრულ დებულებ-  
ებში აყალიბებს.

ცხადია, ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების, და კერძოდ სო-  
ციალისტური აზროვნების ისტორია და მისი შინაარსის გარკვევა.  
არ შეიძლება განხილულ იქნეს ისე, რომ ის არ იქნეს დაკავშირე-  
ბული რუსეთის და ევროპის აზროვნებასთან, განსაკუთრებით რუ-  
სეთში ჩასახულ და განვითარებულ სოციალურ-პოლიტიკურ მიმ-  
დინარებასთან.

ნაშრომის შესავალში აღნიშნულია სოციალისტური აზროვნე-  
ბის უმთავრესი მომენტი რუსეთსა და საქართველოში. რუსეთის სოც.  
აზროვნების პირველი პერიოდი (1830-1850 წ.) შეიცავს ევროპის  
უტოპიურ სოციალიზმის ბატონობას რუსეთის ნიადაგზე; მეორე  
პერიოდი (1850—1882 წ.)—ნაროდნიკული სოციალიზმი; მესამე პე-  
რიოდი (1883—1905 წ.)—მარქსიზმის (მეცნიერულ სოციალიზმის)  
შემოქრა რუსეთში.

საქართველოში. ავტორის გამოკვლევით, სოციალისტური აზ-  
როვნების ელემენტები 60 წლების პირველ ნახევარში შემოიტანა  
რადიკალურად განწყობილმა ინტელიგენციამ. მე70-80 წლებში ჩვენ-  
ში წარმოიშვა წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი, ნაროდნიკული  
სოციალიზმის ზეგავლენით. ხოლო მე--90 წლებში გარკვევით იჭ-  
რება ჩვენს ცხოვრებაში მარქსისტული მოძრაობა.

ამ საერთო სქემის შემდეგ ავტორი იხილავს საქართველოს ეკო-  
ნომიკას მე-19 საუკ. მეორე ნახევრის განმავლობაში, და საკმარისი  
ფაქტებით, კიფრებით და გაშუქებით ნათელჰყოფს ობიექტიურ პი-  
რობებს, რომელშიაც ჩაისახა და განვითარდა ეს თუ ის აზროვნება.  
(33 — 60გვ.).

ამის შემდეგ I ტომში განხილულია მე-60 წლების ინტელიგენ-  
ციის ნიშნობლივი თვისებები, რომელნიც გამოიხატებოდა მაში: ა)  
რომ „მას სძულდა, ეჯავრებოდა და თვორიულ-პრინციპიალურად  
გაუმართლებლად მიაჩნდა ბატონ-ყმურ პირობებში განმტკიცებუ-  
ლი სოციალური ურთიერთობა“ და ბ) რომ „ის ებრძოდა არა მარ-  
ტო ძველი წყობილების სოციალურ ეკონომიურ სტრუქტურას,  
არამედ მის იდეოლოგიასაც, რომელიც თავად-აზნაურულ სქოლა-  
ტიზმით და კონსერვატიზმით ხასიათდება“ (65).

ამავე დროს ეს ინტელიგენცია აკენებს პრობლემას „საქართვე-  
ლოს მომავლის შესახებ“. სახელდობრ: კაპიტალიზმის გზით უნდა  
წავიდეს საქართველოს ეკონომიური წარმატება, თუ მან სხვა, ახა-  
ლი გზა უნდა გამოიხოს?

ამ პრობლემას მაშინდელი მოწინავე ინტელიგენტური წრეები  
სწყვეტდენ ასე: კაპიტალიზმის უარჰყოფა და სოციალისტური ან  
უკეთ რომ ვსთქვათ საზოგადოებრივი დოქტრინების წამოყენება.

ამ მიმართულებამ ნახა გამოხატულება, სხვათა შორის, გაზ. „დროების“ ფურცლებზე, რის შესახებ ავტორი დაწვრილებით მოუთხრობს მკითხველს: 1) მუშათა საკითხისადმი ინტელიგენციის დამოკიდებულებაზე, 2) მის აზროვნებაზე ლასალის მოძღვრების გავლენაზე და 3) პირველი ინტერნაციონალის და პარიზის კომუნისადმი დამოკიდებულებაზე.

ამ თავში ავტორი ბევრ დღემდე უცნობ გარემოებათა ამჟღავნებს და ამტკიცებს, რომ ქართული აზროვნება მუდამ ევოლიუციას განიცდიდა და მასზე გავლენა ჰქონდა ევროპის ამბებს.

იმ დროინდელ ქართველ სოციალისტურ აზროვნების დასახასიათებლად ავტორი მიმართავს ნიკო ინაშვილის, გრ. თარხან-მოურავის, მოსე ქიქოძის, ნიკო ნიკოლაძის, ანტონ ფურცელაძის წერილებს და არკვევს, თუ როგორი შეხედულების იყვნენ მუშათა საკითხის, ქალთა საკითხის, ეგ. წოდ. „ასოციაციების“ და საერთოდ საქართველოს მომავლის შესახებ (127 — 240 გვ.).

მე-II ტომი შეიცავს 70 — 80 — 90 წლების სოციალისტურ აზროვნების დახასიათებას. ავტორი არკვევს ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ შექმნილ ეკონომიურ პირობებს და მათთან დაკავშირებით მე-70 წლებში ხალხოსნების რევოლუციონურ მოღვაწეობას.

ამ საკითხის გასაშუქებლად ავტორი სარგებლობს როგორც მოღვაწეთა მოგონებებით (სოფ. მგალობლიშვილი, მ. ჩოდრიშვილი), ისე ჟანდარმერიის ცნობებით, როგორცაა შტ. კაპიტან ხარიტონოვის მოხსენა (27 — 46 გვ.).

მე-80 წლების ნაროდნიკების დასახასიათებლად ავტორი ჩერდება უფრ. „იმედი“-ს ჯგუფზე არჩევს, გ. მაიაშვილის (გ. ზდანოვიჩის) მსოფლმხედველობას და ეხება ნაროდნიკების შეხედულებას მუშათა და ეროვნულ საკითხების შესახებ (47 — 126).

ავტორი აღნიშნავს, რომ ამ დროს გ. მაიაშვილი უარჰყოფდა კაპიტალიზმის გზას ქართველი ხალხის წინსვლისათვის და მოითხოვდა, რომ ის პირველად სოციალიზმის აშენებას შესდგომოდა; ამავე დროს ის უარჰყოფდა პოლიტიკურ მომენტის მნიშვნელობას, ხოლო ეკონომიურ ფაქტორებს ანიჭებდა გადამჭრელ მნიშვნელობას.

„იმედი“-ს ჯგუფს ახასიათებდა ნაროდნიკული მიმდინარეობა, ხოლო „ივერიისას“ — ლიბერალიზმი, „იმედი“-ს ჯგუფი აღნიშნავს წოდებათა შორის ბრძოლას, ხოლო „ივერია“ იცავს წოდებათა შორის სრულ გარმონიას; „იმედი“ სდგას პოლიტიკურ ნიადაგზე და პოლიტიკურ მომენტებს დიდ ყურადღებას აქცევს, გ. მაიაშვილი და ურბნელი-კი ეკონომიკას აქცევენ უპირველეს ყურადღებას; „იმედი“ იყურება მშრომელი დემოკრატიისაკენ. იგი უაღრესად დაინტერესებულია მშრომელი ხალხის ეკონომიური მდგომარეობით და გაუმჯობესებით. მაგრამ იმავე დროს მას აქვს კაპიტალიზმის შემოჭრის შიში და აფიქრებს კაპიტალისტურ ურთიერთობის გაბატონება ჩვენ ცხოვრებაში (97), რადგან ასეთი ურთიერთობის დამყარება ხალხის კეთილდღეობისათვის მას არა ხელსაყრელად მიაჩნია; ამავე დროს „იმედი“ უარჰყოფდა ი. ჭავჭავაძის „გუთნის და მიწის“ ეკონომიურ

პოლიტიკას, მაგრამ არც კაპიტალიზმს უჭერდა მხარეს და ეძებდა სხვა გზებს ეკონომიურ ურთიერთობის მოსაპოვებლად.

ამ გზების ძებნაში ჩვენი ნაროდნიკები ორ მიმდინარეობად იყოფა. ერთი რევოლუციონურ ნიადაგზე იდგა და ხელისუფლების დაპყრობის საკითხს აყენებდა, მეორე-კი უარპყოფდა რევოლუციონურ ზომებს და მშვიდობიან ბრძოლის მეთოდებს იზიარებდა.

ამავე დროს ჩვენი ნაროდნიკები არც მუშათა საკითხს სტოვებდენ უყურადღებოდ: მათი მუშაობით მუშათა მოწინავე ფენება გათვითცნობიერების გზას დაადგენ და „საკმარისი იყო სწორი სოციალური თეორიის შემოტანა ჩვენს მუშათა კლასში, რომ ამ კლასობრივ თვითცნობიერებას გარკვეული სახე მიეღო და გარკვეულ სისტემაში ჩამოყალიბებულიყო“ (116 გვ.) მე-80 წლების ჩვენ ნაროდნიკებს ეროვნული საკითხის შესახებ ახასიათებს ამიერ-კავკასიის ავტონომიის და ფედერაციის მიღება ჯერ კიდევ 1874 წ. უენევის კონგრესზე, ხოლო რუსეთის და მის ინტელიგენციისადმი ის იცავდა თანამშრომლობის აუცილებლობას.

80 წლებში ასეთ წმინდა ნაროდნიკულ მიმდინარეობასთან ერთად ჩვენ ვხვდებით ასეთ წერილებსაც, რომლებსაც მარქსიზმის გავლენა ატყვია, მაგ. გ. მაიაშვილის წერილი 1882 წ. ბოსლეველის, ხომლელის, რომლებიც, ავტორის დახასიათებით, „ცალმხრივი მარქსისტები იყვნენ კანტი-კუნტად. ეს იყო ეკლექტიური მარქსიზმის პერიოდი“ (141 გვ.).

ნამდვილი მარქსიზმი აღმოცენდა ამ ნიადაგზე მე-90 წლებში, რომელმაც ბრძოლა გაუმართა ნაროდნიკულ მიმდინარეობას, რომელიც „ახალ ფორმაში ძველი იდეოლოგიით“ მოეწვინა საზოგადოებას (ვ. წერეთელი, ლალი), და შემდეგ ეს ბრძოლა სოც.-ფედერალისტთა პარტიასთან გაგრძელდა.

დასასრულ, ავტორი ჯამს უკეთებს ნაროდნიკულ მოძრაობას და მოღვაწეთა მნიშვნელობას საქარ. სოციალისტურ აზროვნებისათვის (189 — 196 გვ.) და იხილავს ამ ნიადაგზე საქართველოში მარქსიზმის აღმოცენებას 1892 — 1896 წლებში.

ასეთია ამ საყურადღებო ნაშრომის მთავარი დებულებები. აღნიშნული დებულებები მდიდარი მასალითაა დადასტურებული. უნდა აღვნიშნოთ, რომ შრომაში მასალა სჭარბობს გაშუქებას და თანდათანობით განვითარებას. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ს. ხუნდაძის ნაშრომი პირველი ცდაა ხელუხლებელი და შეუსწავლელი მასალის, რომლის სიუხვე, სხვადასხვაობა და ინტერესი იტაცებს ავტორს და ალაგ-ალაგ ვითომ იკარგება გამოკვლევის მთავარი ძაფი.

მიუხედავად ამისა, დღეიდან ვერც ერთი ჩვენი აზროვნების ისტორიის მკვლევარი ვერ აუხვევს გვერდს ავტორის შრომას, რომელშიაც მოყვანილია მე-60-80 წლების სოციალისტური აზროვნების განვითარების ეტაპები და ნიმუშები, და სადაც საკითხი შესწავლილია მარქსისტული მიდგომით.

ასეთი შრომის გამოცემა ფრიად სასარგებლოა, ხოლო გაცნობა ჩვენი ახალთაობისათვის აუცილებელია.

შალვა დადიანი. „უბედური რუსი“ გამომცემლობა „ქართული წიგნი“ 1927 წ.

მეტად საყურადღებო წიგნი დაიწერა ამ წელში შალვა დადიანის ისტორიული რომანის — „უბედური რუსის“ სახით, მაგრამ დღემდე, არეფერი დაწერილა ამ თვალსაჩინო ნაწარმოების შესახებ.

ისტორიული რომანი, თუ კი ის ესთეტიურის თვალსაზრისით გამართლებულია, მისაღები იქნება ჩვენთვის. ამ გზით, გარდა ამისა, რომ ჩვენ ვეზიარებით ესთეტიურ სინარულს, შევითვისებთ ჩვენს წარსულ კულტურას. ერის მიერ მრავალ საუკუნეთა მანძილზე გავლილ ცხოვრებას. ამ ფაქტის საუკეთესო დამადასტურებელი გახლავთ პოლონეთის წარსული ლიტერატურა სენკევიჩის ისტორიული რომანების სახით. შეიძლება აღნიშნული რომანები არ წარმოადგენდნენ მეტად დიდ ღირებულებას, მაგრამ უარყოფა იმისა, რომ მათ დიდი გავლენა იქონიეს პოლონეთის ლიტერატურის განვითარებაზე, ხალხის თვითცნობიერების განმტკიცების საქმეში, შეუძლებელია.

ასეა თუ ისე. ისტორიული რომანი, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, მისაღებია თანამედროვე საქართველოსათვის.

საკითხავია, შალვა დადიანის ისტორიული რომანი — „უბედური რუსი“ ესთეტიურის თვალსაზრისით — შინაარსისა და ფორმის მხრივ გამართლებულია, თუ არა?

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ისტორიულ რომანს ჩვენში საკმარისად ღარიბი წარსული აქვს, თით-



ქმის არავითარი ტრადიცია ამ მხრივ არ მოგვეპოება, თუ არ მივიღებთ ნხედველობაში აკაკისა და ილიას ისტორიულ ხასიათის პოემებს. სხვა უფრო კულტურულ ქვეყნებში, ისტორიული რომანის დაწერას წინ უსწრებს დიდი მუშაობა ავტორისა ცნობებისა და მასალების შესაკრებად. რომანის ავტორი მიმართავს, არა მარტო ისტორიულ საბუთებს უშუალოდ, არამედ მეცნიერთა და მეცნიერულ დაწესებულებათ, რომელნიც დიდ დახმარებას უწევენ ამ მხრივ მწერალს. ამგვარად იწერება მრავალი რომანი დასავლეთ ევროპასა და რუსეთში. აიღეთ, მაგალითად, შერეჟკოვსკის ისტორიული რომანი — „24 დეკემბერი“, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იწერებოდა და მწერალს დიდ დახმარებას უწევდნენ მეცნიერნი და მეცნიერული დაწესებულებანი, სხვადასხვა მასალის მიწოდებით.

რასაკვირველია თუ თვით რომანის ავტორს არ შესწევს ძალა რომანის დაწერისა, თუ მისი ინტელექტი, ინტუიცია ვერ სძლევს აღებულ თემას, აქ მას ვერავითარ დახმარებას ვერ აღმოუჩენენ ვერც მეცნიერნი და ვერც საბეცნიერო დაწესებულებანი. მაგრამ თუ კი თვით მწერალი ღვთიური ნიჭით არის დაჯილდოებული, თუ მას შესწევს ძალა აღმაფრენისა, იმ შემთხვევაში მეცნიერება მას უსათუოდ გაუადვილებს შრომას.

ჩვენში ამ მხრივ მეტად უნუგეშო მდგომარეობაა გამეფებული: მე-XII საუკუნე, რომელიც აღებულ თემას აქვს ჩვენს ავტორს თემად, გარდა იმისა, რომ არ არის მეცნიერულად საკმარისად შესწავლული და ორიოდ მეცნიერისა და მკვლევარის გარდა, არავის შეუძლიან რაიმე რჩევა ან დახმარება აღმოუჩინოს ავტორს, თვით თემა მეტად რთული და სახიფათოა.

დიდი თამარის დრო და თვით პიროვნება თამარისა, თამარის გარშემო მყოფნი დიდებულნი და, საზოგადოთ, ამ დროს მატერიალური და სულიერი კულტურა იმდენად პრობლემური საკითხს წარმოადგენს, რომ ძნელია მისი დაძლევა, ხელოვნურად ჩამოყალიბება. თუ მწერალს არ შესწევს ინტელექტი, ინტუიცია, ნიჭი.

„ცდა ბედის მონახევრეა“-ო. ამბობს ხალხური ბრძნული თქმულება და ვინც „ცდას“ გაურბის, ვინც გულზე ხელდაკრეფილი განაგრძობს ოცნებას, ის უფრო ბედს შორდება, ვიდრე ის, ვინც „ცდით“ — ბედის მონახევრედ უნდა გახდეს. შალვა დადიანმა უსათუოდ გაიზიარა ბედი, მაგრამ არა სავსებით. იგი „ბედის მონახევრე“ დარჩა, ნახევრად გამარჯვებული.

დაუახლოვდეთ ნაწარმოებს უფრო ახლო, განვიხილოთ იგი შინაარსის, სტილის მხრივ, ისტორიულის, ფსიხოლოგიურის და, საერთოდ, ესთეტიურის თვალსაზრისით.

მეცნიერება გადმოგვცემს, რომ მე - XII საუკუნეში სულიერი და მატერიალური კულტურა ქართველი ერისა უმაღლეს საფეხურს აღწევდა. მტკიცე ნიადაგზე იდგა: პოეზია, მეცნიერება, ხელოვნების სხვადასხვა დარგი. ერი პოლიტიკურად და ეკონომიურად ძლიერი იყო. მას ჰყავდა პოეზიაში — შოთა რუსთველი და ჩახრუხაძე, ფილოსოფიაში — პეტრიწონელი, სამხედრო ხელოვნებაში — ძმანნი მხარგძელნი და სხვა. თამარის დროს იყვნენ დიდებულნი: აბულახანი, ვარდან დადიანი, დავით სოსლანი, უფლის წული იური, უბედურ რუსად მონათლული და სხვანი. ისტორიულად ცნობილია იურის განდევნა სასახლიდან და მის მიერ აჯანყების მოწყობა, ცნობილია აგრეთვე ვარდან დადიანის უფლის წულის — იურის მხარეზე გადასვლა, აბულახანის ზნედაცემულობა, მხარ-გძელთა ერთგულება ტახტისადმი და მათი სამხედრო ტალანტი, დავით სოსლანის გმირობა და სხვა. მაგრამ მთავარი მაინც ამ საუკუნის მატერიალური და სულიერი კულტურა არის, რომელიც, შორეულ ლეგენდასავით, დღესაც თავს დასტრიალებს საქართველოს და იზიდავს შემომქმედთ მის — განსახიერებისათვის.

ისტორიულის თვალსაზრისით, რომანში არის, რასაკვირველია, გადახრა, არის ავტორის ფანტაზიით შექმნილი ფაქტები. მაგრამ ეს ასედაც უნდა იყოს, რადგან სხვაფრივ ნაწარმოები იქნებოდა უბრალო ისტორია და არა ისტორიული რომანი.

სუსტია რომანის ის მხარე, სადაც ავტორი მე-XII საუკუნის სულიერ კულტურას გადმოგვცემს. რომანში არა სხანს მთავარი ძარღვი, მამოძრავებელი ამ საუკუნის სულიერი კულტურისა. არის ლაპარაკი პოეტებზე, მათი თამარის სასახლესთან დაახლოების შესახებ. არის აგრეთვე გადმოცემული შეხვედრა პოეტების, მათი გაბაასება, მაგრამ ამით ხომ არ ამოიწურებოდა იმ დროინდელი ინტელექტუალური ძალა ერის...

დამახასიათებელი მომენტი რომანის და განსაკუთრებით კი ისტორიული რომანის ყოველთვის იყო სიუჟეტის მოხერხებულად განვითარება, ამბავთა და მოთხრობათა იმნაირად დალაგება, რომ ინტერესი ნაწარმოების კითხვის ბოლომდე შერჩეს ადამიანს. ამ მხრივ რომანი უსათუოდ იწვევს ინტერესს. რომანის სიუჟეტი განვითარებულია საკმარისად: იურის ჩამოყვანა საქართველოში, მისი შეხვედრა, როგორც უტანდართან, ისე თამართან, მისი დამოკიდებულება ორივესთან, დანიშვნა, განდევნა სასახლიდან, აჯანყების მოწყობა, დამარხცევა და სიკვდილი. რასაკვირველია ყველა ეს მომენტი ვერ არის განსახიერებული ერთნაირის მიმზიდველობით, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება სიუჟეტის განვითარებისა სრულია.

მთავარი პერსონა რომანის — თამარი ვერ არის საგნებით განსახიერებული. ჩვენამდე მოხწეულ ცნობების მიხედვით, თამარი ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე იყო, გამჭრიახი, გონება მაღალი. არაჩვეულებრივის სილამაზით იყო იგი შემკობილი და თან წმინდანის სახელით მონათლული. ასეთი თვისებათა განსახიერება, ცხადია, მეტად ძნელი საქმეა და თან სახიფათოც.

შალვა დადიანმა უსათუოდ შესძლო თამარის სულიერი სისპეტაკის გადმოცემა, მისი გულკეთილობის, გულშენატკივრობის მოყვასისადმი, მაგრამ თამარი — სახელმწიფო მოღვაწე, თამარი-ძლიერი პიროვნება ჩვენის აზრით, განუხორციელებელი დარჩა.

რამდენად მკრთალად არის გადმოცემული თამარის პიროვნება რომანში, იმდენად ძლიერად და მომხიბლავად არის განსახიერებული პიროვნება უტანდარისა. ახალგაზ-

რდა ქალის ხორციელი სილამაზე, მტკიცე ნების ყოფა, ტემპერამენტი, ცბიერება, აღვირახსნილობა, ზნე-დაცემულობა, გაბატონების უდიდესი სურვილი და ამ სურვილის განხორციელებისათვის ყოველგვარი ზნეობრივი საზღვრების გადალახვა. აქ მართლაც მოცემულია ნამდვილი, ფსიხოლოგიურად გამართლებული პიროვნება ქალის ავხორცის, შმაგის, აღვირახსნილის, რომელიც თვისი სურვილის განხორციელებისათვის მზად არის გადალახოს ყოველგვარი საზღვარი.

მწერალი უტანდარის თვისებათა გადმოცემაშიაც ძლიერია, მაშინ როდესაც თამარის მშვენივლით აღსავსე პიროვნების დასასურათებლად — იგი სიტყვა „ახოვანს“ ხმარობს, რაც ჩემის აზრით, სრულიად მიუღებელია.

„ტახტზე იდგა მეფე-ქალი, — სწერს ავტორი — თეთრი სამოსი ეცვა, ლურჯი ფარჩის ოლარითა და სამხრეებით, რომელიც თეთრის მარგალიტებით იყო მოოჭვილი, თეთრივე გვირგვინი ედგა, ლაჟვარდოვან თვლებით მორთული, წვრილი ფირუშების არშია მოვლებული. მაღალი ტანის იყო, **ახოვანი**, ჰაეროვანი, თითქმის სრულიად ახალგაზდა, უმანკო გამომეტყველების, მაგრამ მაღალ ფიქრსა და ზრუნვას სიდარბაისლის იერი უცხოდ შეექსოვა მის ნატიფ სახე-პირისათვის. თვალები ჰქონდა უსაზღვრო ღმობიერებით აღსავსე, შემწყალე და მიმტევებელი, მაგრამ იმავ წამს იგრძნობდით, რომ ამ გამომეტყველებას ვერ გაუშინაურდებით, ვერ გაუტოლებთ თქვენს განცდას, ვერ ჩაითრევთ ყოველდღიურ, წვრილმან სურვილებში“.

როგორც ხედავთ. სიტყვა „ახოვანი“ აქ სრულიად უადგილოა. შეუძლებელია ადამიანი — ქალი ახოვანიც იყო და ჰაეროვანიც. ეს უადგილო სიტყვა სრულიად ახდენს შთაბეჭდილებას.

ავილოთ ეხლა აბულასანის მეუღლის — უტანდარის გარეგნობის გადმოცემის მომენტი. აქ მოცემულია სრული სურათი. ტანი და ტანისამოსი იმნაირად არის გადახლართული ერთმანეთზე, გეგონებათ რომ განუყოფელი ნაწილია ერთი-მეორისა.

„ჩარდახზე გამოვიდა უცხო სანახავი მანდილოსანი, —  
სწერს ავტორი. მალალი ტანის იყო. ბეჭებში გაშლილი.  
მკერდ შეკვრივებული, მორკალებული. წელი გამონაკვ-  
თული, თითქოს წართლაც და ბეჭედში გაეტევაო. ზედ  
ძვირფასად ანაქარგი სარტყელი ჰქონდა შემორტყმული  
და თითქო დაუდევრად გამონასკული, კაბა თითქო ზევით  
იყო შემხტარი და კაბის ქვემოთ მეწამული ფერის, სალუ-  
ქი აბრეშუმის შალვარი მოსჩანდა ტოტებ მოქარგული,  
კოჭებთან შეკრული. ფეხებზე კი მარგალიტით მოოჭვილი  
მსუბუქი ქოშები ეცვა. ოთხი, მაყვალვით ნაწნავი ბეჭებსა  
და მკერდზე გადმოშვებული კოჭებამდინა სცემდა. გულის  
პირი კარგა დაბალზე იყო მოჭრილი და მოღვრებულ  
თეთრ ყელს აღმასის, უცხო ნაქნარობის ჯვარი, ობოლ-  
მარგალიტის აცმაზე მიმაგრებული, უმკობდა. ფართე ვნე-  
ბით აღმძვრელი თვალები გრძელ წამწამებში ლურჯად  
იჩრდილებოდა, წარბები დაზიდული და ოდნავ გაპობი-  
ლი. წითლად მოხასხასე ბაგე. ყველა ეს შეადგენდა მის  
საკვირველ სხეულის შვენებას; ამ სხეულს-კი ამჟამად ზე-  
მოდან ფართო და გრძელი, გამჭვირვალე, უნაზესი ლეჩა-  
ქი ჰქონდა თავიდან თეხამდე გადმოშვებული. მხოლოდ  
ზედ თავზე ლეჩაქის დასამაგრებლად თვალმარგალიტე-  
ბიანი ოქროს სალტესავით რკალი ჰქონდა ჩამოცმული.  
იგი მომდიმარე და მხიარული გამოვიდა ჩარდახზე“.

შალვა დადიანი ამ სურათით ჩვენ გვარწმუნებს არა  
მარტო იმაში, რომ იგი ხელოვანია, რომელსაც შეუძლიან  
ხელოვნური სურათის გადმოცენა, არამედ იმაშიაც, რომ  
იგი დიდი ოსტატია ქართული სიტყვის, ამ სიტყვის თავი-  
სებური მლაღადებელი, ნამდვილი ქართულის სტილით მო-  
საუბრე მწერალი და ღრმა მცოდნე ამ სიტყვისა. ენისა.  
საქართველოში დღეს ათიოდე ნამდვილი მცოდნე თუ მო-  
იძებნება ქართული ენისა და მათ შორის უსათუოდ შალვა  
დადიანს უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს

დაუბრუნდეთ ისევ თამარისა და უტანდარის თვისე-  
ბათა დახასიათებას: თუ, მაგალითად, იურის შეხვედრა  
უტანდართან, მისი ხორციელი მისწრაფება ამ ქალისადმი  
და, პირიქით, უტანდარის ზრახვები და მის მიერ მიზნად

დასახვა იურის ხელში ჩაგდებისა მწერალს განვითარებული აქვს დიდის ოსტატობით და ხელოვნებით, სამაგიეროთ შერთალია სურათი თამარისა და იურის დამოკიდებულებისა ურთიერთისადმი. შეიძლება უტანდარის პიროვნება იმიტომ ახდენს ჩვენზე მეტ შთაბეჭდლებას, იმიტომ იჭრება ჩვენს გულში, რომ აქ მწერალი ძლიერია თვისი განცდებით, ფსიქოლოგიურის სიმართლით. ავტორი გიპყრობთ თქვენ არა მარტო უტანდარის თვისებათა ხელოვნურის გადმოცემით, სწორი ხაზით, რომელიც მან ჰპოვა უტანდარის ხასიათის გადმოსაცემად, არამედ თვისი გატაცებით, ტენზერამენტით, ამ პიროვნების განსახიერების ჟამს რომ ამჟღავნებს იგი.

ან და ეს მოხდა უხებლიეთ, რადგან უტანდარში ჩვეულებრივი ადამიანის ქვენა გრძნობებით, ზნეობრივად დაცემული და ხორციელად ატეხილი ადამიანის თვისებაა დაგროვილი, მაშინ, როდესაც თამარის პიროვნებაში, რომელიც საუკუნეთა მიერ არა ჩვეულებრივი თვისებებით არის დახასიათებული, ზეციური, ზეკაცობრივი უფრო მეტია, ვიდრე მიწიერი, ხორციელი.

და მწერალიც ხომ ამ ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო პიროვნების დაპირისპირებას ანხორციელებს თავის ნაწარმოებში. არა ამ ქვეყნიური სათნოება და სიშმაგე მიწიერი, სიყვარული მოყვასისადმი და უკიდურესი სიძულვილი, განხორციელებული სინიდისი და ზნე-დაცემულობა, ნეტარების მომხიბლავი ძალა და ხორციელი სიბილწე. აი ის თვისებები, რომელიც დაგროვილია ამ ორ პიროვნებაში და მწერალმა თუ პირველის დაძლევა ვერ შესძლო, სამაგიეროდ მეორეში იგი გამარჯვებული გამოვიდა...

გადავიდეთ ეხლა რომანის სხვა ტიპების დახასიათებაზე. ავიღოთ, მაგალითად, კუზმა რუსის პიროვნება. ეს ხომ სრულიად დასრულებული სურათია რომანის. ნამდვილი ტიპი რუსი ადამიანის, „გაშლილის სახით“, განუსაზღვრელი ერთგულობით იურისადმი, გამჭრიახი გონებით და ბოლოს გატაცებული და თანვე უმანკო სიყვარულით იმ კოხტა ქართველ ქალისადმი, რომელიც მას ტრა-

ღედიად შეეცვალა. ეს უკანასკნელი სურათი თავის-თავად დასრულებული მოთხრობაა, რომელიც მოხდენილად არის ჩართული რომანში და ამშვენებს მას.

დიდ მიღწევად უნდა ჩაუთვალოს აგრეთვე ავტორს უფლისწული იურის დახასიათება. ზნედაცემული, უხასიათო, მაღალ გონებასა და გამჭრიახობას მოკლებული, ყივჩაყთა ტყეში თავისუფლად მოთარეშე ახალგაზრდა, რომელიც ტყის კაცის რედუდიას და ტყის აღ-ქაჯა სვეტლანას გაზდილი უფრო არის, ვიდრე ბრძენი კუზმა რუსის. მას ვერ შეუგნია ის მაღალი დანიშნულება, რომელიც ბედმა არგუნა და უტანდარის აღვირ-ახსნილობა, რომელიც მას სვეტლანას აგონებდა. უფრო შეუთვისებია, ვიდრე დიდი თამარის დიდი ბუნება. სახელმწიფო საქმეები მან ანაცვალა ცვატიებურ გახრწნილ პირთან მეგობრობას, რომელსაც არაფერი წმინდა ამ ქვეყნად არ ჰქონდა და რომლისათვისაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა უმანკო გულნაზის საზიზღრად გაუბატივრება, რათა ამით თვისი მხეცური ჟინი დაეკმაყოფილებია და თან გოდერძისათვისაც საშაგიერო გადაეხადა.

იური ეს ნამდვილი მთვარეულია — ლუნატიკი ამღვრეულის თვალებით და ზნედაცემული ჩვეულებებით გამსჭვალული ახალგაზრდასი, რომელსაც, გარდა თვისი პირადი მხეცური ჟინის დაკმაყოფილებისა, არაფერი აინტერესებდა, არაფერი იზიდავდა. მიუხედავად იმისა, რომ ის ვაჟკაცურის თვისებით იყო აღჭურვილი, მას წმინდა ვაჟკაცურის არაფერი გაეგებოდა. იგი მუდამ იქით მიისწრაფოდა, სადაც გარყვნილების მსხვერპლი შეიქმნა იგი.

თუ ერთის მხრივ, იურის ტიპი, მისი სახე, ხასიათი, ზნე-ჩვეულება, ერთი სიტყვით, მთელი მისი ბუნება წარმოადგენს დასრულებულ სურათს, საშაგიეროთ რომანში სრულიად არ მოსჩანს სახე დავით სოსლანისა, მისი თავგადასავალი და, რომანის მიხედვით, ის უფრო მსაჯულად — მოსამართლედ გვევლინება, რომელიც გაიძვერა ჯაშუშებს ასამართლებს, ადამიანთა სხეულით რომ ვაჭრობდნენ, ვიდრე საწმობლოსათვის მებრძოლ გმირს — ვაჟკაცს.

რომანის სიუჟეტის განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე მწერლის მიერ დიდის ხელოვნებით განსახიერება აბუ-ლასანის პიროვნებისა — მისი ზნედაცემულობით, მორალური პრინციპების გაშეშებით. — ვარდან დადიანის დიპლომატიური გამჭრიახობა, მისი გადასვლა იურის მხარეზე და სასტიკი დამარცხება. — ეპიზოდები თამარის ხალხთან დამოკიდებულებისა უბედურების ჟამს, დარბაზობა, ბრძოლა აჯანყებულთა და თამარის ერთგულთა შორის.

შ. დადიანის ამ ნაწარმოებთან დაკვირვებით გაცნობის შემდეგ ერთი რამის თქმა გადაჭრით შეგვიძლიან. სახელდობრ იმის, რომ „უბედური რუსი“ ეს პირველი ისტორიული რომანია ქართულს ენაზე დაწერილი. პირველი სიტყვაა ისტორიულ რომანის სახით თქმული ჩვენში და, როგორც ასეთი, გამამხნეველია, იმედის მომგვრელი და ვისაც ამის გაგება, ამის გრძნობა არ შეუძლიან, ის უიმედოთა და უგრძნობ ადანიანთა რიცხვში მოექცევა ყოველთვის.

ჩვენ განვიცდით იმ სულიერ ტკივილებს, რომელიც მწერალმა განიცადა. შევხარით იმ სიხარულს, რომელიც რომანში არის მოცემული და ავტორთან ერთად ცრემლებს ვაფრქვევთ მაშინ, როდესაც ტანჯვა და მწუხარება, რომანში განსახიერებელი, ცრემლების გამომწვევია, სევდის მომგვრელი.

და ჩვენ ვფიქრობთ, რომ საუკეთესო დამფასებელი, მიუდგომელი კრიტიკოსი ლიტერატურულ ნაწარმოებისა ყოველთვის ის ინტიმიური განწყობილება არის, რომელიც ჩვენდა უნებლიეთ, ჩვენი ნების გარეშე, მტკიცდება ავტორსა და მკითხველის შორის.

მიუხედავად იმ ნაკლისა, რომელზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაწარმოები არ წარმოადგენს ყოველმხრივად დასრულებულ შემოქმედებას, ჩვენ არ შეგვიძლიან დავფაროთ ის წარმტაცი სურათები, რომელიც უხვად არის გაბნეული რომანში.



ენა, სტილი, სიუჟეტი რომანისა დაცულია ბოლომდე. ფსიხოლოგიურად ზოგიერთი ტიპი ამ ნაწარმოებისა დიდის ხელოვნებით არის განვითარებული, შესრულებული. ისტორიულის თვალსაზრისით — რომანს აქვს ნაკლი, რომელიც მე-XII საუკუნის სულიერი და მატერიალური კულტურის მეტად მკრთალი გაშუქებით განისაზღვრება.

ცხადია ამ წერილით არ შეიძლება ამოწურვა ყველა იმ საკითხისა, რომელიც რომანში არის მოცემული, — არ შეიძლება სავსებით აღნიშნოთ ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე ამ ნაწარმოებისა, მაგრამ ერთის აღიარება კი თავისუფლად შეიძლება, სახელდობრ იმის, რომ შალვა დადიანის „უბედური რუსი“ — „ბედნიერის ხელით“ არის დაწერილი, რომ ეს პირველი ისტორიული რომანია ქართულს ენაზე დაწერილი, ნამდვილის ქართულის ენითა და სტილით.

---

რეცენზენტის ზოგიერთ დებულებებს რედაქცია არ იზიარებს.

სილოვან ხუნდაძე. ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები.

ქართული ორთოგრაფიის ძირითადი წესები იმდენად სადაა, რომ თვით უმარტივესი ფორმები და უხშირესი სიტყვები მრავალგვარად იწერება, რის გამო ახალი ლიტერატურული ენის დაძუშავების საკითხი ენათმეცნიერთა ვიწრო წრეს შორდება და იგი საერთო ყურადღების საგნად ხდება.

რომელ პრინციპს უნდა დაეყრდნოს ქართული ენა წერისა და ლაპარაკის დროს, სადაურ დიალექტს უნდა მიენიჭოს პრიმატი, როგორი ფორმა უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად, რა იყოს ისტორიულ წყაროთ თანამედროვე ენისა, როგორ აღმოიფხვრას გავრცელებული ანომალიები და შემუშავდეს მერყევი სიტყვებისა და ფორმების საორთოგრაფიო ლექსიკონი.

ეს ისეთი საკითხებია, რაზედაც სპეციალისტთა წრეში უკანასკნელ წლებში გაცხოველებული თეორეტიული მუშაობა სწარმოებდა; შედეგათ ჩვენ გვაქვს რამდენიმე ნარკვევი და პროექტები სადაო საკითხებზე, მათი საბოლოო დამუშავება უნდა მოხდეს განძრახულ სამწერლო ქართულის ყრილობაზე, რომელიც მომავალში იქნება მოწვეული და ავტორიტეტულად განიხილავს მართლწერის ყველა ძირითად საკითხებს.

საბიბლიოგრაფიო ნაშრომი არ არის საგანგებოდ დაწერილი მასალა აღნიშნული კონფერენციისათვის, მასში აღძრულ საკითხებზე ავტორის თვალსაზრისია დასრულებულად მოცემული და წარმოადგენს ამ 25 წლის წინეთ ავტორის მიერ გამოცემული წიგნის „ლიტერატურული ქართულისათვის“, მეორე შევსებულს და დასრულებულ გამოცემას. მაგრამ რამდენადაც წიგნის ავტორი ითვლება ახალი ქართული ენის ძირითადი საფუძვლების დიდი ხნის მკვლევართა და ამავე დროს ჩვენს სკოლებში ხმარებულ სახელმძღვანელოთა ავტორათ, ცხადია, იგი არ არის ინტერესს მოკლებული.

წიგნის არსებით ნაწილში მთლიანად არის მოცემული ენის ბუნება და გრამატიკული კონსტრუქცია, ეტიმოლოგიისა და სინტაქსიური კანონების სახით, რაც წარმოადგენს ავტორის გრამატიკული ნაშრომების დასრულებულ სახეს.

ს. ხუნდაძის გრამატიკულ შრომებში უსათუოდ არის ზოგიერთი უდაო ჭეშმარიტება, რომლის აღმოჩენა და ლიტერატურული მო-

ქალაქეობრიობის მოპოება ავტორის დამსახურებას შეადგენს; მრავალი მათგანი უკვე შემოღებულია ლიტერატურაში, ასეთია მაგ. ზმნების დაბოლოება დენ, ნაცვლად დნენ-ისა, შეკვეცილი არსებითების ბრუნვა და ზოგი რთული ფორმების გამარტივებული ხმარება, როგორც ეს ხალხურ ენაშია გავრცელებული. წიგნში აღსანიშნავია მთელი რიგი საკითხები, რომელსაც ავტორი შუქს ჰფენს და ამომწურველად ჰფანტავს გაუგებრობას. ასეთებია: კავშირის „რა“-ს ხმარების საკითხი, ზოგი სინტაქსური კანონები, წინადადების ნაწილთა წყობა (ფრაზეოლოგია), რუსიციზმები ქართულში, ნაცვალსახელებისა და კავშირის ხმარება და სხ.

წიგნის მეორე ნაწილი შეიცავს ავტორის საწინააღმდეგო აზრების კრიტიკულ გარჩევას, რომელიც დამატების სახით არის მოცემული, მაგრამ სწორედ ეს „დამატება“ წარმოადგენს ორგინალურ ნაწილს და იგი დიდ ინტერესს ბადებს.

პირველად, კრიტიკის შესავალში, გამოქვეყნებულია ექვსი პირადი წერილი, ოთხი—ავტორის მიერ მინაწერი პროფ. აკ. შანიძისადმი, მისი გრამატიკის რეცენზიის შესახებ.

გაუგებარია, რა საჭირო იყო ამ წიგნში აღნიშნული წერილების დაბეჭდვა. ან ვის ჰმატებს იგი ღირსებას; ან როგორი საქციელია, მეცნიერების სერიოზულ მომუშავეს გამოუქვეყნებელ რეცენზიის შესახებ სწერს: „უსამართლობას რა უთხრა რომ თქვენისთანა უკაცრავად პასუხია „რეცენზენტი“ დროს მაკარგვინებს... უსაფუძვლო ბავშვური შენიშვნებით; „ან ასეთი ვულგარული გამოთქმა: „სახარე მოზვერს... სასკორეში შეეტყობა“-ო (გვ. 93). ან კიდევ: „ტფილისის დოქტორი“, „ტკივილის მეცნიერი“, „ვინც ეს არ იცის, იგი არც დოქტორათ გამოდგება და არც დოხტურად, — იგი უბრალო მანასა — და მეტი არაფერი“ (გვ. 97).

ამას სწერს ავტორი აკ. შანიძის რეცენზიის გამო. მაშინ როდესაც ს. ხუნდაძის გრამატიკის საფუძვლებს ენის არც სხვა მცოდნენი იზიარებენ, მაგ., ს. გორგაძე, პროფ. გ. ახვლედიანი, უკანასკნელს ავტორი ამ წიგნშიაც ეკამათება.

ეს ადგილი ამცირებს წიგნის მეცნიერულ-მნიშვნელობას და მას გამაღიზიანებელი პოლემიკის ხასიათს აძლევს.

შემდეგ მოცემულია აკაკი შანიძის ცნობილი ნარკვევის „სუბიექტური პრეფიქსი“... კრიტიკა, სადაც ავტორი ცდილობს დაამტკიცოს შანიძის ქართული ენის უცოდინარობა და მისი შრომის მთავარ დებულებათა უსაფუძვლობა.

უფრო მნიშვნელოვანია მეორე დამატება. სადაც განხილულია აღნიშნული კონფერენციის საორგანიზაციო კომისია (კომისიაში შედიოდნენ: აკაკი შანიძე, კორნ. კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, ვუკოლ ბერიძე, სერგი გორგაძე, დიმიტრი უზნაძე) ქართული ორთოგრაფიის საკითხების მოსაწესრიგებელი პროექტი („პროექტი“ გამოიცა ცალკე წიგნაკად: სალიტერატურო ქართულისათვის“). აქ ავტორი ეწინააღმდეგება კომისიას არა მარტო განხილულ საკითხებში ქართული ენის ფონეტიკისა, მორფოლოგიისა და სინტაქსზე,

არამედ კომისიის სახელმძღვანელო ძირითად პრინციპებსაც — ენის გავრცელებულობას და ისტორიულ სახეს.

მომავალში, ახალი ლიტერატურული ქართულის საბოლოოდ დამუშავების დროს, ისე როგორც დღემდე, ავტორის საქმიანი შენიშვნები და ათეული წლების მუშაობით მიღებული აღმოჩენანი, რასაკვირველია, მიღებულ იქნება მხედველობაში, და, წიგნის ეს ნაწილი ამ მხრივ არის საყურადღებო. რაც შეეხება საერთოდ ავტორის მოსაზრებას ენის აგებულების შესახებ, შეუძლებელია მიღებულ იქნეს ის წმინდა ფონეტიკური პრინციპი, რომელიც „ენის განმარტივებაში“ და „კეთილხმოვანობაში“ გამოიხატება, რათა „სწერო ისე, როგორც ლაპარაკობ“. მაშინ როდესაც თვითონ „გამოთქმის მართლწერის სისტემა“ უაღრეს ანარქიას იწვევს. მიუხედავად პრინციპი-ალური სურვილისა, ნაკლები ადგილი ეთმობა იმ მრავალგვარ პრინციპებს, რომლის კომბინაციას სწორი სასაუბრო და სამწერლო ენა უნდა შეადგენდეს და „ჯოხი ერთს მხარეზე იღუნება“... ლიტერატურულ ენას ერთ-ერთი დიალექტი ჩრდილავს.

საერთოდ აღნიშნული წიგნი უსათუოდ აღსანიშნავი მოვლენაა ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოგვარების საქმისათვის.

წიგნს, გარდა წმინდა სუბიექტური ხასიათისა, რომელიც ავტორის აზრს გვაცნობს ყველა საპოლემიკო საკითხზე, ობიექტიური მნიშვნელობაც აქვს, რათა დაინტერესებული მკითხველი „უდაო ფორმებსა და გამოთქმებში“ გაერკვეს.

წიგნი გარეგნულად კარგად არის გამოცემული, დაცულია ავტორის მართლწერა (მთავრული ასოები) და არც ფასია ძვირი.

— : —

# ქ რ ო ნ ი კ ა

ქართული ხელოვნება მოსკოვის გამოფენაზე.

(ი. ტუგენდხოლდის წერილიდან).

ოქტომბრის საიუბილეო დღეებში, მოსკოვში დიდის ზეიმიო გაიხსნა სამხატვრო-სამეცნიერო აკადემიის მიერ დამზადებული გამოფენა. გამოფენა დაყოფილია სამ ნაწილად: 1) სახვითი ხელოვნების, თეატრის და კინოს განყოფილება, 2) კავშირში შემავალ ხალხების სიტყვა კაზმულ მწერლობის განყოფილება და 3) ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული მწერლობის განყოფილება. მართალია, გამოფენას აქვს ზოგიერთი არსებითი ხასიათის ხარვეზი, როგორც მაგალითად ის გარემოება, რომ არ არის წარმოდგენილი ქართული მხატვრული მწერლობა და სხვ., მაგრამ მიუხედავად ამისა გამოფენა მეტად ფართე და მრავალფეროვან ხასიათს ატარებს.

განსაკუთრებით დიდს ინტერესს იწვევს გამოფენაში სახვითი ხელოვნების განყოფილება. ნამდვილ აღმოჩენას, ნამდვილ „ამერიკას“ წარმოადგენს თავისი მოულოდნელი სიდიადით და სიმდიდრით განყოფილება, სადაც გამოფენილია კავშირში შემავალ ხალხების ნაციონალური მხატვრობა, გრაფიკა, სკულპტურა და არქიტექტურა. მსგავსი რამ მოსკოვში არ უნახავთ არაოდეს. აქ პირველად საკუთარი თვალით ნახეს (არა მარტო მოსკოვმა, არამედ იმ უამრავმა უცხოელებმა, რომელნიც ოქტომბრის ათი წლის თავის ზეიმზე იყვნენ ჩამოსულნი) და დარწმუნდნენ. თუ რა უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობები მოიპოვება კავშირის სხვადასხვა ერებში. აქ პირველად გამოჩნდნენ გუშინ ჯერ კიდევ უცნობი სახელები ნაციონალური მხატვრობის. განა ნორმალურია, მაგ. ის გარემოება, რომ პარიზის საზოგადოება იცნობდა ლადო გუდიაშვილს უკეთესად, ვიდრე ჩვენ და მხოლოდ ეხლა, გამოფენის წყალობით, ჩვენ პირველად ვიხილეთ მისი უაღრესად თავისებური სურათები („გასეირნება“, „ქეიფი“, „ნადირობა“, „პარიზის კომუნა“ და სხვ.) და თავისი დინამიური ექსპრესიულობით პირდაპირ განსაცვიფრებელი ნახაზები?

უნდა ითქვას, რომ გამოფენაზე ქართულ ხელოვნებას უკავია ერთი პირველი ადგილთაგანი, როგორც რიცხოვნობით (150 ექსპონატამდე). ისე თავისი ღირსების მიხედვით. აქ წარმოდგენილია ქართველ მხატვართა საზოგადოების, საქართველოს სამხატვრო აკადემიის სტუდენტების და ტფილისის სახალხო სტუდიის (მ. თოიძის ხელმძღვანელობით) მოწაფეთა ექსპონანტები. გარდა ამისა გამოფენის ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს ნიკო ფიროსმანი-

**შვილის** ნაწარმოებს, რომლებიც მიღებულია, როგორც კერძო პირებისაგან, ისე საქართველოს ეროვნულ გალერეიდან. ჭეშმარიტად, ფიროსმანიშვილი არის ნამდვილი „ლურსმანი“ და ყურადღების ცენტრი მთელი გამოფენისა. იგი იწვევს უდიდეს ინტერესს მოსკოველ მხატვრებში და ხელოვნების მკოდნეებში, რომლებმაც საერთოდ პირველად იხილეს საქართველოს ეს თავისებური მხატვარი. სპეციალურად გამოფენისათვის ოდნავ რესტავრაცია ქმნილი (სახელმწიფო ტრეტიაკოვსკის გალერეის სახელოსნოებში) ფიროსმანიშვილის მხატვრობა იშლება აქ მთელი თავისი კოლორიტისა და გამომხატველობითი სიძლიერით. მისი ტილოების წინ მდგომი საზოგადოება, განცვიფრებული მოსკოველები, რომლებიც იცნობენ მეორე „პრიმიტივს“ ფრანხგს **ანრი რუსსოს**, ადარებენ ერთმანეთს ქართველ და პარიზელ შინ ნასწავლ მხატვრებს.—„არა, ფიროსმანიშვილი უფრო უშუალოა, უფრო გულწრფელი, თვითმყოფადი“ — ისმის ხმები.

მასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ფიროსმანიშვილის ნამუშევართა გამოფენა თითქოს გასაღებს წარმოადგენს მთელი ქართველი მხატვრობის საერთო მეტად ორგანიული ხასიათის გასაგებად — მისი მკვერთად გამოხატული ხალხურობის, მისი ღრმა აღმოსავლური ფესვების და ასე გასინჯეთ, მისი სპეციფიური გემოვნებისა და მიდრეკილების „სანადიმო“, საზეიმო დეკორატიულ მოტივებისადმი. ეს დეკორატიულობისადმი მიდრეკილება გამოსჭვივის აგრეთვე **ლადო გუდიაშვილის** შემოქმედებაშიც, რომელიც თავისი ოსტატობით ასე დახვეწილია და ევროპიული, და რომელიც იძლევა საქართველოსა და გოგენის ტაიტის შედუღებას. იგივე დეკორატიულობა ემჩნევა აგრეთვე მხატვარ **ელენე ახვლედიანის** ტილოებს და სხვა ქართველ მხატვრებსაც გათავებულნი **მ. თოიძის** სტუდიის ნიჭიერი ახალი თაობით.

თუმცა მთელი ეს დეკორატიულობა ხელს არ უშლის ქართველ მხატვრებს ვადმოშალონ აგრეთვე სოციალური თემატიკაც. ასე მაგალითად, იმავე ლადო გუდიაშვილს აქვს ისეთი ტილოები, როგორიც არის „პარიზის კომუნარების დახვრეტა“, „ჩინეთში დასჯილთა თავების გამყიდველნი“. გამოფენაზე მოსჩანს აგრეთვე ახალი აღმშენებლობა, კერძოთ ზაჰესი. რამდენიმედ განსაკუთრებული ადგილი უკავია **მოსე თოიძის** დიდ სურათს „ზაჰესის სანათური“: ეს არის ცდა შეხამებულ იქნას ულტრათანამედროვე სიუჟეტიკა და ძველი, მუხეუმების ოსტატების მიბაძვა. ზაჰესის მოტივები, მაგრამ უკვე წმინდა რეალისტური, აქვს აგრეთვე **ფოგელს**. გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე **ლანსერე** ორმაგი ღირსებით: როგორც ქართველი აკადემიის პროფესორი და როგორც სომხეთის გამომსახველი (ზანგეზურის სერია). დაბოლოს ყურადღებას იპყრობს სკულპტურაც: **იაკობ ნიკოლაძე** (ლენინის ბიუსტი), სესიაშვილი, კაკაბაძე და სხვ.

## საზღვარ-ბარეთ.

◆ სისხლის მოწამვლით გარდაიცვალა გამოჩენილი კანადელი მწერალი **ჯემს ოლივერ კერვუდი**. კერვუდმა სახელი გაითქვა თავისი საინტერესო რომანებით: „იქ, სადაც იწყება მდინარე“, „უკანასკნელ საზღვართან“ და მრავ. სხვ., რომლებიც გადათარგმნილია ყველა ევროპიულ ენაზე.

◆ ცნობილმა ფრანგმა ჟურნალისტმა ქალმა — **ანდრე ვიოლისმა** გამოსცა თავისი წიგნი ს. ს. რ. კავშირში მოგზაურობის შესახებ. ვიოლისი ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში 1926 წლის შემოდგომაზე და რამდენიმე თვის განმავლობაში მოიარა რუსეთი, უკრაინა კავკასია და ამიერ-კავკასია.

არ შეიძლება ითქვას, რომ ვიოლისი იზიარებდეს მემარცხენე შეხედულებებს. პირიქით, ბევრი მისი აზრები მოწმობენ იმ გარემოებას, რომ მას ახასიათებს ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა. მიუხედავად ამისა ეს ჟურნალისტი ქალი აღნიშნავს თავის წიგნში საბჭოთა ხელისუფლების მიღწევათა მთელ რიგს. თუმცა ვიოლისის აზრით ბოლშევიზმი ისეთი წყობაა, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რუსეთში და ქედის მოხრასა და შორჩილებას მიხვეულ რუსეთის ხალხში. — მაინც ამ წიგნში აღნიშნული ფაქტები ამტკიცებენ სრულიად საწინააღმდეგოს. ავტორი იძულებულია აღიაროს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია მით, რომ მუშები და გლეხები, ქალები და მამაკაცები მონაწილეობას ღებულობენ სახელმწიფო ცხოვრებაში.

## რ უ ს ე თ ი.

◆ მოსკოვში გაიხსნა **საბჭოთა კავშირის ხალხების მხატვრული ლიტერატურის გამოფენა**. გამოფენა მოწყობილია საბჭოთა მწეოლების ფედერაციისა და გახნ — ის საიუბილეო კომიტეტის მიერ. ყურადღებას იპყრობს **ქართული განყოფილება**, სადაც წარმოდგენილია ქართულ ლიტერატურაში არსებულ ყველა დაჯგუფებათა მწერლების როგორც ცალკე ნაწარმოებთა გამოცემები აგრეთვე ჟურნალები და ალმანახები.

◆ მოსკოვში ჩამოვიდა **ჰერბერტ ბიბერმანი** — იელის თეატრის რეჟისორი (ნიუ-იორკი და ფილადელფია).

ბიბერმანს განზრახული აქვს საფუძვლიანად გაეცნოს თანამედროვე საბჭოთა თეატრს. რათა თავის უახლოეს დადგმებისათვის ამერიკაში გამოიყენოს საბჭოთა კავშირის მემარცხენე თეატრების მიღწევები და გამოცდილება.

◆ **მთარგმელთა მოსკოვის ასოციაცია**. მთარგმელთა მოსკოვის ასოციაცია (მასპერ) წარმოადგენს ქ. მოსკოვის მთარგმელთა

გაერთიანებას პროფესიონალური ნიშნის მიხედვით. ამ გაერთიანების მიზანია ასწიოს თარგმნითი საქმის კულტურა, და გააცნოს რუსული წიგნის მკითხველს უცხოეთის მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი და უცხოეთის მკითხველს — საბჭოთა კავშირის ხალხების ლიტერატურა. გარდა ამისა ასოციაციის მიზანია მთარგმნელთა პროფესიონალური ინტერესების დაცვა და მათი მუშაობის პირობების გაუმჯობესება.

ასოციაციის გამგეობასთან დაარსებულია სალიკვიდაციო კომისია — 12 მაღალ-კვალიფიციური მთარგმნელის და რედაქტორის შემადგენლობით. ეს კომისია არკვევს ასოციაციის წევრთა კვალიფიციურობის ხარისხს და გამოჰყოფს მთარგმნელ-რედაქტორთა კადრს. თარგმნის კულტურული ღირებულების გაუმჯობესების მიზნითვე ასოციაციის მიერ დასახულია: საკონსულტაციო ბიუროსა და ცნობათა მისაღებ წიგნთსაცავის დაარსება; სისტემატიური ლექციებისა და დისკუტების მოწყობა თარგმანის თეორიისა, და აგრეთვე შეფასების შესახებ; ხოლო თვით ნათარგმნი ლიტერატურის ღირსების ასაწევად ასოციაცია მიაწოდებს გამომცემლობებს ნათარგმნი წიგნების სარეკომენდაციო სიებს.

## ს ა ქ ა რ თ ე ლ ო .

◆ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ლიტერატურული შრომის მუშაკნი, მხატვრები, სკულპტორები და მათი შვილები, აგრეთვე სამეცნიერო დარგის მუშაკთა შვილები **გათანასწორებული არიან**—სასწავლებელში შესვლის ყველა უფლება უპირატესობათა სარგებლობის თვალსაზრისით, — **მუშების შვილებთან.**

◆ უცხოეთის მწერლები საქართველოში. ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის ზეიმზე დასასწრებლად მოსკოვში მოსული უცხოეთის მწერლები ესტუმრენ აგრეთვე საქართველოსაც. მათ შორის იყვენ: პანაიტ ისტრატი, აკიტა (იაპონია) და სხვ. სტუმრების საპატივცემოდ მწერალთა კავშირმა მოაწყო ბანკეტი, რომელიც ჩატარდა მეტად გულთბილად.

◆ მიხ. ჯავახიშვილი რუსულად და ფრანგულად. რუსეთის სახელგამმა გამოსცა მიხ. ჯავახიშვილის კრებული. სადაც დაიბეჭდა „ლამბალო და ყაშა“, „მართალი აბდულლაჰ“ და „ყბაჩამ დაიგვიანა“. გარდა ამისა რუსეთის სახელგამმა მიიღო გამოსაცემად „ჯაყოს ხიზნები“.

გამომცემლობა „ზაკნიგა“ ბეჭდავს ორ წიგნს „თეთრ საყელოს“ და რამდენიმე სხვა მოთხრობას. თარგმანი ეკუთვნის კულებიაკინს, ჩერნიავსკის და ლ. ყიფიანს.

ელისაბედ ორბელიანისამ გადასთარგმნა ფრანგულად „მართალი აბდულლაჰ“. მზად არის ზოგი სხვა მოთხრობების თარგმანიც.



◆ ნ. მიწიშვილის „თებერვალი“ გადითარგმნა რუსულად და სომხურად. ცალკე წიგნი თარგმანებისა გამოვა 1928 წ. განმავლობაში.

◆ გრ. რობაქიძის ახალი რომანის ბეჭდვა დაიწყება „ქართულ მწერლობა“-ში იანვრიდან.

◆ ლეო ქიაჩელმა დაამთავრა რომანი „სისხლი“ რომელიც დაიბეჭდება „მნათობში“. ცალკე წიგნათ გამოვა 1928 წ. სეზონში.

◆ აღმანახი „არიფიონი“ გამოვა იანვრის დამლევს.

----- ; -----

# „ქართულ მწერლობა“-ში დაბე- ჭდილ მასალების საჩვენებელი 1926—1927 წ. წ.

## პოეზია.

- ს. აბაშელი — „ტფილისი“ № 1; „წერილი ნ. ჩხიკვაძეს“ № 2-3, „შემოდგომის მზე“ № 4—5 (1926); „მტკვარი“ № 1, „1917 წ.“ № 10 (1927).
- გ. აგარელი — „წუხილი მატარებელში“ № 6 — 7 (1926).
- შ. აფხაიძე — „გზა ანაპისკენ“. „ღამე ანაპაში“, № 6 — 7 (1926).
- ბაჩანა — ლექსები № 11 — 12 (1927).
- ვ. ბობოხიძე — „ლექსის წერის დროს“ № 10 (1927)
- ა. გაბესკირია — „მტკვარი-ზაპესი“, № 8 — 9 (1927).
- ვ. გაბესკირია — „დილა სოფლიდან“ № 6 — 7 (1926).
- დ. ვაჩეჩილაძე — „განთიადამდე“ № 3 — 4, „ათი წლის თავი“.
- ვ. გაფრინდაშვილი — „სოფლისაკენ“ № 1, „აუქციონი“ № 2 — 3, „მზის-უმზირას გამყიდველი“, № 4 — 5, „ისეთი ლექსი“, № 2, „მზის-უმზირას გამყიდველი“ № 4 — 5, „რიონი“ № 6 — 7 (1926); „ძველი „პალტო““ № 1, „ისეთი ლექსი“ № 2, „სიცხის ზომით“ № 5, „საკო და ვანცეტი“ № 8 — 9, „შემოდგომა“ № 11 — 12 (1927).
- რ. გვეტაძე — „გული“ № 1, „მერკვილადის დები“ № 2 — 3, „ქვის მკრელი“ № 4 — 5 (1926); „თოვაში“ № 2 (1927), „ლირიული განწყობილება“ № 8 — 9 (1927); „წითელ რაზმელი ქალი“ № 10 (1927).

- ვ. გორგაძე — „პოეტის ცხოვრება“, „გზაში“ № 2, „ოცდაათი წელი“ № 8 — 9 (1927).
- ტ. გრანელი — „ორი ლექსი“ № 4 — 5, „მთვარე ფანჯარასთან“ № 6 — 7 (1926); „ქალი, რომელიც ცხოვრობს ეკლესიის ეზოში“ № 6 — 7 (1927).
- ი. გრიშაშვილი — „ჩუსტის მკერავი“ № 4 — 5 (1926); „გენიოსების ბედი ტფილისის ბაზარზე“ № 2 (1927).
- ე. გურჯი — „სიყვარულის მგოსანი ვარ“ № 6 — 7, „სიმღერა“ № 8 — 9 (1927).
- ი. დავითაშვილი — დაუბეჭდავი ლექსები № 6 — 7 (1926).
- ს. ერთაწმინდელი — „ყვილი უდაბნოში“ № 6 — 7 (1926); „ოქტომბრის ფრთებზე“ № 10 (1927).
- ს. ესენინ — „სიმღერა დიდ ლაშქრობაზე“ (თარგ. გრ. ცეცხლადის) № 10 (1927).
- ე. ვაგნერი — „ჰამბურგის მებრძოლებს“ (თარგ. ვ. გორგაძის) № 10 (1927).
- ი. ვაკელი — „ბოლნისის გზაზე“ № 2, „შადრევანის პირად“ № 6 — 7, „ლექსი მეგობრისადმი“ № 8 — 1927).
- ნ. ზომლეთელი — „სოფლის გოგოს“ № 1, „რიფის ბედი“ № 2 — 3, „ნოე ჩხიკვაძეს“ № 6 — 7 (1926), „ლენინის აკლდამასთან“ № 1, „საქართველო“ № 3 — 4, „თბილისი ზაპესი“ № 6 — 7, „მოკვდა არწივი“ № 8 — 9 „სიკვდილი დამრთგუნველი“ № 10 (1927).
- ს. თავაძე — „შიო არაგვისპირელი“ № 1 (1926).
- ნ. თარიშვილი — „ჩემს ტოლებს“ № 1, „შარა გზაზე“, „მწვანე შაირი“ № 4 — 5 (1926).
- იასამანი — „ზაფხული“ № 2 — 3 (1926); „უნაგირაზე“ № 2 (1927).
- პ. იაშვილი — „პოეზია“ № 1, „არგვეთის ლამე“ № 6 — 7 (1926); „თივის ურმეული“ № 10 (1927).
- კ. კალაძე — „აღმოსავლური“ № 1, „შუბის ტარამდე დასული მზე“ № 10 (1927).
- გ. ლეონიძე — „იორის ლამეები“ № 4 — 5 (1926); „ნინოწმინდის ლამე“ № 2 (1927); „ლამე ივერიისა“ № 6 — 7 (1927), „ძველებური სიმღერა“, „ქილილა დამნა“ № 6 — 7 (1927), „სიმღერები ელექტროფიკაციისა“ № 10 (1927).
- კ. ლორთქიფანიძე — „ექვსი სიმღერა“ № 2 — 3, „ესენინზე“, სიკვდილი“ № 4 — 5, „ერთი ლამე ბაგრატის მთაზე“ № 6 — 7 (1926); „მეგობრებს“ № 1, „მე და ლამე“ № 2, „ჭადრაკი“ № 8 — 9 (1927).
- მარიჯან — „ზღვიადა“ № 6 — 7 (1926).
- ლ. მაჭავარიანი — „გრ. ვეშაპელს“, „დაცვენილი ხსოვნები“ № 2 — 3 (1926).
- ნ. მიწიშვილი — „სამი ლექსი“ № 1 (1927).
- ს. მგელაძე — „თუში“ № 1 (1926), „სულიერი განწყობილება“ № 8 — 9 „შორიდან“ № 11 — 12 (1927).

- ი. მოსაშვილი — „დაბრუნებული დარები“ № 2 — 3 (1926), „ბარათი“ № 5, „ქალვაჟიანი“ № 8 — 9, „უცნობთან“ № 11 — 12 (1927).
- კ. ნადირაძე — „თეთრი ტყემლები“ № 1, „გაზაფხული ტფილისში“ № 2 — 3, „იმერეთს“ № 4 — 5 (1926); „ზამთარი“ № 2, „ჯერ მზე არ არის ამოსული“ № 5, „ოქროყანა“ № 6 — 7 (1927).
- ე. პოლუმოდვინოვი — „ფიქრების შემოდგომა“ № 4 — 5 (1926).
- ა. პუშკინი — „ევგენი ონეგინ“ (გრ. ცეცხლადის თარგმანი) № 4 — 5 (1926); „ნაწყვეტი“ (თარგმ. პაოლო იაშვილის) № 5, „სიმღერა გრძნეულ ოლეგზე“ (თარგმ. ვ. გაფრინდაშვილის) № 6 — 7, „ა. პ. კერხისაძემი“ (თარგმ. გრ. ცეცხლადის), № 8 — 9 (1927)..
- ვ. ყურული — „ლილი“ № 2-3, „გზა მთაწმინდიდან წიწამურამდე“ № 4-5, „ლომი“ № 6-7 (1926).
- ვ. რუხაძე — „ქალაქის სამკაული“ № 2-3, „მიწისძვრა“ № 4-5, „ქალაქი დიქტატორი“ № 6-7 (1926); „სილამაზის სამყაროში“ № 2, „ქუჩის ბავშვს“ № 6-7, „მტკვარს“ № 8-9, „პროლეტარიატს“ № 10, „საუბარი მიწასთან“ № 11-12 (1927).
- ტ. ტაბიძე — „სერგეი ესენინს“ № 1, „ილაიალი“ № 4-5 (1926); „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“ № 1, „მუხამბაზი, რომელიც არ იმღერება“, „მეარღნე და პოეტები“ № 2, „კახეთი“ № 5, „იმათი იყოს ეს სადღეგრძელო“, „რია-რია“, „ირემი აქებს იალალს“ № 6-7, ციკლიდან „მოსკოვი“ № 11-12 (1927).
- გ. ქუჩიშვილი — „ლექსები“ № 2-3, „ორი ლექსი“ № 4-5 (1926).
- ს. ფაშალიშვილი — „სიტყვა ჩემს საუკუნეს“ № 2-3 (1926).
- ა. ყანჩელი — „ტფილისი“ № 2 (1927).
- ს. შანშიაშვილი — „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“ № 1, „ქაჯი“ (გიოტედან) № 4-5 (1926); „მგზავრი“ № 1, „ბატონი ცილინდროსანი“ № 5, „პოემა უცნობ ხელებზე“ № 6-7, „დედის ერთა ვაჟიკა“ № 8-9, „ოქტომბრის ჰიმნი“ № 10 (1927).
- ნ. შენგელაია — „გზა სვანური სოფლისაკენ“ № 1 (1926).
- შნეუერ — „მას“ (თარგ. ბააზოვის) № 6-7 (1926).
- ნ. ჩაჩავა — „ჯაფარა“ № 1, „ყაჩაღები ქალაქს გადასცდენ“ № 2-3, „საუბარი ნადირობისას“ № 6-7 (1926); „კალოშები და სიყვარული“ № 6-7 (1927).
- ს. ჩიქოვანი — „ნაწყვეტები“ № 1, „მყინვარი“ № 2-3, „მიძღვნა ახალ პოეტებს“ № 4-5 (1926); „გაბაასება საკუთარ ლექსთან“ № 3-4, „მიძღვნა და მიბაძვა მუზას“ № 6-7, „მოსკოვი“ № 10 (1927).
- ნ. ჩხიკვაძე — „ორი ლექსი“ № 2-3, „დაუბეჭდავი ლექსი“ № 4-5 (1926).
- გრ. ცეცხლაძე — „სპარსული ნოხი, ცალიონი და იალბუზი“ № 2-3, „საიდუმლო ბარათი“ № 4-5, „კაი კაცი, პროვოკაცია და გრამაფონი“ № 6-7 (1926); „ოქტავეები“ № 2, „თითქოს ფენი მაქვს ვეშაპის ცხებში“ № 6-7 (1927).
- კ. ჭიჭინაძე — „სალამოები მთაში“ № 3-4 (1927).

- შ. ჯანბერიძე — „შემოდგომა“ № 6-7 (1926); „ტყვისფერ ციდან  
ნასაკირალი“ № 5 (1927).  
ს. წეველი — „ნასაკირალის სერები“ № 11-12 (1927).

## ხალხური ზეპირსიტყვიერება

- „ბაღადა თუ როგორ შეაკვდენ ერთმანეთს ვეფხი და ვაჟკაცი“  
№ 3-4 (1927).  
„თავფარავნელი ჭაბუკი“ (ჩაწერილი ია კარგარეთელის მიერ)  
№ 11-12 (1927).

## ბელეტრისტიკა

- ვ. ბარნოვი — „ნანატრი ნადირი“ № 2 — 3; „მარგალიტის ცრემლი“  
№ 6-7 (1926); „მტკვრის ვაჟი“ № 6-7 (1927).  
ვ. ბერკოვიჩი — ბოშას სისხლი (თარგ. ნინა მესხის) № 8-9 (1927).  
მ. გარიყული — „ნანიკო“ № 6-7 (1927).  
შ. დადიანი — „ჯადო“ № 2-3 (1926).  
ს. კახრაძე — „გვართ სამხილავი“ № 2-3; „ზღვა“ № 6-7 (1926);  
„უდაბურობა“ № 3-4 (1927).  
ს. კლდიაშვილი — „პროვინციის მთვარე“ № 1, „ბილბაო“ № 4-5  
(1926); „მარტია“ № 2 „ჭინკა“ № 11-12 (1927).  
ნ. ლორთქიფანიძე — „თავსაფრიალი დედაკაცი“ № 1, „ეპისკოპოზი  
ნადირობაზე“ № 2-3, „ესკიზები“ № 4-5, „ესკიზები“ № 6-7  
(1926).  
ბ. მელიქიშვილი — „ჯილაგი“ № 5 (1927).  
დ. მესხი — „ომის მსხვერპლები“ № 2 (1927).  
ლ. მეტრეველი — „ცხოვრების რადიო“ № 2-3, „ალავერდობა“ № 4-5  
(1926).  
ნ. მიწიშვილი — „ერთი ლამის ამბავი“ (რომანიდან) „თებერვალი“  
№ 617 (1926); „ეპოპეია“ №№ 8-9, 10, 11-12 (1927).  
კ. ნადირაძე — „მენავთე გასპარ“ № 617 (1927).  
მარსელ პრუსტ — „ბერგოტის სიკვდილი“ № 8-9.  
პ. სამსონიძე — „პოეტი ქოშია“ № 6-7 (1926).  
სტენდალი — „წმინდა ფრანჩესკო კლდესა ზედა“ (თარგ. გ. ქიქოძის)  
№ 5. „იტალიური ქრონიკები“ (თარგ. გ. ქიქოძის) №№ 6-7  
8-9 (1927).  
დ. სულიაშვილი — „პირველი სიტყვა“ № 4-5 (1926).  
ს. ქვარიათი — „ბოტანიკურ ბაღში“ № 6-7 (1927).  
ლევო ქიაჩელი — „უცნაური მოთხრობები“ №№ 1, 2-3 (1926).  
ა. ქუთათელი — „სივილა“ № 6-7 (1926); „ხონის ბირჟა“ № 3-4,  
„მურზა“ № 5. „გვალვა“ № 11-12 (1927).  
ს. ყიფიანი — „უკულმართობა“ № 6-7. „ახალი სამართალი“ № 8-9.  
დ. შენგელაია — „ლაფშა“ № 1, „პორაველ“ № 4-5 (1926).

- დ. ჩიანელი — „ქუთაისი“ № 3-4 (1927).  
 ა. ჭუმბაძე — „შშო“ № 5. „სასწაული“ № 8-9 (1927).  
 მ. ჯავახიშვილი — „ცოფიანი“ № 4-5. „პაპა: დიბო“, „მდევარი“  
 № 6-7 (1926).  
 რ. ქორქია. — „სამი ყვავილი“ № 11-12 (1927).  
 ს. ცვაიგ — „კაპიტან სკოტტ (თარგ. გერმანულიდან გრ. რობაქიძის)  
 № 11-12 (1927).

## წერილები

- მ. აბაშიძე — ქართული ენის გაწმენდისათვის № 1 (1926).  
 შ. ამირანაშვილი — „ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის“  
 № 6-7 1927).  
 ლ. ასათიანი — „მანანა“ № 5, „ვოლტერიანობა საქართველოში“  
 № 8-9, „ოქტომბერი და დასავლეთის თანამედროვე პოეზია“  
 № 10 (1927).  
 ვ. ბარნოვი — ალექსანდრე ჭავჭავაძე № 5.  
 განი — „დასაყრდნობი წერტილი“ № 2-3 (1926).  
 გრ. გიორგაძე — „გზა ჯვარედინზე“ № 4-5 (1926).  
 ბ. გორდეზიანი — „გრიგოლ ვეშაპელი“ № 2-3 (1926; „ყოფის სა-  
 კითხი“ № 1 (1927).  
 მაქსიმ გორკი — „ათი წელი“ № 10 (1927).  
 შ. დადიანი — „ვასო აბაშიძე“ № 4-5 (1926).  
 ს. დევდარიანი — „საქართველო“ № 1 (1927).  
 კ. დონაძე — „ვარლამ ჩერქეზიშვილი“ № 2-3 (1926).  
 ა. პაპავა — ფრაგმენტი № 2-3 (1926).  
 შ. რადიანი — „დემნა შენგელაიას შესახებ“ № 2-3 (1927).  
 კ. რადეკი — „უნიადგონი“ № 2-3 (1926).  
 ქ. რაჭველიშვილი — „პოეზიისათვის“ № 3-4, „მესხეთ-ჯავახეთში“  
 № 11-12 (1927).  
 გ. რობაქიძე — „საქართველოს ხერხემალი“ № 1 (1927).  
 ნ. საქარელი — „ხელოვნება და ეროვნული საზოგადოებრიობა“  
 №№ 1, 2-3, 4-5 (1926).  
 პ. საყვარელიძე — „ფერეიდანის ქართველები“ № 2-3 (1926).  
 ტ. ტაბიძე — „ნატა ვაჩნაძე“ № 2-3 (1926); „ქართველი მწერლების  
 დელეგაცია სომხეთში“ № 1. „ახალი მცხეთა“ № 5, „ალ.  
 სუმბათაშვილი“ № 11-12 (1927).  
 ქართული მწიგნობრობის ისტორიისათვის (ნ. მიწიშვილის რედაქ-  
 ციით) № 10 (1927).  
 გ. ქ. — „საბჭოთა ხელისუფლება და ქართული ხელოვნება“ № 10  
 (1927).  
 გ. ქიქოძე — „ომის პოლოდიანში“ № 1 (1926). „უსათაურო შენიშე-  
 ნები“ № 11-12 (1927).  
 ა. ცაგარელი — „ჩემი იუბილე“ № 3-4 (1927).

5. შებუევი — სუმბათაშვილი, მაქსიმ გორკი და „მოსკოვის წრე“ № 8-9 (1927).
- ოსვ. შპენგლერ — „პოლიტიკის ფილოსოფია“ (თარგმანი მ. გოგიბერიძის) № 3-4 (1927).
- ვან დეიკ — „ნიკო სულხანიშვილი“ № 2-3 (1926).
- ა. ვასაძე — „ქართული დრამა“ № 4-5 (1926).
- ა. ვორონსკი — „კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიისათვის“ № 2-3 (1926).
- ს. თ — ია — „ქართული წიგნი“ № 4-5 (1926).
- მხატვ. გ. იაკულოვი — მხატვრული აზროვნების ბუნების შესახებ № 3-4 (1927).
- პ. ინგოროყვა — „მწერალთა კავშირის ამოცანები“ № 1 (1926).
- კ. კაბანელი — „ჰამლეტი და ფაუსტი“ № 6-7. „ლიტერატურული პრობლემები“ № 8-9. „ბაირონი და ოქტომბრის რევოლუცია“ № 10 (1927).
- პ. კოტეტიშვილი — „ქართული მწერლობა“ № 1. „თანამედროვე ქართული ხელოვნება“ № 6-7 (1926).
- ა. ლუნაჩარსკი — „ისევ კლასიკოსების შესახებ“ № 3-4 (1927).
- აკად. ნ. მარრი — „ჩემი ავტობიოგრაფია“ № 6-7 (1927).
- Marice Raynal — ლადო გუდიაშვილი № 1 (1926)
- ნ. მიწიშვილი — „მწერლობა და საზოგადოებრიობა“, „ქართული კულტურის ახალი გზები“ № 1. „ფიქრები საქართველოზე“ № 4-5 (1926). „ჩემი პასუხიც“ № 1 (1927).
- ს. ჩიქოვანი — „ნ. მიწიშვილის წერილის გამო“ № 1 (1927)
- ბ. ყლენტი — ოქტომბერი და ქართული მწერლობა № 10 (1927)
- ს. ხუნდაძე — ისტორიის ერთი თავი № 6 — 7 (1926)
- აპ. წულაძე — „გურია“ № 2 (1927)

## სადისკუსიო საკითხები

- ბ. გორდეზიანი — „მემარცხენეობა ქართულ ლიტერატურაში“ № 5 (1927)
- ბ. ყლენტი — მემარცხენეობის რევიზორი № 6. — 7 (1927)
- ს. ჩიქოვანი — თანამედროვეობა და ქართული ზოგნობა № 1 (1926)

## მუსიკა

- დ. არაყიშვილი — ქართულ მუსიკის გურული შტო № 10 (1927)

## კინო და თეატრი

- ს. ამაღლობელი — კინომრეწველობის რეპერტუარის საკითხები № 6 — 7 (1926)

## დოკუმენტები

- აკაკისა და ივანე მაჩაბლის მიწერ-მოწერა № 2 — 3 (1926)  
მხატვ. აღ. პერიოდი — „წერილი რომიდან ილია ოქრომჭედლიშვილი-სადმი“ № 5 (1927)  
შ. დადიანი — სილუეტი ნ. დადიანისა № 7 (1927)  
გ. მაზნიაშვილი — უღელტეხილიდან — ბათომამდე № 6 — 7 (1926)  
პროფ. მელიქიშვილი — ჩემი ცხოვრება № 5 (1927)  
მწერალთა კავშირის ყრილობის რეზოლუციები. № 1 (1926)  
პროფ. პოლიევკტოვი — აღ. ჭავჭავაძის მოხსენების გამო № 6 — 7 (1926)  
რ. ფანცხავა (ხომლედი) „ჩემი მოგონებანი“ („ეგნატე ნინოშვილი“) № 6 — 7, „ცხოვრების მოედანი“ № 8 — 9, № 11 — 12 (1927)  
ს. წულუკიძე — გამოუქვეყნებელი კერძო მიწერ-მოწერა № 3 — 4  
ა. ჭავჭავაძე — საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მე-19 საუკუნ. პირველ ნახევარში (თარგმ. რუსული ხელნაწერიდან ქ. რაჭველიშვილის მიერ) № 4 — 5, 6 — 7 (1926)

## ბიბლიოგრაფია


- კ. აბაშიძე — შ. დადიანი — „უბედური რუსი“ № 11 — 12 (1927)  
გრ. გორგაძე — „სიმ. ხუნდაძე — ქართული ინტელიგ. პროფ. მე-19 საუკუნეში № 2. ს. ხუნდაძე — სოციალიზმის ისტორ. საქართველოში“ № 11 — 12 (1927)  
ვ. გორგაძე — „გრ. რჩეულიშვილი — ქვრივის ღიმონები“ № 6 — 7 (1927)  
ს. გორგაძე — „პავლე ინგოროყვა — რუსთველიანა № 6 — 7  
ბ. გორდეზიანი — „ნ. ფიროსმანიშვილი“ № 4 — 5 (1926)  
შ. გოგუა — რ. ქორჭია № 10 (1927)  
ვან-დეიკ — „ლადო გუდიაშვილის სურათების გამოფენა № 1 (1926)  
ბ. თევზაია — გ. გორგაძე — „ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში“ № 4 — 5  
პ. იაშვილი — „ნიკო ფიროსმანიშვილი“ № 1 (1926)  
ვას. გორეთელი — ლ. ტროცკი — „ლიტერატურა და რევოლუცია“ № 4 — 5 (1926)  
ვ. ილმელი — ა. ლუნაჩარსკი — ყოფაცხოვრება № 8 — 9. ფ. მახარაძე — საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში № 10 (1926)  
მ — ნი — დავითაშვილის რჩეული ლექსები № 2 (1927)  
ვ. რუხაძე — „მცირე განმარტება“ № 5 (1927)  
ს — ნი — ი. რუბინი — „ეკონომიური აზროვნების ისტორია“ № 5 (1927)  
Surius — ან. დოლიძე — „შავი წარსული“ № 4 — 5 (1926)



- ტიც. ტაბიძე — „სანდრო შანშიაშვილი“ № 1 (1926)  
 ფ — რი — ლ. ქიაჩელი — „ტარიელ გოლუა“ № 2  
 ვ. ცომაია — ს. დანელია — „ატომისტური ფილოსოფია ძველ სა-  
 ბერძნეთში“ № 3 — 4 (1927)  
 წესდება სრულ. საქარ. მწერ. კავშირისა № 4 — 5 (1926)  
 ს. ყიფიანი — „უმსგავსო ბიბლიოგრაფია“ № 2 (1927)  
 ხ. ვ. — ი. დავითაშვილი — „ლექსები“ № 8 — 9 (1927)  
 ხ — ლი — დ. სულიაშვილი — „ლენინის დაბრუნება ემიგრაციი-  
 დან“ № 10 (1927)  
 ქართული პრესა „ქართული მწერლობის“ შესახებ № 8 — 9 (1927)  
 X — რევოლუციის მატთანე“ № 2 — 1927, № 19 (1927)



გოლმ უახსრებ



273